

ქართული ხალხური დღეობები  
(რაჭა-ლეჩხუმი)

საქართველოს მეცნიერებათა აკადემია

ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტი



ვაჟალა გარდაფხაძე-ძიძოძე

ქართული ხალხური  
დღეობები

(რაჭა-ლეჩხუმი)

თბილისი  
„მეცნიერება“  
1995

ნაშრომში ახახულია ღერხუმიხა და რაჭის რელიგიური წეს-ჩვეულებები, რიტუალები, დღესასწაულები. ამ მხალას დიდი მნიშვნელობა აქვს როგორც უშუალოდ კონკრეტული რეგიონის, ისე ხაერთო ქართული რელიგიური შეხედულებებისა და რწმენა-წარმოდგენების შესწავლისათვის, კულტურული მემკვიდრეობის დაცვისა და მისი კრის სამსახურში ჩავენებისათვის.

ნაშრომი განკუთვნილია ეთნოგრაფიით დაინტერესებული ფართო მკითხველი საზოგადოებისათვის.

ხარდაქცითი კოლეგია: ნ. აბეხაძე, ნ. აზიკური, ვ. ითონიშვილი, თ. ონიანი, თ. ონიაური, [აღლ. რობაქიძე.] ჯ. რუხაძე (მთავარი რედაქტორი), ი. ხურგულაძე, ნ. ვიფიანი (მდივანი).

რედაქტორი ისტ. მეცნ. დოქტ. ჯ. რუხაძე  
რეცენზენტები ისტ. მეცნ. დოქტ. თ. ონიანი  
ისტ. მეცნ. კანდ. მ. შაკალათია

0505000000

ბ ————— რეზერ. 92

M607(06)-95

© „მეცნიერება“, 1995

ISBN 5-520-01425-6

## რ ე ლ ა ქ ე ო რ ი ს ა ვ ა ნ

ქართული ხალხური დღეობების ავტორი ფაფალა გარდაფხაძე-ქიქოძე ორი ათეული წლის მანძილზე, 30-იანი წლებიდან ემსახურა ქართულ ეთნოგრაფიას. მან ეთნოგრაფიული მასალის მოძიება პროფესორ ვერა ბარდაველიძის მიერ შედგენილი პროგრამა-კითხვარით და მისი უშუალო ხელმძღვანელობით მაშინ დაიწყო, როდესაც აკადემიკოსმა გიორგი ჩიტაიამ ჩვენი დიდი მოღვაწეების — ილია ჭავჭავაძისა და ივანე ჯავახიშვილის — მიერ დაწესებული საქმე ხალხური მასალის დაუნჯებისა უპირველეს მოთხოვნად გადააქცია. ეს ღონისძიება საშურ საქმედ მიაჩნდათ, რადგან ხელაუდნენ როგორი სისწრაფით იკარგებოდა ქართველი ხალხის მიერ საუკუნეების განმავლობაში შექმნილი მდიდარი ცოდნა და გამოცდილება.

ფაფალა გარდაფხაძის მიერ წარმოდგენილი მასალის უდიდესი ნაწილი ლიტერატურაში დღემდე უცნობია. იგი შეიცავს მეცნიერულად ღირებულ ეთნოგრაფიულ ცნობებს, რომელთაც ახლა ვეღარ მოვაკვლევთ.

ამ მასალის დიდი ღირებულება ისიც არის, რომ იგი დღესასწაულების და რელიგიური წეს-ჩვეულებების შესრულების დროს, საქმის მცოდნე უშუალო დამკვირვებლის მიერ არის ჩაწერილი. ამიტომ, რაც დრო გავა, იგი კიდევ უფრო მეტი ღირებულების იქნება სულიერი კულტურის სხვადასხვა მხარეების მეცნიერული შესწავლისათვის. აღნიშნული მასალა საფუძვლად დაედო როგორც ავტორის რამდენიმე გამოკვლევას, ასევე ქართველ ეთნოგრაფთა არაერთი თაობის სამეცნიერო ნაშრომს.

თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს აღნიშნულ მასალას ქართველთა რელიგიური შეხედულებისა და რწმენა-წარმოდგენების შესწავლისათვის, ამის საილუსტრაციოდ ერთ-ორ მაგალითს დავასახელებ.

ლენხუმსა და რაჭაში, თედორობის დღესასწაულის დროს, სხვადასხვა რიტუალურ პურებთან ერთად ცხვებოდა „საცეხველა ტაბლა“ (ლენხუმი), „საცეხველა განატები“ (რაჭა), რომელსაც ხელკავის გამოსახლება ჰქონდა და რიტუალში თაჯანისცემის მთავარი საგანი



იყო; შესაწირავს მას მიუტანდნენ, თხოვნით მას მიმართავდნენ და ტა-  
ბუც ამ კვერის სახელზე იყო დადებული. მას ქალები და უცვლელად  
მამაკაცები ვერ შეჭამდნენ.

ამ მონაცემების საფუძველზე, გამოითქვა მოსაზრება, რომ საცხ-  
ველი, მასში მონაცეხვი პროდუქციის მსგავსად, რომელთა განსაკუთ-  
რებული სიძველე და საკულტო მნიშვნელობა ცნობილია, ქართველების  
უძველესი მონაპოვარია.

მნიშვნელოვანია რაჭაში ხვავისა და კალოს ბარაქისათვის განკუთ-  
ვნილი მასალა პირველი და მესამე ტაბულობის სახელით ცნობილი  
დღესასწაულის შესახებ, რომელთა რიტუალშიც მამალი ფიგურირებს.  
მამლის საკულტო მნიშვნელობა ლეჩხუმში პეტრეპავლობის დღესასწა-  
ულის დროსაც გვხვდება. აღნიშნული მასალის მიხედვით მამალი შხისა  
და ნაყოფიერების კულტს უკავშირდება. ჩანს, ფრინველის ძალა მიწათ-  
მოქმედებასთან დაკავშირებული საქმიანობის კარგად ჩატარებისათვის  
იყო განკუთვნილი.

ვ. გარდაფხადის მასალას, როგორც ყოფისა და სულიერი კულტუ-  
რის ამსახველ ეთნოგრაფიულ წყაროს, დიდი მნიშვნელობა ენიჭება  
ქრისტიანობის გავრცელების ადრეული პერიოდის რწმენათა შესწავ-  
ლის საქმეში.

ეთნოგრაფიული მასალა რაჭული და ლეჩხუმური დღეობების შესა-  
ხებ შეკრებილია 1937 წლის ზაფხულში. იგი გამოიცემა უცვლელად  
იმ დედნის მიხედვით, რომელიც დაცულია ივ. ჯავახიშვილის სახელო-  
ბის ინსტიტუტის და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის მატერიალური კულ-  
ტურის და სამეურნეო ყოფის ეთნოგრაფიული შესწავლის განყოფილე-  
ბაში. დღეობები კალენდარული წესით არის დალაგებული, იგი რვე-  
ულის 223 გვერდზეა დაწერილი. „რაჭული დღეობები“ 56 სა-  
კითხისაგან შედგება. „ლეჩხუმური დღეობები“ როგორც უქმეებს  
ისე არასაუქმო დღეებში შესრულებულ რელიგიურ წესებს ეძღვნება  
და 4 თემას და 66 საკითხს მოიცავს. ხელნაწერს — „ლეჩხუ-  
მური ხალხური დღეობები“ — აკლია 33-ე და 34-ე გვ., ანუ § 16,  
ხოლო „რაჭულ ხალხურ დღეობათა კალენდარს“ 27-ე და 28-ე  
გვ., ანუ § 31.

მასალა ჩაწერილია თითოეული კუთხისათვის დამახასიათებელი  
ენობრივი თავისებურების დაცვით, ამიტომ განსაკუთრებულია მათი,  
როგორც დიალექტოლოგიური წყაროს, მნიშვნელობა. მთხოვ-  
ლების ინდივიდუალური გამოთქმები, ზოგჯერ ოდნავ და-  
შორებული საზოგადოდ მიღებული საგან, დატოვებულია უცვლელად



ლად. დედანში მხოლოდ აშკარა კორექტული შეცდომები  
 ბული. უცვლელადაა დატოვებული, აგრეთვე, მთხრობელის მოყოლის  
 წესი. ტერმინები ტექსტში ავტორის მიერ არის განმარტებული, ხო-  
 ლო ზოგიერთი მათგანი, რომელიც ავტორისათვის ნათელია, მაგრამ  
 მკითხველისთვის დამატებით განმარტებას საჭიროებს, ჩვენ დავაზუს-  
 ტეთ. ზოგიერთ ტერმინს, რომლებიც ხეობებისა და თემების მიხედვით  
 სხვადასხვაგვარად გამოითქმის, სინონიმური ფორმებიც მივუწერეთ.  
 ჩვენ მიერ შეტანილი განმარტებები და ასოები დამატებით ნახევრად-  
 კვადრატულ ფრჩხილებში ჩავესვით.

მასალა მანქანაზე ნაბეჭდი ტექსტის 111 გვერდს შეადგენს.

ფ. გარდაფხადის მიერ შეკრებილი მასალა-„რაჭისა და ლეჩხუმის  
 ხალხურ დღეობათა კალენდარი“- ერთი ნაწილია დღეობათა კალენ-  
 დრის მთლიანი კორპუსისა, რომლის სამი ტომი გამოცემულია, მომ-  
 დევნო ტომი უახლოეს მომავალში გამოვა.

ეთნოგრაფების დიდი ხნის მიზანი იყო არქივის სრულად გამოქვეყ-  
 ნება, მაგრამ ეს არ მოხერხდა. მიუხედავად სიძნელეებისა, 1980-იანი  
 წლიდან შესაძლებელი გახდა, გარდა ხალხურ დღეობათა კალენდრისა,  
 არქივის ორი ხელნაწერი გამოგვეცა - ლ. ოჩიაურის „სტუმარმასპინ-  
 ძლობა ხვესურეთში“ (თბ. 1980 წ.) და მ. ბალიაურის და ნ. მაკალათიას  
 შესაქონლეობის წესები ფშავ-ხვესურეთში - სათაურით „მასალები აღ-  
 მოსავლეთ საქართველოს მთიელთა სამეურნეო ყოფის ისტორიისათ-  
 ვის“ (თბ. 1989).

საარქივო მასალის გამოსაცემად 1990 წელს საგანგებო დადგე-  
 ნილება მიიღო საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმთან  
 არსებულმა სამეცნიერო-საგამომცემლო საბჭომ (თავმჯდომარე აკად.  
 წ.-კორ. როინ შერვაშვილი), რომელმაც ამისათვის ყოველწლიურად  
 გამოყო 15 თაბახი.

1990 წელს ეთნოგრაფიის სექტორმა შექმნა სარედაქციო კოლეჯი  
 შემდეგი შემადგენლობით: ნ. აბესაძე, ნ. აზიკური, ვ. ითონიშვილი,  
 თ. ონიანი, თ. ოჩიაური, ლ. რობაქიძე, ჯ. რუხაძე (მთავარი რედაქ-  
 ტორი), ი. სურგულაძე, ნ. ყიფიანი (მდივანი).

ამ მასალის გამოქვეყნება ხელს შეუწყობს ქართველი ხალხის ძვე-  
 ლი მსოფლმხედველობის კვლევას, დღესასწაულთა წარმოშობისა და  
 ფორმირების შესწავლას, მდიდარი ხალხური ტრადიციების გამოუ-  
 ლენხას, რასაც, მეცნიერულ ღირებულებასთან ერთად, პრაქტიკული  
 მნიშვნელობაც აქვს.

ტექსტზე იმუშავა განყოფილების უფროსმა მეცნიერ-თანამშრომელმა ნანული აზიკურმა; კონსულტაცია გაგვიწია პროფესორმა ბენო სილაგაძემ. მათ და ვველა იმ პირს, ვინც საძიებლის შედეგებში დაგვეხმარა, დიდ მადლობას მოვახსენებ.

საქართველოს  
ბიბლიოთეკა

ჯ უ ლ ი ე ტ ა რ უ ხ ა ძ ე

## ლენხუმური ხალხური ღღერებები

### 1. ბარბალოზა

ბარბალოზა ოთხ ქრისტეშობისთვეში არის და ყველა დიახწვლების [დღესასწაულების] დასაწყისად ითვლება. ამ დღეს განსაკუთრებით უქმობენ ქალები და კაცებისათვის კი უქმი არ არის. დილიდან ქალები შეუღებოდნენ სახლ-კარის დასუფთავებას; მთელი ჭურჭელი უნდა გაერეცხათ. კურვა, ჭრა და ქსოვა არ შეიძლება. ამ დღეს ადრინადად — სადილობისათვის — უნდა მოეწვიათ საახალწლო მკლოვიარე — [მკველე]. სადილზე დასტოვებდნენ — გამოუცხობდნენ ლობიანებს და უსათუოდ ღვინოს დააღვინებდნენ და ისე გაისტუმრებდნენ. თუ ეს მკლოვიარე კარგი ფეხის გამოდგა, ე. ი. ოჯახში წლის განმავლობაში ადამიანის სული არ დააკლდა, ბევრი გოჭ-ქათამი დაიბადა, მაშინ ყოველ წელს ის არის მკლოვიარეთ და მისი გამოცვლა არ შეიძლება, წინააღმდეგ შემთხვევაში მკლოვიარე უნდა გამოეცვალათ. სოკიერთ ოჯახებში კი გარეშე მკლოვიარე არც იცოდნენ და მათ თავის ოჯახიდან კაი ფეხის ვინმე უნდა აერჩიათ; იმას ბარბალოზის წინა ღამეს საბძელში ან სხვა ბურულში დააწვენდნენ და ბარბალოზა დილას ადრე ის შემოვიდოდა შინ და ის იყო მკლოვიარე საახალწლოდ მინწული ბარბალოზა საღამოს, ვახშობისათვის უფროსი ქალი გამოაცხობდა სამ ტაბლას, ჯვარდასახულს, შიგ უსათუოდ უნდა ყოფილიყო ჩართული ლობიო ან ნივოზი. ეს იქნებოდა „სართვი“. ტაბლა „გულცარიელი“, ხმელა, ე. ი. უსართვო (ლობიო ან ნივოზი) არ უნდა ყოფილიყო, რადგან ბარბალოზა დღეს უსართვო, ანუ „გულცარიელი“ საჭმელების გამოცხობა ნიშნავს მთელი წლის განმავლობაში ოჯახში სიცარიელეს. ტაბლები რომ გამოიცხობოდა, ვახშობის წინ უფროსი ქალი ლოცვას შეუღებოდა: პატარა კეცზე დააყრიდა ნაკვერჩხალს, ზედ საკმეველს მოაკმევდა. ამ კეცს დასდებდა პატარა სუფრაზე, იქვე სამი ტაბლა — „საბარბალო“ ტაბლა — ედვით, ჭიქას ღვინით გაავსებდა — ცალ ხელში სუფრა და ცალში ღვინიანი ჭიქა. უფროსი ქალი კერასთან ამ სუფრას ურთბელ, შეიძლება სამხელაც, შეატრიალებდა და ამღაგვარად შეილოცებდა: „ღმერთო, გავვი-

კეთე ნათეს-ნამუშევარი, გვამყოფე ტანთელად, გულმხიარულად. დამკრთი იყო — რაც ძალა იყო გვიშველე, ნუ წაგვახდენ“. ამის შემდეგ ეს სამი ტაბლა უნდა გაენაწილებინათ ყველა ოჯახის წევრთაშორის და ვახშობამდე უნდა ეჭამათ. შემდეგ კი შეუდგებოდენ ვახშობას და მის შემდეგ კვლავ უნდა ეჭამათ. შემდეგ კი შეუდგებოდენ ვახშობას და მის შემდეგ კვლავ უნდა ეჭამათ.

## 2. საბობა


ბარბალობის მეორე დღეს იყო საბობა. ეს დღეც ისე როგორც ბარბალობა, ქალების უქმედ ითვლებოდა. არც კერვა, არც ქსოვა ქალებს არ შეეძლოთ. ეს დღე ბარბალობა დღის საბატვისაცემოდ იუქმებოდა. რაიმე ტაბლის გამოცხობა ან ლოცვა ამ დღეს არ იცოდენ.

## 3. ნიკოლოზობა

ბარბალობის მესამე დღეს — ანუ საბობის მეორე დღეს — ნიკოლოზობა იყო. კაცები ამ დღეს არ უქმობდენ და ქალები კი უქმობდენ. ეს დღეც, ისე როგორც საბობა, იყო ბარბალობის საბატვისცემო დღე — მხოლოდ ლოცვა და ტაბლების გამოცხობა არც ამ დღეს სცოდნიათ.

## 4. ჭანტილობა

შობის წინა დღეს ეძახიან ჭანტილობას — [წანდილობა]. ეს დღე ქალებისთვის დიდი უქმეა, კაცები კი ხარებს არ აუღლებდენ, თორემ სხვა სამუშაო შეეძლოთ შეესრულებინათ. კერვა, ქსოვა ამ დღეს ქალებს არ შეეძლოთ. შობის ამოსვლისას ქალებს უნდა გაურჩიათ პურის კაკალი და მასახარშავად ჩაეღვათ, თან ამავე ქვაბში ჩაიყრებოდა სამ-სამი კაკალი ყველა მარცვლეულისა: ლობიო, სიმინდი, ცერცვი, ღომი, ფეტვი, ქერი, სამი კაკალი პური — ეს ყველაფერი საჭირო იყო მოსავლის სიუხვისათვის. ყველა ეს რომ ჩაიდგმებოდა, ამის შემდეგ, უკვე ამ დღეს ოჯახიდან არაფერი გაიცემოდა; ვინც დაახწვებდა საჭანტილეს ჩაეღვამდე რაიმეს წაღებას, სესხებას, თორემ შემდეგ კი არ შეიძლებოდა ვინმეს რაიმე წაეღო. ეს კაკალი საღამომდე იხარშებოდა; მოხარშვის შემდეგ, ქვაბს რომ ჩამოეღვამდენ, უნდა აეღოთ ნახარში ქაფი და ყველა ხეხილისათვის მოეცხოთ, შემდეგ კი ამ მოხარშულ კაკალს გობში გადმოყრიდენ და გობშივე შეაზავებდენ ნივგზით და ხახვით — ან



ნიგეზის მაგიურ შექმლოთ ექნათ თაფლი. ამ შეზავებულ პურის კვებას ეძახიან „ჭანტილა“-ს; ამგვარად, ჭანტილას დასტოვებდნენ გობში და შელოცვამდე არავის არ შექმლო იმის შექმა „სნები“-ს შექმნის შემთხვევაში სადამოს, ვახშობისათვის, უფროსი ქალი გამოაცხობდა სამწიკთა კერს, ჯვარდასახულს. „ხველის ტაბლა“-ს ეძახდნენ ამ კერებს; შიგ „სართვ“-ად უნდა ყოთილიყო ნიგოზი და ხახვი. ჭანტილიან გობში ჩააწობდნენ ამ სამ კერს, ჭიქით ღვინოს, გობის კიდევზე, ნაკერნხალზე საკმევლს დააკმევდნენ, ან სახთელს აანთებდნენ და უფროსი ქალი კერიათ ძირში მარჯვნივ სამჯერ შეატრიალებდა და ამგვარად შელოცებდა: „ღმერთო, დაგიფარე ხველისაგან, სნებისაგან; მოგვეცი სიმთელე, საქონელს, კაცის სულს, რაც ხარ გვიშველე და მოგვეხმარე“. ამის შემდეგ ეს ჭანტილა და ტაბლებიც შეიჭმებოდა ამ ვახშობაზე. თუ ამ დამეს ჭანტილა გადარჩა, მაშინ იმას შობას, ანუ მეორე დღეს არ გამოაჩენდნენ, რადგან იმ დღეს იმის ჭამა არ შეიძლებოდა. შობის შემდეგ კი ყველას შექმლო იმისი შექმა.

5. შობა

ჭანტილობის მეორე დღეს ეძახიან შობას. ეს დღე ყველასათვის დიდი უქმი იყო. „ჩიტის აზვრამდე“, ისე რომ, გათენებული არ იყო, უნდა დაეკლათ ორი მამალი — ერთი იყო „საანგელოზო ყვინჩილა“ და მეორე „ხარების სალოცი“. საანგელოზო ყვინჩილა ითვლებოდა ადამიანის — ოჯახის წევრების — მფარველად სნება-ბატონებისაგან; თუ ვინმეს ოჯახში რაიმე სნება სჭირდა, იმას შემოაველებდნენ თავზე ყვინჩილას და შეულოცებდნენ: „ღმერთო, დეიფარე ხველისაგან, სნებისაგან, ყოველი უნებელისაგან“. ამ ყვინჩილას ჭინჭორს ცოტას ამოაცლიდნენ და შობამდე გაუშვებდნენ, შობას კი დაიკვლებოდა ისე ადრე, რომ ჩიტსაც არ გაეგო. ოჯახის წევრების მეტი, საანგელოზო ყვინჩილას ხორცს ვერავინ შესჭამდა, ის დაკვლისთანავე შეიწებოდა და შეიჭმებოდა გათენებამდე; არავითარი ლოცვა ამის დაკვლასე არ იცოდნენ. მეორე მამალი, „ხარების სალოცი“-ც ჩიტის აზვრამდე დაიკვლებოდა, მხოლოდ ის უნდა შეჭმულიყო სადილისათვის. მაისის დამლევს მთაზე გარკვეულ ხარებს და სწორედ ამ დროს ყვინჩილას შემოვლებენ თავზე და ამგვარად შეულოცებენ: „ღმერთო, დეიფარე ნადირისაგან, ჭირისაგან, ფათარაკისაგან; მშვიდობით ჩამოიყვანე, რაც ძალა ხარ, მშვიდობით გვაჩვენე ჩვენი პირუტყვი“ — ამოაცლიდნენ პატარა ჭინჭორს, რომ კარგი ხაცნობი ყოფილიყო, გაუშვებდნენ და შობას იმასაც დაეღებდნენ. ამ მამლის ხორცის

შეჭმა გარეშე კაცსაც შეეძლო, მხოლოდ თავი, ფეხი, კუჭ-ფილტვი არავის გარეშეს არ ეჭმებოდა — ისეც ჩიტის აზვრამდე უნდა შეეჭმათ. თუ ოჯახში ერთი ან ორი წლის შვილი იყო, მაშინ, როდესაც იმას „სუფრას წოდებდნენ“ — მოხარშავდნენ შამხს, კანკანებს, ყველიანებს, პურებს, ღვინოს დასდგამდნენ სუფრაზე ღოჭით, სავსე ჭიქებით, უფროსი ქალი ღვინოს პურზე წოუსხამდა (ანთებული სახთელი სუფრაზე იღვა) და იტყოდა: „ღმერთო, გაინახათ ჩემი ახალი შვილი“, შემდეგ კი სადილს მიიერთებდნენ. მიწვევა ამ დღეს არ იცოდნენ.

## 6. შობის დღეა

შობის შორეულ დღე არის „შობის დღეა“ და წინა დღის, ე. ი. შობის საპატივსაცემო დღეა. ამ დღეს კაცები კი საქმიანობენ, ხარების დაუღლება იცოდნენ, მხოლოდ ქალები კი უქმობდნენ.

## 7. კალანდა

ახალწლის წინა დღეს უძახიან კალანდას. ეს დღე კაცებისათვის უქმე არ იყო: ის ამ დღეს შეშას ჭრის, ხარსაც აუღლებს; ქალს კი არც კერვა, არც ქსოვა არ შეეძლო, ის მხოლოდ უზადება „სადილს“ და მალე ადრე (უფრო ძველად), „ჩიტის აზვრამდე“ უნდა დაეკლათ საკალანდო ღორი. ეს ღორი უნდა ყოფილიყო უხათუოდ ნეხვი — მხოლოდ ბოლო წლებში უკვე არ არჩევდნენ ნეხვს და ტახს ამ დღეს, თორემ ძველად სავალდებულო იყო ნეხვი ღორის დაკვლა. მისი სასუქში შეყვანა იწყება გიორგობისთვიდან. ეს დამოკიდებული იყო შეძლებაზე; ვინც „სუმიანი“ [შემდებელი] იყო, ის „სუმიან ღორს“ დაკლავდა; ყოველ შემთხვევაში, უკანასკნელიც რომ ყოფილიყო შეძლებით, საკალანდო გოჭი მაინც უნდა ყოფილიყო. საკალანდო ღორს აჭმევდნენ დილა-საღამოს: პირველ ხანებში კაკალს და მერე კი — უკანასკნელ კვირებში — ცომს. თუ ღორი დიდი იყო და ოჯახიც შედარებით შემდებელი, საკალანდო ღორისათვის ხანუქად დაიხარჯებოდა ორი გორი [საწყაო] (2 ფუთი) სიმინდი მაინც. ეს ნეხვი — საკალანდო — სასურველი იყო ყოფილიყო საოჯახო. შესაძლებელია ნაშნითი გოჭი შეყვანათ საკალანდოდ სასუქში, მხოლოდ ეს შემდეგ უხათუოდ უნდა აენახლაურებით, რადგან რძლის ნაშნითი მისივე — რძლის — საკუთრებას შეადგენდა და არა საოჯახოს.

დილას, კალანდა დღეს, „ჩიტის აზვრამდე“ გამოიყვანდნენ საკალან-

დოს და მიიყვანდენ საღორეს კარებთან. იქ, მარჯვენა მხარეს შეუწუ-  
ჯავდა ნიკუზლით [მუჯუზალი] და იქვე ახლოს უფროსი კაცი დაკლულ  
და. დაკლულ ღორს შემოიტანდენ სახლში; იქ ცხელი წყლით დაბანა-  
ვნიან — გაასუფთავებენ, მორწყავენ და მერე მოსჭრიან თავს. ეს საკა-  
ლანდოს თავი უსათუოდ ცალკე უნდა ჩამოვიდათ ცხვენზე, მაგრამ ისე,  
რომ არ გარყვლიყო და არავის დაეხვრია. ეს თავი ამგვარად გაუნძრვე-  
ლად უნდა ყოფილიყო ნათლიდებამდე. ამ დღეს ერთი კაცი უნდა წასუ-  
ლიყო ტყეში მხარებით და მარხილით შეშას მოიტანდა: მარხილი უსა-  
თუოდ სავსე უნდა ყოფილიყო შეშით, ზედ შეშაზე დაკრული იყო დიდი  
კონა „ბაძგარი“ [ველიანი მცენარე]. ამ „ბაძგარს“ ოჯახის წვერი ვეღა  
„ბურულ“-ს გაუყუთებს [გადახურავს]: სახლს, სახაბაზოს, ბუღელს,  
ნალიას — კალოში, ვენახში და ყანებში. აგრეთვე შეშის მომტანი  
მოიძღვანდა ტყიდან თხილის წენელს და გააკეთებდა ჩიჩილაკს, მაგრამ  
უფრო მიღებული იყო „გვერგვ“-ის გაკეთება: უფროსი კაცი მოსჭრიდა  
ღერწს, მოღუნავდა რგოლად და თავში დაამაგრებდა; ამ რგოლში,  
აქეთ-იქით, ჯვარის სახით წვეტიანი წენლები უნდა ჩაერჭოთ; ამ წვე-  
ტებზე აანცობდენ ვაშლებს, შუა გულზე ჩაასობდენ ბაძგარს, ბაძგარზე  
„საოჯახო“ ტაბლა, ტაბლაზე ფული და რაც შეიძლებოდა ყოველნაირი  
ტკბილეულობა. ამრიგად მორთული „გვერგვ“-ი დაიდებოდა საფუარზე  
(მარხილი შეშით სავსე შუა კალოში უნდა მდგარიყო, „ფეხის დაწნამ-  
დე“ — იხ. ქვემოთ). კალანდა სადამოს უნდა გამოეცხოთ ექვსი „საოჯა-  
ხო სალოცავი“ ტაბლა და მეშვიდე — უფრო დიდი — „ღორის სალოც-  
ვი“. ეს ტაბლები უსათუოდ ღობიანები, ქონნარკვი უნდა ყოფილიყო და  
ჯვარსახიანნი. „ღორის სალოცვი“ იყო „დატოჭიალებული“ [დაჭრე-  
ლებული] ღორის მარჯვენა ფეხით. „ღორის სალოცვი“ — ტაბლა —  
მოხარმული მარჯვენა ღვიძლი და მალა, ჭიქით წყალი, ნაკვერჩხალი  
საკმეველდაყრილი — ყველას ამაებს წაიდებდა უფროსი ქალი საღორის  
კართან (ვახშმობამდე) და შეულოცავდა: „ღმერთო, გაამრავლე ჩენი  
ღორები, დეიფარე ჭირისაგან, ფათარაკისაგან“, წყალს გადააქცევდა,  
მარჯვენა ღვიძლს ჩამოათლიდა, იქვე შემჭამდა და სახლში შემოვიდო-  
და. პატარ-პატარა ნათალი მარჯვენა ღვიძლისა ყველა ოჯახის წვერს  
უნდა შეეჭამა. ისე კი საკალანდო ღორის ხორცს არავის ატყვედენ. ნარ-  
ჩენ გულ-ღვიძლისა და მაჭიკისგან გააკეთებდენ წვადებს, იმდენს,  
რამდენიც ოჯახში კაცის ხული იყო და ჩასდებდენ კალათში (ზოგი კი  
ცხვენზე პირდაპირ გაუყრიდა). ნათლიდება დილას ამ წვადებს თვითე-  
ული წვერი ოჯახისა შესჭამდა, შამფურებს კი შეინახავდა. „ფეხ-  
ვასულს“, პირველად რომ საქონელი გაირკება საბაღახოდ, თითო

შამფურს დაარტყამენ გადენისას საქონელს: „ჩვენი საქონელი დეიფობი ნადირისაგან“ — შესძახებენ.

საღორესთან რომ ლოცვა გათავდება, შემდეგ, ვახშობამძღვრებულნი ხო ლოცვა იწყება; გობი ხავსეა პურებით, ლობიანებით: ექვსი ტაბლას, გობის კიდებზე ჯვარედინად ანთებული სამი სახთელი; ამ გობს უფროსი ქალი წაჩოქილი სამჯერ წაღმა შეატრიალებდა მარჯვენა კერიასთან და შეილოცებდა: „ახალწლის მობრძანებაჲ, გამიბედნიერე ჩემი ქმარ-შვილი, ჩემი ოჯახი; გამჩენო ძალა, შენ ხარ მაშველი ყველა გაჭირვებულის, საწყალის, მიშველე.“ შემდეგ შეუდგებოდენ ვახშობას. კალანდა ღამეს ლოცვამდე თუ ვერ მოახწრეს ფეხების დაბანა, მერე უკვე არ შეიძლებოდა, საქონელს ავენებსო. ზოგიერთ ოჯახებში საოჯახო ლოცვა უწინ იცოდენ და შემდეგ კი უფროსი ქალი გაიტანდა „ღორის სალოცავ“ ტაბლას — ლობიანს, მოხარშულ ღორის კუდას, ღომის თაველს, ანთებულ სახთელს, საღორის კართან წაღმა შეატრიალებდა ტაბლას და ასე შეილოცებდა: „ბახილ კალანდა, გაამრავლე ჩვენი ღორი და კაცის სულს შშვიდობა მოგვანიჭე“. ღომის თაველს დაფშვნის და მარცვლებს საღორეში შეაყრის: „ამდენი გოჭი, ამდენი ქათამი“ — იტყვის და შინ შემოვა, რის შემდეგაც დასხდებოდენ ხავახშობდ. ნავახშმვეს, ოჯახის მოფხე — მკლოვიარე — გავიდოდა მეორე „ბურულ“-ში [სადგომი, ნაგებობა]; თან წაიღებდა (ზოგიერთ ოჯახებში) ერთ ტაბლას, ზედ დაყრილი იქნებოდა პურის ან ღომის კაკალი, ზოგიერთების ოჯახში კი — შინაური მოფხე გაიტანდა „გვერგვი“-ს. ზოგიერთებმა კი „გვერგვი“-ს მაგიერ ჩიჩილაკი იცოდენ — ამას მოაწყობდენ სხვადასხვა ხილით და ზედ ხილზე ფულები უნდა ყოფილიყო ჩასმული; შბოლოდ კალანდა ღამეს ჩიჩილაკს გარეთ არ გაიტანდა მოფხე — ის საფუართან უნდა მდგარიყო, ის გაიტანდა ან „გვერგვი“-ს, ან და ერთ ტაბლას, ზედ ღომის კაკლებით.

## 8. ახალწულიწადი

ახალწულიწადს გათენებამდე — ჩიტიც რომ არ დაძრულა — შინაური მოფხე, ტაბლათი ხელში ან და „გვერგვი“-თ კარებს მოადგება და დაიძახებს: „კარი!“ — რა მოგაქვს? — შიგნიდან პასუხობენ: — „დაღიანის თეთრი და ქონება!“ — კიდევ მეორეჯერ დაიძახებდა: „კარი!“ — კიდევ ასევე უპასუხებდენ, მესამეჯერ კი მოფხე შემოვიდოდა სახლში, პურის ან ღომის მარცვლებს მიმოაბნევდა „სოხანეში“ [მიწის იატაკი] ტაბლით შემოუ[ა]რდა კერიას სამჯერ, შემდეგ ამ ტაბლას დასდებდა



სასაფუარზე, დაჯდებოდა ცეცხლთან, ნივთსაღს შეუხუ[ნ] (რ)ხურებდა და შესძახებდა: ამდენი გოჭი, ამდენი ქათამი. შემდეგ უფრთხილდებოდა: ყველა წვერს ღვინით ხელს დააბანებდა, დაბანის დროს მუხუმიც მუხუმი შეუდგამდა და ხელზე მარილს წააყრიდა. ასე აგრძობდნ ხელნაბან ღვინოს ჯამში. ხელების დაბანის დროს ქალი იტყოდა: „ღმერთო, ტკბილად დამიბერე ჩემი ქმარ-შვილი — უტკივრად მიმყოფე“. შემდეგ ღვინიან ჯამს და ჩინილავს შუა კალზე გაიტანდა, ჩინილავს დაასობდა, ღვინოს კი ჩინილავის თავს ზემოდ ასხამდა, რაც შეიძლება მადლა უნდა ახხმულიყო და შესძახებდა: „ამ სიმაღლე ხვალი, ამ სიმაღლე ხვალი!“ შემდეგ შინ შემოვიდოდა. თუ მოფეხურს „გვერგვი“ შემოქონდა შინ, მაშინ შემოსვლისთანავე ის კერძის შემოუარდა, ოჯახის ყველა წვერი „გვერგვი“-ს ხელს შეაფლებდა — „ბვერი კაი ახალწელიწადი მოგვასწროს ღმერთმა“-ო. ამ „გვერგვი“-ს საფუარზე დასდებდნ და ღვინით ხელის დაბანის შემდეგ, სუფრას მიუჯდებოდნ. ზოგიერთ ოჯახებში (გარეშე მკლოვიარეს მოსვლამდე) უფროსი კაცი ადგებოდა ჩიტის ასერამდე და მამულში ჩავიდოდა. იქ, მამულში ის ხმამაღლა დაიძახებდა: „ანგურამ ჩამეიარა, ჩვენი მამული ჩეიარაო, წივი შეიტეხაო, ღვინის ღვარი ააყენაო: ისხა, ისხა, ისხა... გამოღმა კვირის თავი, გაღმა ვირის თავი, გამოღმა ყურძენი — გაღმა ურცელი“. ამის ძახილით შემოვიღიდა ვენახს და მერე შინ შემოვიდოდა — ყველა ამების შემდეგ ჯდებოდნ საუზმისათვის. იყო ბვერი ოჯახები, რომელთაც მარტო შინაური მკლოვიარე ჰყავდათ და გარეშე კი არა. მარა ბვერსაც გარეშე მკლოვიარე მოსდიოდა, რომელსაც უნდა მოეტანა თან ერთი ტაბლა ღვინის ან პურის მარცვლებით. ისიც კერძის შემოუ[ა]რდა, ტაბლას ყველას ხელს შეაფლებინებდა, და მერე მას სუფრას გაუშლიდნ. დილის საუზმეზე მოხდებოდა ხელის აშვება, ე. ი. ერთიმეორეს მისცემდნ რაშხს. — ფულს, ვაშლს, ჭიქით ღვინოს; საუზმის გათავებისას დიასახლისი პურის ნატებს გადუდებდა ძაღლს, ქვასანაყს ზურგზე გადუსვამდა სამჯერ და ეტყოდა: „აბრამმა გარჩინოს“-ო.

თუ ახალწელიწადი კვირა დღეს არ მოეტნეოდა [არ დაემთხვეოდა], მაშინ ამ დღეს კაცები ღერწს მოსხლავდნ, „ღვიმთვარებდნ“ — [სამუშაოს დაწყება მთვარის ფაზების მიხედვით] კარგი არისო. ზოგიერთ ოჯახებში ახალწელიწადს, ნაშუადღევს უფროსი კაცი ზურგზე „მოიკოტრებდა“ [აიკიდებდა] ოჯახის წვერს — კაცს — ხელში მქონდა ტაბლა — ბადჯადაცმული ღორის გული შემწვარი, ჭიქი(თ) ღვინო, ჩასაქმვეი სანთელი, ერთი ზანდურის „თავსკნელი“ (რამდენიმე თავ-თავი ერთად შეკონილი). ამგვარად, შვეიდოდა თუ არა ეს კაცი ვენახში, იტ-

ყოდა: „ღუზ, ღუზ, ღუზ!“ — [სიუჟვის აღმნიშვნელი შეძახილი] — ღუზს ჩამოსვამდა ზურგიდან, ნაკვერჩხალზე საკმეველას დააკვდა, ტაბლას წაღმა შეატრიალებდა და ამგვარად შეილოცებდა: „ღმერთო, მოგვიყურე უხვად საზრდო და ულუფა, გაუმარჯვე ჩვენ ვენახს, ააცილე კობი [სეტყვა], შოთი, მოგვიყვანე ბვერი მოსაწური“. ამ „თავსკვილას“ მიიტანდა ხარდანზე [დაბლარი ვახის სყურდენი ჭიგო], „ღუზ, ღუზ, ღუზ“-ის ძახილით; მერე ტაბლას დაღორის გულს შესჭამდენ, ღვინოს დალევდენ და შინ წამოვიდოდენ. ამ დღეს ქალები „ხანღუკს“ თავს არ ახდიან, სავარცხალს ხელს აწ ახლებენ — მგლები შევევიჭამს საქონელსო.

ცავერში — ახალწელიწად დილას ადრე — უფროსი ქალი გამოაცხობდა პატარა კვერებს — სამს, ეს იქნებოდა „ხარის სალოცვი“ კვერი, ჯვარსახიანი; შიდ უნდა ქონოდა დაკეპილი ხორცი. უფროსი ქალი ამ კვერებს კერიასთან წაღმა შეატრიალებდა, დაილოცებდა: „ღმერთო, ნადირისაგან დეიფარე ჩუენი ხარები“; „ჰო; ეს კვერები, „ხარის სალოცვი“ იქვე უნდა შევეჭამათ კერიასთან, მხოლოდ „უვეირვენიო“ [გაუთხოვარი ან დაუქორწინებელი] ვერ შეჭამდა. ყველა ნაფჩქენი, ნატქი ამ სალოცვისა, უბათუოდ ცეცხლში უნდა შევეარათ.

## 9. შხის დაწნა

ახალწლის მეორე დღეს ეძახიან ფეხის დაწნას. ამ დღეს, ძველად, მოიწვევდენ ახლადშეძენილ მოყვრებს, ახალ დობილს, ახალ ნათლიას. ამ დღის სტუმრებს ეძახდენ „ფეხიდააწნის წოული“-ს. ოჯახში შემოსვლისას თვითუელ მომსვლელს ხელზე ღვინოს გადაახხამდენ და ზედ მარილს მოაყრიდენ — ამას ეძახიან „ხელის აშუება“-ს. ხელეზუ რომ ღვინოს გადაახხამენ, თან ამრიგად მიულოცავენ: „ბვერი ახალი წელიწადი მოგსწრებიო“. ვინც ამ დღეს ხელს მბანს სტუმრებს, ის იქნება ამ დღის „მოხელადე“, ის ითვლება კარგი ხელის პატრონად, ის დგამს სუფრას, ის სთავაზობს საჭმელს ყველას — ხელის გულზე დაიდებს სავსე ჭიქას და თვითუელს აწვდის. ძველად საკალანდო ღორის ხორცს „წოულებს“ [მოწვეულებს] არ აჭმევდენ — მათთვის სხვა ღორი ან გოჭი უნდა დაეკლათ. შენაძლებელი იყო, რომ ამ დღეს არც მოწვიათ სტუმრები — მხოლოდ ფეხის დააწნისათვის მაინც უნდა წახულიყო, ანდა მასთან მოსულიყო ხელის ასაშუებად, თუკი კარვად ექნებოდა გაგებული, ე. ი. მთელი წლის განმავლობაში რამე უბედურებას, ადამიანის სულის დაკლებას ადგილი არ ექნებოდა და თვითონ ტანთელად

იქნებოდა, წინააღმდეგ შემთხვევაში კი არ წავიდოდა, ან არ მოვიდოდა ფეხის დაპწნა შეიძლება გავრძელებულიყო ნათლილებამდე. ამ დღეს ძალიან ხშირი იყო ქვიფი, ღვინო, მაგრამ ცდილობდნენ სახსრის გონებრივ მათხრობას არ დარჩენილიყონ, რადგან რასაც დეიხვლადებ — [ქვემოთ] ფეხიდაპწნას, იმას გაატარებენ იმ წელიწადს, ამიტომაც ვრიდებოდნენ ძალიან მაგრად დათრობასაც. წასვლისას თვითოეულ [ი] „ფეხიდაპწნის წოული“ დებულობდა საჩუქარს: ბამბას, გაშლილ კანაფს, ფულს. ბამბის ან კანაფის მიცემისას ეტყოდნენ: „რამდენი ცვარი წვიმა ამას დასცემოდეს, იმდენი კარგად ყოფა გქონებოდეს; უტკივარი წელიწადი გქონებოდეს და სულ შემენაში ყოფილიყო; იმისთანა ხელის ვყოფილიყო, რომ სულ ჩემთან მოსვლა გავხარებოდეს და მე შემძლებოდეს შენი პატივისცემა“. უფრო საპატიო სტუმარს, ახალ მრეწარეს, მაგალითად, უფრო მეტი საჩუქარი სჭირდებოდა, მაგ. ფულად 5 მ, ან საკაბე, თუ ქალი იყო და საახალუბე, თუ კაცი იყო. რომ არ ქონებოდა, სირცხვილის გულისათვის საჩუქარი მაინც უნდა გაეღო.

ამ დამეს (ზოგიერთნი წინადღეს — ახალწელიწადს), ვახშობამდე, უფროსი კაცი აიღებს კოროლს<sup>1</sup>, [ხანდურის (პურია) ღეროები], გაუჭრელ ღორის გულს — შემწვარს, პატარა ტაბლას — ჯვარსახულს, ჭიქით ღვინოს და ანთებულ სანთელს; ამათ ყველას მიიტანს ვახის ძირში: კოროლს ვახს თავზე წამოაყვამს და ამგვარად ილოცავდა: „ღმერთო, ბვერი მოაბმევე იქმს მამულს: ააცილე კობი, მავნებელი.“ ღვინოს იქვე დალევდა, ღორის გულს, ტაბლას შესჭამდა და შინ შემოვიდოდა; შემოსვლისას კარში უნდა დაეძახა: „ღუზ, ღუზ, ღუზ“, შინაურებიც შესძახებდნენ: „ღუზ, ღუზ, — ჩვენ მამულს ბვერი მოუბამს“. ამის შემდეგ დაჯდებოდნენ ვახშობად. ვახშობის დროს უფროს კაცს (უფრო ხშირად იმას, ვინც ვახის ძირში ღოცულობდა) უწინდან მოადგებოდა ბავში — თუ ყოლებოდა ბიჭი, თუ არა და გოგოც შეიძლებოდა, ჯერ მარჯვენა მხრიდან უნდა დაეღვე [ი]ნებინა ბავშვისათვის ღვინო — ღვინის მიწოდების დროს კაცი ეტყოდა: „ლოცვაა მამულისა“, ბავში უბასუბებდა: „ბვერი მოაბმევე იქმს მამულს“. მერე მარცხენა მხრიდან — იმავე შემახილით და ბავშვის პასუხით. ბავშვს ორივეჯერ ღვინით სავსე ჭიქა უნდა დაეცალა.

წახილავნა (სომ. ორავლი)

ახალწლის მეორე დღეს იცოდნენ. ყოველ ოჯახს თავისი „მკვლევარი“ ეავდა და ამ დღეს ისინი მიდიოდნენ ოჯახში და კალანდას უღოცავს.

<sup>1</sup> უთავთავი პურის ღეროთი მთლიანად არ შეიძლებოდა, თავთავიანს კი კოროლი არ ჰქვია (რედ.).



ნაახალწლეს, მეხუთე დღეს იყო ნათლიძის მარხვა და დაკრძალვა. დღე დიდ უქმედ ითვლებოდა და თან დიდი მარხვაც იყო. ამ დღეს დაკრძალვას უსათუოდ წირვაზე უნდა წასულიყვნენ; თან წაიღებდნენ „ჭონჭში“ [ძონძში] გამოხვეულ ყოველგვარ თესლეულს: პურს, სიმინდს, ლობიოს და სხვ. ამ თესლს წირვას „მოაყურებიანებდნენ“ [მოასმენინებდნენ], ნაკურთხ წყალს ბოთლით წამოიღებდნენ. ამ სხვადასხვა თესლს — „ნაკურთხს თესლს“ — ცალკე შეინახავდნენ, ისეთ ადგილას, რომ თავი არ შესწვდენოდა, მოტანილი ნაკურთხი წყლით მოცომავედნენ „ნაცარწმენდილ“-ს და კვერბად დააცხობდნენ და ამ კვერბს შეინახავდნენ. როდესაც თესვას დრო მოაწვედა, ახალ „ფეგასულ“-ს [გაზაფხულს] თესლში აურევდნენ „ნაკურთხ“ თესლს, „ნაცარწმენდილ“-ის კვერს დაფშვნიან, ყველას ამათ ერთიმეორეში აურევდნენ და თან შეულოცავდნენ: „ღმერთო, დაგვიცვე იქნის მოსაუალი თავვისაგან, მჭრელისაგან, კოხისაგან“. ამ დღეს ლახანას (კომბოსტოს) არ გამოაჩენდნენ, რადგან, თქმულებით, ლახანაში დაშალულა იესო ქრისტე — როდესაც ურიები გამოიყვინდნენო, ლახანამ იპატივა ქრისტე ურიებისაგანო.

## 11. ნათლიძა

მეორე დღეს, ე. ი. 6 იანვარს, არის ნათლიძება. ამ დღეს, ძალიან ადრე, „ჩიტის ახვრამდე“ უფროსი სხენზე დაკიდებულ ღორის თავს ჩამოიღებს, მარჯვენა კერძის ღორის ტუჩით დოუჩანქუნებს, მორჯავს, გაასუფთავებს და შერე მოსახარშავად ჩაადგამს. ამავე დროს, ქალი მოზელს პურს, გამოაცხობს პატარა სამ ტაბლას — ჯვარსახიანს, შიდ ჩოურვედა ღორის ქონს — ამ ტაბლებს ეძახიან „ცეროიან ტაბლებს. ღორის თავს, ამ სამ ტაბლას დასდებს ხელგობზე. კეცზე ნაკვერჩხალს დააყრის, ზედ ხანთელს მოაკმევს, ჭიჭა და დოქს შოაშხადებს, და ყველა ამას უფროსი კაცი გაიტანს მარანში დაგოზილ ჭურთან. აქ ჭურთან ხელგობს დასდებს, ჭურს თავს მოხდის, ჭიქით ღვინოს ამოიღებს, გობს წაღმა შოატრიადებს (ჩაჩოქილი ცალ მუხლზე) და ამგვარად შეილოცავს: „ღმერთო, დეიფარე ჩემი ჭურის თავი უწმინდურობისაგან, სლივანებისაგან [ერთგვარი მატლი], ყინვის გატებისაგან.“ შემდეგ ჭიქით ღვინოს დაღვეს, ტაბლას შესჭამს, ღორის თავს ჩამოათლის და შესჭამს. ჭამას რომ გაათავებს, დოქს ღვინით გაავსებს, ჭურს ხელახლა დაგოზავს, დააწყობს ყველა ამათ ხელგობზე და შინ შემოვიდოდა. ეს ყველაფერი უნდა მომხდარიყო შხის ამოსვლამდე. ქალი, რომელიც არ

უნდა ყოფილიყო, ნათლილება დღეს ჭურხე ვერ მივიდოდა „ჭურხის  
ლოცვის“ შემდეგ ოჯახში საუნხმოდ დაჯდებოდნენ, ნასაუნხმვეს კვლავ  
ში წავიდოდნენ, მხოლოდ უფროსი ქალი, დიასახლისი მინ დაჩრებლდა,  
სადილის მოამზადებდა, გამოაცხობდა „სულის პურებს“ და ამ დღეებში  
მომავალ ხუთშაბათამდე მიცვალავს სუფრას წოუდგამდა დღეში თი-  
თოჯერ, სადილობის დროს. ამ დღეებს ნათლილებიდან მომავალ ხუთ-  
შაბათამდე ეძახიან „სული დღეები“-ს. წირვიდან დაბრუნებულნი სა-  
დილის შვეცქვიან.

## 12. სულის დღეები

სულის დღე იწყებოდა ნათლილებას. წოუდგამდნენ სუფრას დღეში  
ერთხელ — სადილად — მკვდრებს არ შემოაღამდესო (თუ ნათლილება  
დღე დაემთხვა ხუთშაბათს, მაშინ ამ დღიდან დაწყებული სულის დღე  
გრძელდება მომავალ ხუთშაბათამდე). გამოაცხობდნენ სამ სულის ტაბ-  
ლას, თითო ჩხირ სანთელს აანთებდნენ, და რაც სადილად ექნებოდათ,  
იმას წოუდგამდნენ. ღვინო უსათუოდ უნდა ყოფილიყო. თუ სულის დღე  
მოეტნეოდა ოთხშაბათს ან პარასკევს, იმ დღეს გააკეთებდნენ „ოგრა“-ს,  
ე. ი. მოხარშავდნენ დაღერდილ სიმინდს ან ღომის კაკალს ისე, რომ არ  
ყოფილიყო სქელი, ზედ მარილს მოაყრიდნენ და ამას წო[უ]დგამდნენ.  
ამასთან, არც პური იყო საჭირო. „ოგრა“ ძალიან სასარგებლო არის  
მკვდრებისთვისო.

## 13. სულის გაღაბრებება

ნათლილების მომდევნო ხუთშაბათს იქნებოდა სულის გაღაბრებ-  
ება. ამ დღისათვის საკალანდო ღორის ჭიღვი [ბუჭის ან თქმოს სახ-  
სრიანი ხორცი] და სამი გვერდი [ნენი] უნდა შეენახათ. სულის პუ-  
რებს გამოაცხობდნენ და სუფრა უნდა წავდგათ მხოლოდ ვახშინათ-  
ვის — ცოტა აღრიანად. ამ დღეს დიასახლისი, ხაბაზი ქალი ვერც რაი-  
მეს შეკვრავდა და ვერც მოქსოვდა — მკვდარს არ ურგება საკურთხიო.  
მკვდარმა სთქვაო: „მისტო-მოსტი [რაიმე ხელსაქნარის (ქსოვა, ჭრა,  
კერვა და სხვა) გაკეთების აკრძალვა] მომეწიე — მიკერ-მოკერ მომე-  
წიეო“-ო და ამიტომ ამ დღეს ცოცხალ ქალმა არც უნდა კეროს და არც  
ქსოვოსო. ამ დღეს სუფრაზე უნდა ყოფილიყო სამი ტაბლა ვკელიანი ან  
ღობიანი, სა(ბ) [მ] ი სულის პური (სულის პურს შუაში სამი თითის და-  
ნახომი აქვს), ღორის ჭიღვი და სამი გვერდი, ღვინო და ერთი ჩხირი  
ნთელი. უფროსი ქალი სამჯერ ღვინოს წოუსხამდა — „გამინათე ჩემი



მიცვალებული სული“-ო; ამის შემდეგ რომელიმე ოჯახის წევრი აიღებს ერთ სულის პურს, შემწვარ სამ გვერდს, ჭიქით ღვინოს და ერთ ნხირ ხანთელს ანთებულს, კარს გააღებდა და იძახოდა: წამობრძანდით წამობრძანდით — თან ღვინოს ცოტ-ცოტას ასხამდა — ამგვარად გავიდოდა ჭიშკრამდე; იქ, ეხოში ამას ყველას შეინახავდა — უფრო ხშირად ხალიაში შესდებდა — ისეთ ადგილას, რომ არაფერი მისწვდებოდა და დილას კი რომელიმე ბავში აღრე ადგებოდა — ხალიასთან მივიდოდა: ხორცს, ტაბლას შემჭამდა და ღვინოს კი დალევდა.

14. მინსარობა (თვალის ლოცვა)

სულის გადაბრძანების სწორზე, შაბათს იქნება მეისარობა. ეს დღე უქმია და ითვლება თვალების სალოცავ დღეთ. დილას ადრე უფროსი ქალი მოხელდა პატარა პურს და იქვე მაშინვე ცეცხლზე კეცს ააუღებდა გასახურებლად, თვითონ კი ამ პურის ცომიდან იმდენ პატარ-პატარა, მრგვალ „კურკუშალებს“ გააკეთებდა, რამდენიც ამ ოჯახში თვალი იყო. მაგ., ხუთი სულია ოჯახში — უნდა 10 „კურკუშალა“ გააკეთებია. ამ პატარა პურის რგოლებს კეცზე დააცხობდა — ეს ყველაფერი დილას, სხვის ადგომამდე უნდა ექნა. ოჯახის წევრები რომ ადგებოდნენ, ხელპირს დაიბანდნენ — დიასახლისი ქალი თვითიველს მიაწვდიდა ორ-ორ „კურკუშალა“-ს და ყოველი მათგანი ორივე ხელებით — მარჯვენა ხელით — მარჯვენა თვალს და მარცხენათი — მარცხენა თვალს — კურკუშელებით ამოისობდნენ და ამგვარად შეულოცავდნენ: „თვალის ლოცვის გამწნო, შენ ააცილე ჩემს თვალებს თვალში ქუქუ [ჯიბლიბო], თვალში ტება, თვალში ჩხელემა [ჩხელეტა], ფარჩხი [ფინჩი], კოდო, ფუნცრუე [წვრილი] ბუზი და ყოველი აუადმყოფობა“ — და უკან ორივე ხელებით ამ კურკუშალებს გადააგდებდნენ. ამის შემდეგ დიასახლისი ქალი მისცემდა უმ კვერცხს, რომელსაც ამოისობდნენ თვალში და იტყოდნენ: „ასე კვერცხით მთელად ამოფეე ჩემი თვალებიო“. ეს კვერცხი შეინახებოდა — მხოლოდ კურკუშალებს კი არ შჭამდნენ. თვალის ლოცვის შემდეგ კაცებს შეუძლოთ ესაქმათ, ქალები კი ვრიდებოდნენ საქმიანობას.

15. მინსარობა ხეობა

ხანათლიდების ორშაბათს ორბელის თემის სოფ. კურცობში იციან „კურცობ ხეობა“. ეს დღე შეწირული იყო ვაჟიშვილის „ბარობაზე“ — ბედზე. ძველად, ამ პატარა სოფელში მომკვდარა ცხრა ვაჟიშვილი და ამ

დღეს ცხრა აკვანი შეუტანიათ ეკლესიაზე და ხალხს შეუწირავს ეს დღე ვაჟიშვილის სახელზე დაუქმდესო. და ყოველ ამ დღეს ამ სოფლის თეთულ ოჯახში გამოაცხობდნენ ყველიან ტაბლას — ერთს ეუწეს უფო ჯიშვილის „ბარობაზე“. ყველიან პურებს, ლავაშებს, ტაბლასს. ერთს წაიღებდა ერთი კაცი ოჯახიდან — უნდა ახელიყონ ფარცის (პატარა მთაა ორბელის თავზე) წვერზე რომ ცაცხვია — ამ ხის ძირში შეიკრიბებოდა ოჯახიდან თითო კაცი. ამავე ხის ძირში დაჯდებოდნენ სუფრად და საღამომდე იყო ლხინი და თამაში. ამ დღეს თუ რამე მოსწებოდათ აქ, სახლში ვერ წაიღებდნენ — ცაცხვის ძირში უნდა დაეტოვებიათ.

#### 16. აბი პარასკვი (ღორის ლოცვა)

მარიაშენობის (ქათმის ლოცვა) სწორზე, პარასკევს არის კაი პარასკევი. ეს დღე უქმია — მეტად ქალებისთვის, კაცები კი საქმობენ. ამ დღეს ქალებს რეცხვა, კერვა და ქსოვა არ შეეძლოთ, რადგან ყველა ამ საქმემ თვალდაფსებული გოჭის მომრავლება იცისო.

ამ დღის საღამოს, ვახშობამდე, დიასახლისი გამოაცხობდა ჯვარსახიან ტაბლას ერთს — ქონიანს. ეს იყო „ღორის სალოცი“. ვახშობამდე ქალი ამ ტაბლას, ერთ ჭიქა ღვინოს, ნაკვერჩხალს, სანთელდაკმეულს, კაცების უწუმრად გაიტანდა, საღორის კარებთან გაჩერდებოდა, ღვინოს და ტაბლას წაღმა შეატრიალებდა და შეილოცავდა: „წმინდა ბასილა, გაამრავლე ჩემი ღორებიო“. ღვინოს იქვე დაღვედა და ტაბლას კი შინ შემოიტანდა, დასჭრიდა და ყველა ოჯახის წევრს უწაწილებდა. მიცემისას უნდა ეთქვა: „ლოცვა ღორს“ — ნაწილის მიმღები კი უპასუხებდა: „ამრავლოს წმინდა ბასილამ“. შემდეგ ივანშებდნენ (ქალის საღორესთან ლოცვის დროს, მამაკაცი ახლოს არ გაივლის).

#### 17. ბოსლობა

„ღორის ლოცვას“ (კაი პარასკევი) მეორე დღეს — შაბათს — ბოსლობა არის. ეს დღე დიდი უქმეა და მიკუთვნილია ხარების ჯანიერებისათვის. ამ დღის სიძლიერის გამომხატველად დარჩენილია. „ბოსლოკოტრო“ ბრძანებდაო: „ქალო, ნუ სტავ ჩერაისა, ზე შევამხოა ხელიასა, ზე დაგაკლავ კერაისა“. ნაშუადღევს, დიასახლისი ქალი შეუდგებოდა სამზადისს: პურს მოცომავდა, ცერცვს ჩაადგამდა; ცოტა რომ პური აიწყოდა (აფუდებოდა), სახელდახლოდ ერთ პატარა ტაბლას — მარილიანს — გამოაცხობდა, ეს ტაბლა ითვლებოდა საოჯახო სალოცავად. კერაისთან, ნაკვერჩხალზე სანთელს დააკმევდა, ტაბლას მარჯვნივ შეატრიალებდა და ამგვარად ილოცებდა: „ღმერთო, დეიფარე ჩემი ოჯახი

ცეცხლისაგან, სახადისაგან, დეიფარე ჩემი ქმარ-შვილი ყოველი მხარე  
ბლისაგან“. ამ დროს მამაკაცი (ქმარი) მივიდოდა და ეტყოდა: „ბოსლა-  
კოტრა მომკოტრე, მომკვიდე ზურგზე“. ამ ქალს შეიკოტრეს და ზურგზე  
და კურიას გარშემო სამჯერ შემოივლიდა. (არსენა გვიდიანის [წიგნი] 12)  
გადმოცემით — მას ძველებიდან გაუგონია, რომ ამ დროს ქალი და კაცი  
სულ ტიტლიყანა იყვნენ). ბოსლა-კოტრა-ს დროს სახლში არვინ არ  
უნდა ყოფილიყო. ამის შემდეგ ეს ცოლ-ქმარი პატარა საოჯახო ტაბლას  
შეჭამდნენ... ეს ყველაფერი სამხრობის დროს უნდა მომხდარიყო. შემ-  
დეგ ვახშმის სამზადისი იწყებოდა: უნდა გამოეცხოთ სამი ცერცვიანი  
ტაბლა — საოჯახო სალოცი და სამი უფრო პატარა — ცერცვიანი, ეს  
ხარების სალოცი იყო. დადამებისას, სანამ ვახშამს დაიწყებდნენ, უფრო  
მამაკაცი და შეძლებული ვაჟკაცი წაიღებდა ხარების სალოც ტაბლებს,  
ერთ ჭიქა ღვინოს, იმდენ უმკვერცხს, რამდენიც ხარი იყო ოჯახში, და  
ანთებულ სანთელს ბოსელში და მიიტანდა მუშა ხართან, რამდენიც არ  
უნდა ჰყოლოდა ხარები, ყველას წაღმა შემოავლებდა თავზე და ასე ეტ-  
ყოდა: „მუშა ხარის გამჩნეო, მიმყოფე კარგად ჩემი ხარები, ნურაფერს  
გაუჭირებ, დეიფარე ჭირისაგან, ყოველი ფათარაკისაგან; ამყოფე ჯანზე  
და ღონეზე“. ამ ლოცვას რომ გაათავებდა, ხმამად [ლ] ადაიძახებდა: „მა-  
მანემო, რომელს ურქნო?“ — „ნიკორას ურქინე, შვილო, ნიკორას“ —  
სახლიდან გამოსმახებდა მამა ან სხვა და ეს კაცი მარჯვენა მუხლს წოუ-  
ჯიკვინებდა ნიკორას და თან ეტყოდა: „ჩემო ნიკორა, ჯანიერად მყო-  
ლე“ — შემდეგ წაღმა მობრუნდებოდა, კურცხებს მარჯვნივ ბაგაში და-  
მაღავდა ბუხუროში, რომ ხარებს არ გაეტქბა, და თვითონ ტაბლებით და  
ღვინით შინ შემოვიდოდა და ყველა ამით სტოლზე დასდებდა. კაცი რომ  
ხარებს ულოცავდა, იმავე დროს უფროსი ქალი საოჯახო ტაბლებს გობ-  
ზე დააწყოებდა, სანთელს აანთებდა, ღვინოს ჭიქით გობშივე ჩადგამდა,  
ამ გობს კურიასთან მარჯვნივ წაღმა შეატრიალებდა და ამგვარად ილო-  
ცავდა: „ღმერთო და გამჩნეო ძალა, ჩემი ოჯახი მიმყოფე კარგად, ჯანიე-  
რად; დეიფარე ჩემი ქმარ-შვილი ბოროტისაგან“ — ღვინოს დალევდა,  
ბოლომდი დასცლიდა, ჭიქას დააპირქვაებდა და იტყოდა: „როგორც ეს  
დავცალე, ისე გაჭირებისაგან დასცალე და დეიფარე ჩემი ოჯახი“.  
ამის შემდეგ უკვე დაჯდებოდნენ ვახშამად. ეს ტაბლები, როგორც საოჯა-  
ხო, ისე ხარების, აქვე უნდა შეეჭამათ ყველას — ხარების თავზე შემო-  
ნავლებ ღვინოს შოლოდ ის დალევდა, რომელიც ხარებს შემოავლებ-  
და. ბაგაში რომ კურცხებს ინახავდნენ, იმას მეორე დღეს ოჯახის პატარა  
ვაჟიშვილი დაეპატრონებოდა, მაგრამ თუ არ იყო ასეთი, მაშინ ის წავი-  
დოდა და შეეჭამდა კურცხებს, ვინც წინა დამეს ხარებს თავზე შემოავ-  
ლებდა ტაბლებს. ოჯახის ქალიშვილი კი ამ კურცხებს ვერ შეეჭამდა.



ხორციელის დაურწყების<sup>2</sup> კვირაში ოთხშაბათს ეძახიან მკვლელობის ოთხშაბათს. ამ დღეს უსათუოდ ყველას უნდა ეთმო. შეიძლება ყველა ოთხშაბათებს ეჭამა კაცს სახსნილო, ამ დღეს კი ბავშვსაც არაუინ აჭმევდა სახსნილოსო. ამ დღეს იმდენად დიდი მარხვა ყოფილაო, რომ ძაღლისათვის რომ დაგვდო რაიმე სახსნილო, პირს არ მიაკარებდაო. ისე უქმი არ იყო.

## 19. ძაღლის პარასკევი

ძაღლის ოთხშაბათს რომ პარასკევი მოსდევს, ის იყო ძაღლის პარასკევი. ისევე თმობდნენ, როგორც წინა ოთხშაბათს.

## 20. სულთა შაბათი

ძაღლის პარასკევის მეორე დღე იყო სულთა შაბათი. ამ დღეს ქალები უქმობდნენ: ქსოვა და კერვა არ შეეძლოთ, მამაკაცი კი ხარებსაც აუღლებდა. დილაზე ადრე დიასახლისი ქალი მოაშხადებდა „ხარჯს“ სუფრის წასადგამად. თუ ახალი მკვდარი პყავდა ოჯახს, ის უფრო მეტად მოეშხადებოდა. გამოაცხობდა „სულის პურებს“ — შუაში სამი თითით ამობურცულს, ჩიდ-[შივ] უნდა ყოფილიყო ყველი ჩართული. დაკლავდნენ ქათამს ან ბატს. ახალი მკვდრის პატრონი ქალი საფლავზე წაიღებდა მთელ ქათამს, სამ სულის პურს, ერთ ბოთლ ღვინოს და სანთელს. იქ მღვდელი აკურთხებდა ამ საკურთხეს, მერე კი ნახევარ ქათამს, ორ სულის პურს და ერთ ბოთლ ღვინოს ღვდელი წაიღებდა, დანარჩენს კი შინ წამოიღებდა. თუ ახალი მკვდარი არ პყავდათ, სულის დღე მაინც იცოდნენ ოჯახში ამ შაბათს. სამი სულის პური, ღვინო და სხვა, შეძლებისდაგვარად, (ი) [უ] სათუოდ უნდა წაედგათ სადილობამდი. სუფრის წადგმის შემდეგ სადილად დაჯდებოდნენ.

## 21. დაურწყება

სულთა შაბათის მეორე დღეს, კვირას, დიდმარხვის ხორციელის დაურწყება იყო. ეს დღე განსაკუთრებით „მიკუთვნებული“ იყო სახლის „ბარახე“. სადილთან ერთად დიასახლისს უნდა გამოეცხო ერთი პა-

<sup>2</sup> დაურწყება — მარხვის დღეების წინა დღე, როდესაც სახსნილოს ჭამა შეიძლებოდა. თუ ორშაბათს მარხვა იწყებოდა, კვირას დაურწყება იყო (რედ).



ტარა ტაბლა — ჯვარ-სახიანი, შიდ უნდა ჩაერთო მარილი, შეიქმნე-  
ბოლა ნიგოზიც, ყველიც; უფრო ხშირად მარილს ხმარობდნენ ეს ტაბლა  
იყო „სახლი თავი სალოცი“. მამაცი კაცი მიაყუდებდა სახლს სახსრებს  
თან კიბეს (სხვა გზით არ შეიძლებოდა) და სახურავზე უნდა აეტიხა  
„სახლი თავი სალოცი“ — ტაბლა, ჭიკით ღვინო და ანთებული სანთე-  
ლი. სახლის თავზე კაცი ტაბლას წაღმა შეატრიალებდა და ილოცავდა:  
„ღმერთო, დეიფარე ჩემი სახლი ცეცხლისაგან და ყოველი გაჭივრები-  
საგან“ — იქვე ტაბლას შემჭამდა, ღვინოს დაღვდა და ძირს ჩამოვი-  
დოდა კიბესე — მხოლოდ ჩამოსვლისთანავე კიბე სხვა ადგილას უნდა  
გადაედგა, რადგან ცუდია, რომ კიბე დარჩენილიყო იმ ადგილას მიყუ-  
დებული. ვახშად, დაურწყება ღამეს უნათუოდ ხორცი — შაშხი — უნდა  
ჩაუღვათ. ხორციელის დაურწყების სამშაბათს ცაჯრში ქალები იჭერენ  
კაცებს: პატარა ბაწარს ან ღვედს გადააცვამდენ თავზე და უცვებ შესძა-  
ხებდენ: დაჭირული [დაჭერილი] ხარ! — დაჭირული კაცი ვალდებული  
იყო რაიმე ხარჯი გაეღო, უფრო ხშირად საჩუქრით გაისტუმრებდა  
ქალს: ან ფულადი საჩუქრით ანდა კაბით. ეს უფრო ხშირად ახლო  
მეზობლებში იცოდნენ.

## 22. თხილი რეზაბაბი

ეს დღე დიდ უქმედ ითვლებოდა და ამ დღეს ორბელის თემში დიდი  
დღეობა იცოდნენ. ამ თემში შემავალი სოფელი — სუნანიური, ქოლბანი,  
კურცობი, ჩრალი — თავთავიანთ სოფლებში აწყობდნენ დღეობას. წინ-  
დაწინ აირჩეოდნენ რომელიმე ოჯახის დიდ სახლს და ამ სახლში მოიყ-  
რიდა ხალხი თავს. ისეთი ოჯახი მკირად იქნებოდა, რომ ამ დღისათვის  
არ გამოეცხო ერთი ბათმანი პური თავისი ყველიანებით და თან ერთი  
მენახვერე ღვინოც უნათუოდ უნდა გაეღო (15 ბითლი). ეს ღვინო მამუ-  
ლის შესაწირად ითვლებოდა — კოხის საწინააღმდეგოდ. ჩვეულებ-  
რივი ყველიანების გარდა, კიდევ უნდა გამოეცხოთ ამ დღისათვის სამი  
„სამშვიდონო ტაბლა“ — ყველიანები. ეს დასახლებული უნდა წაეღოთ  
თვითოეულ ოჯახიდან არჩეულ დიდ სახლში; ოჯახიდან სამი მაინც  
წავიდოდა — რაც მეტი წავიდოდა, თან მეტიც უნდა წაეღოთ, მხოლოდ  
ღვინო კი ერთი მენახვერე სავალდებულო იყო. ყველა რომ შეიკრიბებო-  
და, მოვიდოდა მღვდელი და თვითოეულ ოჯახის წევრს მიჰქონდა მას-  
თან ერთი ტაბლა და მენახვერე ღვინო. მღვდელი ტაბლას აიდებდა ხელ-  
ში და ამგვარად დაილოცებოდა: „დეიფაროს ღმერთმა ბოროტისაგან,  
კოხისაგან შენი ვენახი; დეიფაროს ღმერთმა შენი ოჯახი სნებისაგან,

გაჭივრებისგან, გამრავლოს ღმერთმა!“ მენახვერებაც შემდეგ აიღეს და და ხმაძალა განაცხადებდა: „ეს მენახვერე ღვინო შემოსწირა თვამე/ პეტრემ ან სხვ. — დაღოცოს ღმერთმა!“ — ხალხიც იგრიადლებდა დაღოცოს ღმერთმა, დაღოცოს ღმერთმაო. ასე, ამ წესით თვითმეტყველებდნენ ხის წვერი მოიტანდა თავის წვლილს, დააღოცვინებდა მღვდელს და ხალხს და შემდეგ კი ყველა სუფრას გააწყობდა: სადილობას გააჩადებდნენ. სანამ სადილზე დაჯდებოდნენ, გაისტუმრებდნენ მღვდელს: უნდა მიეცათ ერთი ყველიანი ტაბლა, ორი ან სამი ღვავაში და თითო ბოთლი ღვინო. შემდეგ სუფრას მიუჯდებოდნენ; შეიძლება თავ-თავისი სუფრა მოეტანათ, ყოველ შემთხვევაში, თვითოეული ოჯახი თავის წვერებში იჯდა და წინ თავის „ხარჯი“ ეღვა. ყველა რომ სუფრას მიუჯდებოდა, აირჩევდნენ „ტოლიბაშ“-ს. კინც ყველაზე უფრო „უხრებელი“ მიანნდათ, იმას აირჩევდნენ „ტოლიბაშად“, რომ ჩხუბი და რაიმე ბოროტი არ მომხდარიყო ამ დღეს. ღმერთის ხსენება პირველ სასმისზე ყველასათვის სავალდებულო იყო, და მერე კი ჩამოჰყვებოდნენ თითოეულ ოჯახს და დაასახლებდნენ ოჯახის უფროსს [ს]. სადილობაზე ერთი მეორეს მიაკითხავდა, ე. ი. შესთავაზებდა ყველიანს, ერთ ჭიქა ღვინოს, გვარჯილის ნაჭურს (სულგუნის). შეიძლება საღამომდე დარჩენილიყვნენ, რადგან სიმღერა, ცეკვა ამ დღეს ძალიან მიღებული იყო. საღამოს, როცა ხალხი დაიშლებოდა, ოჯახის ქალი შეავაროებდა ნარჩენებს, თუ ასეთი რამ დარჩა, და შინ წამოიღებდა. საღამოს ოჯახის დიასახლისი გამოაცხობდა „ძროხის სალოც“ ტაბლას — ყველიანს; ამ სალოცს გაუკეთებდა ძუძუებს: თან ჯვარის სახეც უნდა ჰქონოდა. ამ ტაბლას, ჭიქით წყალს და ჩასაკმევე სანთელს გაიტანდა დიასახლისი ძროხასთან და წადმა შემოავლებდა თავზე და ამგვარად შეულოცავდა: „ღმერთო და ძროხის გამწენო ძალა, გამიმთავნე ჩემი ძროხა, დეიფარე ყოველი ჭირისაგან“ — ამ ტაბლას ძროხის ზურგზე შუაზე გადატეხს და იტყვის: „ღმერთო, ჩემი ძროხა გააკეთე, ცარიელს ნუ დატოვებ“. ცაგურში მითხრეს ასეთი ლოცვა ძროხის: „ღმერთო, მიეც ჩემს ძროხას კაი ძუძუ, მკერდი, კაი მოღავი, ისკვილა თავარანგულოზო, გამიმრავლე ჩემი საქონელი“. ამ ტაბლას მხოლოდ გათხოვილი ქალი შემტამდა, კაცი კი — ვერა.

### 23. მსვლიერი საშვამათი (სამაგურება) (მანანი)

ამ დღეს კაცები იჭერენ ქალებს: ღვედს ან თოქს გადააცემენ კისრზე და შესძახებდნენ: დაჭირული ხარ! — ქალი ვალდებული იყო გამოეცხობ მისთვის ყველიანი, ქათამი შეეწვა, ღვინო მოეტანა. ახლო მეზობლობაში შეიკრიბებოდნენ და ცდილობდნენ მკტი დაეჭირათ ქალები, რომ მათ ხარჯი გადაეხადათ.



ყველიურის შიშის სკეპტიციზმის სულისკანაობის გამო, ამ დღეს ქალები უმთავრესად ბენ და კაცები კი არა, რაც უნდა ძველი მიცვალებული პედიკურის მემკვიდრეობის დღეს მაინც სავალდებულო იყო სუფრის წადგმა სადილობად, არა, არ უნდა ღარიბი ყოფილიყო ოჯახი, ამ დღეს ერთი კერძი მაინც უნებოდა და სუფრა უნდა წაედგა.

## 25. ახალი წლის დღე

უქმა. სადილ-ვახშმად ცდილობენ რაც შეიძლება მეტი ყველი ვაჭარობთ. ამ კვირას ყველიურის კბილის საწმენდს ეძახდენ, რადგან ყველი სწმენდს კბილებს ხორცის ნამცეცებისაგან. დაურწყებას, სადილის სავახშმოდ ადრევე ეზადებიან; რადგან ვარსკვლავების ამოსვლის შემდეგ უკვე დიდი მარხვა იწყება. ვახშმად რაც შეიძლება მეტი ყველი, უსათუოდ ღომი და კერძები უნდა პქონებოდეთ. ნავახშმებს ღომის, ყველის ფინხები — ნამცეცები და კერძების ღებჭეჭო უნდა შევეროვებიათ და საინით შეენახა დიანახლისს. ზოგიერთ ოჯახებში კი ამგვარად იცოდენ: დაურწყების ვახშამზე ნარჩენ ფინხებს თითოეული ოჯახის წევრი მოაგროვებდა და კერძების ღებჭეჭოში ჩაყრიდენ — ამასაც მეორე დღისათვის შეინახავდენ. ამ დამეს პირს გამოირეცხავდენ, ხელ-პირს დაიბანდენ და ადრინადა დაწვებოდენ. სუფრის წადგმა არ იცოდენ ამ დღეს.

## 26. შინა ორგანიზაცია

მეორე დღეს შავი ორშაბათია. ამ დღეს უფროსი ქალი ძალიან ადრე ადგებოდა, დასწმენდ [ღ]ა ყველაფერს, დამდულრავდა, რომ ყველის ნამცეცი არ შეკვლიოდა. ამ ხნის განმავლობაში ოჯახის წევრებიც წამოდგებოდენ. მეორე კი დიანახლისი გამოიტანდა წინა დამის — დაურწყების — დანარჩენ „ფინხებს“ [ნამცეცები], რომელიც საინში პქონდა შენახული, გადუყრიდა ქათმებს და ბავშვს ეტყოდა: დაგორდი ზედი ბავში, სულ ერთია ბიჭი იქნებოდა თუ გოგო, დაგორდებოდა ქათმებს და შესძახებდა: „გამიმრავლე ქათმები, დეიფარე ჭირისაგან და ფათარაკისაგან!“ მეორე ვერსიით, ამ ნაფხვენებზე უნდა დაგორებულიყო სქელი ქალი და დაეძახა: „ჩემ სისხვანი დედალყვრული, ჩემ სისხვანი დედალყვრული“. ზოგიერთ ოჯახებში კი — კერძების ღებჭეჭოში რომ პქონდათ შენახული დაურწყების ნარჩენი ნაფხვენები, იმას შავ

ორშაბათს დილას ერთი ბავში წაიღებდა სახლიდან ისე, რომ უკან არ მოეხდინა და რაც შეიძლება შორს უნდა წასულიყო და შორსავდა დაეძახებოდა, რომ შელა შორს იქნეს და ახლოს არ მოგვეკაროსო. ეს იქნებოდა „მელის არჩივი“. შავი ორშაბათი დღე დიდ უქმედ ითვლებოდა. ამ დღესვე იწყებოდა თმობა. უფროსები სულ არაფერს სჭამდნენ საღამომდი, განსაკუთრებით უფროსი დიასახლისი. საღამოს ლოცვაზე წავიდოდნენ. ოჯახში დარჩენილი ქალი გამოაცხობდა ორ ტაბლას მარილიანს. ერთი ტაბლა იყო „ვიბეიას და ვაეიას ხალოცი“ და მეორე „საბეწაო ტაბლა“. „ვიბეიას“ ტაბლას რომ დააცხობდა კეცზე, ზედ საღვინე ჭიქას დაამხოდა ჯერ პირით, მერე ზურგით — საბეწურ და ასე გამოაცხობდა. საღამოს ლოცვიდან რომ დაბრუნდებოდნენ — სუფრას მიუხებდებოდნენ, დიასახლისი ამ ტაბლას გადასცემდა ოჯახის წევრს — უფრო მამაც(ს) კაცს და თან ჭიქით ღვინოს. ეს კაცი შეილოცებდა ამგვარად: „ვიბეიას და ვაეიას შოუნდოს ღმერთმა“, — დასჭრიდა ამ ტაბლას იმდენად, რამდენიც ოჯახში სულია, თითო ნაწილს ჩააწებდა ღვინოში და ისე მისცემდა ოჯახის წევრს, რომელიც ეტყოდა: „ვიბეიას და ვაეიას შოუნდოს ღმერთმა“-ო და შესჭამდა. ამგვარად, ეს ტაბლა, ღვინოში ჩასველებული, ოჯახის ყველა წევრის მიერ შეიჭმებოდა. ხარჩენ ღვინოს კი უფროსი კაცი დაღვვდა. ამის შემდეგ იწყებოდა ვახშმობა... „საბეწაო ტაბლა“-ს კი დიასახლისი მზის გადახრის შემდეგ გამოაცხობდა: ის უნდა ყოფილიყო ჯვარსახიანი. ამ ტაბლას, ჭიქით წყალს, ნაკვრჩხალზე დააყრიდა საკმეველს და ყველა ამას დასდებდა თუეშზე და მიადგებოდა კუთხეს, სადაც ბუჯური (სახლის კუთხეში დატანებული თარო) იყო. ამ თუეშს ბუჯურზე დასდგამდა, თითონ აიღებდა ძაფს, თითონ, საჩვენებელს წყლით სავსე ჭიქაზე გადასდებდა, და ძაფს ამ თითზე ნელ-ნელა დაახვევდა და ამგვარად შეილოცებდა: „რაფარც მე ვახწმინდილი ვარ დღეს სმისგან, ჭამისგან, ჩქისგან, პენტისგან, რეცხისგან, კერვისგან — ისე ვახწმინდე, ღმერთო, ჩემი ნაშხალი ყველაფერი უწმინდურობისაგან“. მერმე ამ ძაფს დასწავებდა ნაკვრჩხალზე, წყალს ყველა კუთხეში მიმოასხამდა და ტაბლას შეშეჭამდა. კაცებს ამ ტაბლას არ აჭმევდნენ, დანარჩენ ქალებსაც შეეძლოთ იმის ჭამა... „ვიბეიას და ვაეიასთან“ დაკავშირებით ასეთი თქმულებაა დარჩენილი: ერთ დროს გველეშაპს წყალი მოუსპია, ისე ძვირი გამხდარა წყალი, რომ კაცს ჰყიდდნენ, ოღონ წყალი ეშოვნათ. სადაც გაჩენილან ეს ორი კაცი „ვიბეია და ვაეია“. „რა(შ) [ღ] აცა მხეცი გამოჩნდა“ — მხეცისა მტერი ვიბეია-ვიბეია და მის შვილს ვაეინას შოუნდოს“ — ამ ორ კაცს ოუშვიათ წყალი და ამის შემდეგ ყოველი შავი ორშაბათი მათ სახსენებლად არის

განკუთვნილიო. ამ დღეს ხელს არ ახლებენ რკინეულს: დანას, ცულის; სანდუკს თავს არ ახლიან და არც სავარცხალს იხმარენენ, რკინეულს აუნებს და ამიტომ გვაქვს შეწირულიო.



## 27. თედორობა

შავი ორშაბათიდან დაწყებული შაბათამდე თმობის კვირაა, შაბათი დღე კი — თედორობა. ამ ერთი კვირის განმავლობაში, დილა-საღამოს საღოცავად უნდა ვვლოთ. ათი სული რომ ყოფილიყო ოჯახში, შვიდი ან რვა მაინც მთმობელი იყო. თედორობა დღეს კი აიღებდნენ ზიარებას. თუ ოჯახში ახალი მკვდარი იყო, მაგ., ორი ან ერთი წლის, ამ დღისათვის უნდა მოეშადებინათ ხარჯი: კვახის კაკლის საჭამადი, ლახანა, ქართ [ო] ფილი; გამოხდებდა ნიგვზის ზეთს ქართოფილისათვის, გამოაცხობდა სამ სულის პურს, ღაფაშებს. ყველა ეს ჩამოთვლილი საჭამადი თავისი პურით, ღვინით — ერთი დოქი — უნდა წაეღო საფლავზე და ზედ საფლავზე დააფენდა. წირვა რომ გათავდებოდა და მთმობელები [მარხვის შემნახველი] ზიარებას მიიღებდნენ, გამოვიდოდა მღვდელი და ყველა საფლავებს ჩამოივლიდა, დააკურთხებდა, მიიღებდა თავის წილს: ერთ სულის პურს, ერთ ღაფაშს და ერთ ჭიქა ღვინოს — ყველასაგან. დანარჩენ საკურთხის ჭირისუფალი შინ არ წაიღებდა — მოზიარებებს დაურიგებდა: „მოუნდეთ ჩემს მკვდარს“ — ეტყოდა. თუ ოჯახი შეძლებული იყო, ამ დღისათვის უკანასკნელი ერთი ბათმანი პური უნდა გამოეცხო თავისი საჭამადით და ღვინით — ამას ყველას მთმობელებს ატყვევდა: ჩემ მკვდარს შინდობა შეუთვალეთო. საღამოსათვის ოჯახის უფროსი ქალი მოხვდებოდა პურს, გამოაცხობდა სამ ლობიოჩართულ ტაბლას — „ნათეს-ნამუშევარის საღოცი“ და მეოთხე — ესეც ლობიანი — „საცეხველი ტაბლა“; „საცეხველი ტაბლა“-ს იმდენი ხელ-კავის გამოხატულება უნდა აქონებოდა, რამდენიც ქალი იყო ოჯახში. ამით გარდა გამოაცხობდნენ: სახნისს, თოხს, ნაჯახს, ნამგალს, ცელს, ბარს; ყურძნის მტკვანი, ტარო, ლობიოს პარკი, ცურცვის პარკი, პურის თაველი — ყველა ეს დამზადებული იყო ვახშობამდე და დიასახლისი ცალკე გობით დადგამდა. ჩამოქნიდნენ სანთელს, გობს მიაკრავდნენ. ზედ გობზე ჭიქით ღვინოს დასდგამდნენ და უფროსი ოჯახის ქალი, დანოქილი მარჯვენა კერიასთან ამ გობს წაღმა მოაბრუნებდა სამჯერ და ამრიგად შეიღოცავდა: „ღმერთო, ნუ წამიხდენ ჩემ ნათეს-ნამუშევარს, დეიფარე მატლისაგან, ცუდი მოქმედობისაგან; მიმყოფე კარგად ჩემი ქმარ-შვილი — ჩემი ოჯახი; სანამ ცოცხალი ვიქნე არ დავაგლო შენი შეხვე-

წილი და ღვთის ეკერება“. ამ ლოცვის შემდეგ, გობს დადგამს სურათს, ღვინოს თვითონ დაღვს და ვახშამს შეუდგებიან. სამ ტაბლას — „ნათეს-ნამუშევრის“ — ყველა შემჭამდა და სხვა დანარჩენებს, ცოცხლებს, მეს, „თედორობას“ არ შემჭამდნენ. ყურძნის მტკვანის გამბნა, ყურძნის პატარა ბიჭი გაიტანს გარეთ, ვენახში და თან იძახის — „ლუხ, ლუხ — დიდი მტკვნები შეიბი“. — რამოდენიმეჯერ; ვენახში ამ მტკვანს — პურისას, ეს პატარა ბიჭი გადამაღავს კოროლში, რომელიც ამ დღეს ხარდანზე ჩამოაცვებს და მეორე დღეს თვითონ შემჭამდა. დანარჩენი გამოხატულებანი იმ დამეს რჩებოდნენ შინ — გობში შენახული. მხოლოდ მეორე დილას, უფროსი ქალი გამოიტანს „საცეხველა“-ტაბლას, ჭიქით წყალს, მივა საცეხველასთან, ამ ტაბლას სამჯერ შემოავლებს და შეილოცავს: „ღმერთო, მომეცი ამაში მოსაცეხვი პური, მახა, ხანდური; ნუ დამიღვე შენ წყალობას, გამწერო ძალა, რაც ხარ კაცის მწყალობელი“. ჭიქით წყალს გადააქცევდნენ და ამ ტაბლას ყველა ოჯახის „ნავეირგვინებ“ წყერს აჭმევდნენ — ქალებს. უვეირგვინოს რომ „საცეხველა“ ტაბლა ეჭამა, დიდი „დრიხი“ [საჯდომი] გაეხრდებოდაო და ამიტომ არ აჭმევდნო. დანარჩენ გამოხატულებებს ამ დღეს ყველა შემჭამდა: ქალი, კაცი და ბავშვი.

თქმულებით — თედორე დიდი მუშა იყოო და წმიდა მუშა თედორეს ეძახდნო.

## 28. შუა მარხვა

სამკვირანახვეარი მარხვისა რომ გაივლიდა, შუა მარხვა დადგებოდა. ეს დღე სამუშაო დღე იყო, მხოლოდ ქალებს სამი თავი რამე სამუშაო უნდა შეესრულებიათ, მაგ., რეცხვა, კერვა, ქსოვა. თუ ერთ თავს საქნარს დააწვეი — უბარაქობა იცისო, შუათ გაიყოფა და ამ საქმეს ხეირი არ მოუვაო.

## 29. მხრა მარტი

მარტს ეძახდნენ „თვეთ ბატონი“-ს, რადგან იმას მუდამ ფერება უნდა, თორემ ანჩხლია და გაავება იცისო. ამ დღეს, ცხრა მარტს, უქმობდნენ. სადილის დროს გამოაცხობდნენ ერთ ჯვარსახიან ტაბლას: „მარტის სალოცი“-ს, ნიჭვზიანს ან მარილიანს. სადილის წინ, ოჯახის უფროსი კაცი აიღებდა ტაბლას, ღვინით სავსე კულას ხელში დაიკავებდა, ღვინიან ღოქს გვერდზე მოიდგამდა, მარჯვნივ კურიასთან დაჯდებოდა და ასე დამჯდარი ტაბლას წაღმა შეატრიალებდა და ამ რიგად შეილოცავ-

და: „თვეთ ბატონო მარტო, ნუ გავვიმანწინარდები; არც ნაკარი გავარყოთ, არც ჯარჯი დავწვათ, არც ნაკილი გავიტანოთ, არც ქვეშაგებელი გავიტანოთ დღემდი; თვეთ ბედნიერო, შენი შეხვეწილუარ დავაგდო, გვაძოფე კარგად და ბედნიერად“; იმ კულას გვმისცემდნენ სადილობაზე უნათოდ ცხრა კულა დვინო უნდა დაეღია. ცხრა მარტამდე არც ქვეშაგებელს გამოიტანდენ საშუალოდ, არც ნაკელს გაიტანდენ, არც თესვა შეიძლებოდა, არც ჯარჯას დაწვა; თვეთ ბატონი გამაწინარდებო.

### 30. ხარება

25 მარტს ხარებაა. სულ ძველად ეს დღე უქმი არ ყოფილა, მხოლოდ ამ ბოლო ხანებში დიდ უქმედ გადაიქცა. და ყოველ საქმიანობას ვერიდებოდით. დარჩენილია თქმულება ამ დღის შესახებ: ერთ ოჯახში რძალი უჯდა ქსელს; დედამთილი ეხვეწებოდა: ნუ ქსოვ, დედა, ხარებაა დღეს. რძალმა უპასუხა: „ხარება და ხარხარება, ჩემს ქმარ-შვილსა გახარება; მოუქსოვ ქსელსა, ჩემ ქმარ-შვილსა გავახარებ“. განაგრძო ქსოვა; დედამ სამჯერ გააფრთხილა, რძალმა სამჯერვე ასეთი პასუხი მისცა, მაგრამ უცებ მაჯა გაუწერდა, ქსოვა ვერ შესძლო; ამჟღიდა რძალი ქსლიდან და სთქვა: „დედას ქვე სცოდნია და მე კი არ დაუჯერო“. ამის შემდეგ ამ უქმეს მაგრად ვინახავდითო. ლოცვა, ტაბლების გამოცხობა ამ დღეს არ ვიცოდითო.

### 31. გზობის შხაბი

ამ დღეს შუადღემდი მუშაობა შეიძლებოდა, მხოლოდ ნაშუადღევს დაიუქმებდენ. ოჯახის ქალი დააღამაზებდა, დასწმენდა კარ-უკრეს, ეზოს, თუ რომელიმე ოჯახს ახალი შეძენილი „კერძი“ [მოკეთე] ჰყავდა, მაშინ ეს ოჯახი ეშხადებოდა „ხალათი“-ს გასაგზავნად. მაგ.: შემოდგომანზე ოჯახები დამოყვრდენ, ქალს ქორწილში ძმობილად ვინმე სასურველი პირი ოჯახისათვის გაჰყვა და ამის შემდეგ ერთიმეორისათვის დობილ-ძმობილად ითვლებოდენ. ამ გზობის შხაბისათვის დობილს ვვალეებოდა მოეშხადებია ძმობილისათვის „ხალათი“. „ხალათში“ შედიოდა: ახალუხი, საცვლები, პირსახოცი, ქ(ე) [ი] სა და ცხრა შედებილი კვერცხი. ვველა ამას დობილი თანდათან ამზადებდა, იძენდა, აგროვებდა, რომ გზობის შხაბის შხად ყოფილიყო. ამ დღეს, თუ ახალი ძმობილი ძალიან საბატევეცემულო იყო, მაშინ დედამთილი შეხვევდა ფუთაში

და თვითონ წაიღებდა, თუ არა და მული იქნებოდა „ხალათი“-ს წამდები, ყოველ შემთხვევაში, მამაკაცი ვერ წაიღებდა — თუ დედამთილს ან მულს არ შეეძლო, მაშინ სხვა ოჯახის წევრი ქალი მაინც უნდა წამდებოდა. ძმობილის ოჯახში „ხალათი“-ს მომტანს შეეძლო, მაშინვე გეარად, დაუხვედებოდნენ და წამოსვლისას უსათუოდ საჩუქარიც უნდა მიეცათ. რაც უნდა უკანასკნელი ოჯახი ყოფილიყო, სამ მანეთს მაინც აჩუქებდა „ხალათი“-ს მომტანს. დედამთილი ან მული იმ დამკს უსათუოდ შინ უნდა დაბრუნებულყვნენ.

### 32. ბზობა

ეს დღე უქმი იყო. ღოცვა, ტაბლების გამოცხობა იმ დღეს არ იცოდნენ. კლესიაში წავიდოდნენ და იქედან მოიტანდნენ ბზეს. შინ მოსვლისას ამ ბზას თვზე შემოვიღებდნენ და მერე ნაჯერჩხალზე დასდებდნენ: თუ აპუტკუნდებოდა ცეცხლზე — ეს ნიშნავდა, რომ ბჳერ ხანს ვიცოცხლებო და თუ მალე დეიშრიტებოდა — მალე სიკვდილს ნიშნავდა.

### 33. დიდი ხუთშაბათი

დიდ ხუთშაბათს რაც შეიძლება ადრე უნდა ამღგარიყვნენ უბრად ქალი და კაცი. ქალი აიღებდა ჩერიას და შავ ნართს, უბრად შესტავდა და მარჯვენა ხელის მაჯაზე ყველა ოჯახის წევრს შეაბამდა. ამ ძაფს ეძახიან „ნაუბარი ძაფს“. საქონლისათვის კი მეშს — ტყავს — გამოკერავდა და ნალოც ბალახს ჩასტენიდა. ამის მოშხადებაში ქალი თან უღოცავდა კიდევაც: „სახელითა, ღვთითა, ძითა, მამითა, სულითა, შვილოცავ თვალღმისასა [თვალისასა], ყოველივე ქვეყნისასა, შინაურისასა, გარეგანისასა, შავთვალისასა; ვინც იყოს შენი მოღაბნიელი [ცუდი თვალის მქონე] დამოხარბიელი — თვალთა ნაცარი, გულსა დადარი — ვინც შენი გამთვალავი იყოს და გამღალავი; გამოსკდა წითელი კლდე, გამოჰყვა წითელი გველი, გადაუკრავთ სიძსა ქვასა; ის რო სკდება, ის რო გჯება [სკდება] — ისთე გული გოშჯება, ვინც ავი თვალის და ავი გულის იქნეს; შენ ჯვარი დაგწეროს, მისი გათვალოს, მისი გაღალოს“. ნათვალის წამალს შეაბამდა მეწველ ძროხას და მუშა ხარს. შემდეგ ქალი უბრადვე მიდის წყალზე — კოდზე, შემოიტანს — ეს იქნება „ნაუბრ წყალი“, ამ „ნაუბრ წყალ“-ს მოახურებს სახლის ყველა კუთხეს, შემდეგ ამ წყლით მოხელს ცოტა სიმინდის ცომს და (უბრად) აჭმევს გოჭ-ქათამს და წერილფება საქონელს. ამავე დროს, დილაადრიანად, უფროსი კაცი, უბრად ისიც,


წასულია ტყეში ვერხვის ან შწარე ბაღის ტოტის მოსატანად. ეს ტოტი რაც შეიძლება გრძელი უნდა ყოფილიყო, თან შოიტანდა ასკილს, ვერხვის ან ბღის ტოტს წვერში ჩასჭრიდა, შედ პორიზოტრად უნდა ასკილს ჩაარტობდა და ამგვარად დიდ ხუთშაბა[თ] დიდებს უნდა წაახობდა. ამას ეძახდენ „ნაუბარი საყე“-ს. [უბრჯდ მოჭრილი ხარი]. ეს „ნაუბარი საყე“ დიდ ხუთშაბათიდან ივანობადღე იქნებოდა კალო-ზე. ყოველივე ამის შემდეგ ლაპარაკი შეიძლებოდა. შუადღემდე მიწის „განძრევა“ ე. ი. დამუშავება შეიძლებოდა, მხოლოდ ნამუადღევს დაქუქებული იყო. მიწის „განძრევა“ პარასკევ და შაბათს და კვირა-საც, რასაკვირველია, არ შეიძლებოდა.

#### 34. წითელი პარასკევი

ამ დღეს მიწის მუშაობა არ შეიძლებოდა, თორემ დანარჩენი საქმიანობა — ე. ი. მხოლოდ ოჯახში ერთი ქალი — უფროსი — თმობდა: არც სასმელი, არც საჭმელი არ უნდა მიეღო და ყოველგვარი საქმიანობა აკრძალული ჰქონდა. საღამოს — საძრობის დროისათვის — ეს ქალი გამოაცხობდა ტაბლას — მარილიანს, „ჭრის ბარახე“ [ჭიხისაგან დასაცავად, რომ მარცვალი არ გაუფუჭებინა], მარჯვენა კერიასთან და ამგვარად შეულოცავდა: „ღმერთო, დეიფარე ჩემი სიმინდები, ჩემი ყანები ჭრისგან, მახრისაგან, თაგვისაგან, მჭრელისაგან და ყველა მავნესაგან“. ამ ტაბლას ყველა გაინაწილებდა, მხოლოდ ქალი, რომელიც დილიდანვე თმობდა, „ოუშობდა“ თმობას და საჭმელს შემჭამდა. ამ დღეს ღვინის დაღვევა არ შეიძლებოდა.

#### 35. აღდგომის შაბათი

შაბათს, მიწის დამუშავების ვარდა, შეიძლებოდა ყველაგვარი მუშაობა, მხოლოდ ნამუადღევს უკვე დაიუქმებდნენ. თუ ოჯახში ამ დიდ მარხვის განმეღობაში ვინმე მოკვდა, მაშინ იმის ჭირისუფალი ვალდებული იყო აღდგომის შაბათს დაემზადებინა დიდი ხარჯი „ჩამოსარიგი“. უკანასკნელი დარიბი ოჯახიც რომ ყოფილიყო, „ჩამოსარიგი“ უსიკვდილოდ უნდა დაემზადებინა. „ჩამოსარიგი“-ში შედიოდა: ღორი, 4-5 ბათმანი პური და სამი მენახვერე ღვინო (3 ფუთი). ღორი შაბათს უნდა დაკლულიყო, ნახვეარი უნდა მოეხარშათ, ნახვეარი შეეწვათ, პური გამოეცხათ, ერთი სიტყვით, მეორე დღისათვის ყველაფერი მზად უნდა ჰქონებოდათ. შესაძლებელია ოჯახმა ამ დიდ მარხვაში ორი წვერი დაკარგა, ან სამი, მაშინ ჭირისუფალი ვალდებულია „ჩამო-



სარიგი“ გააორკვეოს, გაასამკვეოს, ე. ი. ორი ან სამი ღორი დაკვლას და პური და ღვინოც გაადიდოს. ღორი(ს) [ც] დაიკვლებოდა, კვდებოდა ცხვარი; იმდენი, რამდენიც ამ მარხვას მიცვალებული ჰყავდა, მხოლოდ ეს ცხვარი „ჩამოსარიგი“-ში არ შედიოდა — ეს „ხელის განახსნელი“ იყო. „ჩამოსარიგი“-ს გამძლები გამოაცხობს ერთ მიცვალებულზე შეიდ სულის პურს; დანარჩენი ოჯახები, ე. ი. ვისაც „ჩამოსარიგი“ არ ვვალებათ, მაინც ეშხადებიან სახვალეთ, ე. ი. სააღდგომოთ; თუ ერთი წლის მკვდარი ყავს, იმასაც ვვალება ცხვარის დაკვლა და სულის პურების გამოცხობა. ამის გარდა, სააღდგომოთ იშვიათი იყო ოჯახი, რომ სააღდგომო გოჭი ან ღორი არ დაკვლა — ორი თვით ადრე შეუდგებოდენ იმის სუქებას; ღორის გარდა, ქათამი, გვაჯილები, ეს ყველაფერი აღდგომის შაბათს უნდა მომზადებულიყო.

36. აღდგომა

აღდგომას აღიონზე, ცისკარზე წავიდოდენ. იქ მისვლისას, სულ ერთია ძველი და ახალი მკვდრის პატრონი იქნებოდა თუ არა, საფლავზე ერთ ჩხირ სანთელს დაამთებდა — „მკვდრის გულზე“. კვერცხებს გაავორებდა — „გავვიხათე ჩემი მკვდარიო“; ზოგი დატოვებდა ამ კვერცხებს (შედებილს) და ზოგიც წამოიღებდა შინ. შესაძლებელი იყო, რომ ცისკარზეც არ წასულიყონ, მხოლოდ შინ კი უსათუოთ სუფრა უნდა წაედგათ. ამ დღეს სუფრისთვის სამი სულის პური იყო — ყვლიანი, ხორცი, წითელი კვერცხები, ღავაშები; ჭიქები სავსე ღვინით და ერთი ან სამი ანთებული სანთელი. ჯერ უფროსი ქალი წოუდგამდა ღვინოს, მერე უფროსი კაცი, შემდეგ კი დანარჩენი ოჯახის წევრები. სანამ სუფრას არ წოუდგამდენ, ისე ვერ წეიხსნილებდენ. „ჩამოსარიგი“-ს გამძლებს კი დილის ცისკრისათვის დამზადებული უნდა პქონოდა და ხარებით გაიტანდა ცელესიაზე. იქ, მომზადებულ სუფრაზე; საფლავთან დახედებდენ გობებით მოხარშულ და შემწვარ ღორის ხორცს; მთლიანად, აუქნელად უნდა ყოფილიყო შემწვარი ცხვარი, შეიდი სულის პური — ღავაშები, ღვინო და სხვა. სტოლზე, ყოველ კუთხეში თითო ანთებული სანთელი უნდა ყოფილიყო. ამ დამზადებულ სუფრასთან მოვიდოდა მღვდელი, აკურთხებდა, ჭირისუფალი აქნიდა ცხვარს, თითონ მღვდელი მარჯვენა გულ-ღვიძლს დათლიდა, ოჯახის ყველა წევრს დაურიგებდა, შენდობას შეუთვლიდა მიცვალებულს და თავის წილს — სამ სულის პურს, ცხვრის მარჯვენა ბეჭს, სათბილოს<sup>3</sup>

<sup>3</sup> სათბილო — დაკლული ხარის ან ძროხის ნაწილი თქმისა და შუა წელს შორის (რედ.)

და ერთ ბოთლ ღვინოს — მიიღებდა და მეორე სუფრასთან სხვა ოჯახს  
მიადგებოდა. ეს ცხვიარი ხელის გასახსნელი იყო და „ჩამოსარივი“-ში  
არ შედიოდა. „ჩამოსარივი“-ს ხორცი (ღორის), კური და ღვინო სუფ-  
რის კურთხევის შემდეგ ცისკარზე მოსულ ხალხს დაუროგებდნენ.  
ხელგობზე ერთ მოხრდილ ნათალ ხორცს, თითო ლავაშს და ერთ ჭიქა  
ღვინოს სულზე დასდებდნენ და ამრიგად ოჯახის წევრი დაივლის და  
ჟველას მიაწვდის. „ჩამოსარივი“-ს მიმღები ხმამაღლა, ისე რომ ჟვე-  
ლას გავეო, მიცვალებულს შენდობას შეუთვლის. ცისკარზე მყოფთა-  
გან ერთიც არ უნდა დარჩენილიყო, რომ „ჩამოსარივი“ არ შეხვდნო-  
დეს და შენდობა არ შეეთვალა. ჟველას რომ დაურიგებდნენ, ნარჩენს  
აკრეულა ჭირისუფალი და შინ წაიღებდა. ცისკრის შემდეგ ხალხი თავ-  
თავიანთ ოჯახებში მიდიოდა (ეს გაათენებამდი იყო). ამ დღეს კელესია-  
ზე ძველად დიდი თემობა იცოდნენ. თითოეულ ოჯახიდან უნდა წავლეთ  
ხორცი (ღორის), 10-15 ლავაში, ღვინო 3-5 ბოთლი, ან ერთი თუნგი  
(5 ზ). ჟველა სოფლიდან (ორბელის თემიდან) მოვიდნენ და პურის  
ჭამად ერთად დასხდებოდნენ — მხოლოდ სანიკიმეები ერთად, ბურჯა-  
ლიანები ერთად, გვიშიანები ერთად და ასე სხვა. მხოლოდ ისე, რომ  
თავისი ხტრჯი — წილი — თითოეულ ოჯახს ჰქონებოდა. ამ დღეს მოსა-  
კითხის მიგზავნა იცოდნენ ერთიმეორესთან. სიმღერა, ცეკვა, ფერხული  
საღამომდი ვასტანდა; საღამოს კი, თუ რამე დარჩებოდათ, თავ-თავი-  
ანთ სახლებში წაიღებდნენ.

### 37. ბურჯოღობა

აღდგომის მეორე დღეს ეძახიან გორგოთობას და აღდგომის სა-  
პატივცემულო დღეთ ითვლებოდა და დიდი უქმი არის. სოფ. სპათავორ-  
ში, ღვირაშში კი დღეობა იცოდნენ ამ დღეს. საგორგოთოდ ორი-სამი  
თვით ადრე ემზადებოდნენ. თუ „ღონიერი“ ოჯახი იყო, თავმოშწონენ  
ამ დღისათვის ის სხვა წვრილ საკლავებთან ხარსაც დაკლავდა. ჟვე-  
ლა მოკეთე მისი ამ დღეს მოვიდოდა მოწვევის შემდეგ, რასაკვირველია:  
მოჯარე, ნათლია-ნათლული, ძმობილი ან დობილი ოჯახის და სხვ.  
მოსაწვევ პირებთან კაცო გაიგზავნებოდა აღდგომას — საუნზის შემ-  
დეგ. შესაძლებელი იყო, რომ რომელიმე ოჯახს შორეულ სოფლიდან  
ვერ. მოწვევა მოკეთე, მაშინ ამ ოჯახის ქალიშვილი (შორეულ სოფელ-  
ში რომ არის გათხოვილი) მაინც მივიდოდა ამ დღეს კელესიაზე, მიი-  
ტანდა შესაწირავს შეძლებისდაგვარად — 50 კ. — 1 მან., იქ მღვდელი  
ხმამაღლა გამოაცხადებდა: ამა და ამ კაცის ქალიშვილია შემოსწირა ამ-  
დენით; ხალხი იგრიადებდა: დალოცოს ღმერთმა, დალოცოს! — შემ-

დღე ხალხიც დაიშლიებოდა თავ-თავიანთ სტუმრებით, და ეს დაუპატრონებელი ქალიშვილებიც მივიდოდნენ „თავისახლს“. ძვირად იყო, რომ სტუმრები ორშაბათ, ე. ი. გორგოთობა დღესვე, საღამოს დაშლილიყვნენ: სავალდებულო ყოფილა, რომ სამშაბათიც მივლოდნენ და თუღნა სულ ახალი შემენილი მოყვარე-მოკეთე იყო — ოთხშაბათსაც არ გაუშვებდნენ. ამ დღეების განმავლობაში სოფელში ერთიმეორეს გადაიპატივებდნენ თავ-თავიანთ სტუმრებით. ამ დღეს, გორგოთობას ოჯახში თავს იყრის ქალიშვილი და სახლიშვილები და კიდევაც მათი საპატივცემო დღეთ ითვლებათ.

### 38. შაბუობა

ადღგომის მეოთხე დღეს — ოთხშაბათს — ჭაბუკობაა. ეს დღე უქმეა და შეწირულია „სამარგილო“ პურის „ბარახე“. დილას უფროსი ქალი გამოაცხობს ერთ ყველიან ან ღობიან ტაბლას, წაიღებს პურის ყანაში — ტაბლას წაღმა შეატრიალებს და შეულოცავს: „ღმერთო, გაგვიკეთე ნათეს-ნამუშევარი“. შულოცვის შემდეგ პურს დაუწყებს მარგვლას. იმ ტაბლას თვითონვე შემჭამს. პირველი პურის მარგვლა უსათუოდ უნდა დაწყებულიყო ჭაბუკობა [ა] დღეს. პურის მარგვლასთან დაკავშირებით შენახულია შემდეგი თქმულება: ერთხანობას ძალიან მოკვიდა პურის ყანებს სარკველა ბალახი — „გლიხორხა“. პირველად რომ ქალები გავიდოდნენ სამარგვლადად, უფროსი ქალი გაიხდიდა ნიფხავს, გადააფრიალებდა ამ „გლიხორხას“, თვითონ ზორტში ხელს მოკიდებდა და უკან-უკან თრჯით დაივილიდა ირგვლივ მთელ ყანას, თან ხმამაღლა უნდა ეძახა: „ვირმა... გლიხორხას და გლიხორხეის წინამძღვარს“ — ასე უნდა შემოკვლო სამჯერ და ამგვარად უნდა ხმამაღლა ყვირა. ამის შემდეგ დაიწყებდნენ მარგვლასო. ამ ბოლო დროს „გლიხორხა“ უფრო ნაკლებად არის, რადგან იმ ქალის გინების შექმინდაო.

### 39. გიორგობა

გიორგობა ერთი გაზაფხულის არის — 23 აპრილს, მუორე გიორგობისთვის. აპრილის გიორგობა დიდი უქმეა. მხოლოდ საკლავი და წვეულება არ იცოდნენ. სადილისათვის უნდა გამოეცხოთ „საგიორგო ტაბლა“, ყველიანი ან მარილიანი („გულზე დოუდებელი ტაბლა არ ვარგაო“). უფროსი ქალი, სადილისათვის რომ ყველაფერს მოამზა-

დებდა — დაჯდომამდე, აიღებდა ხელში ტაბლას, ნაკვერჩხალოზე საბ-  
თელს ჩააკმევდა, მეორე ხელში ჭიქით ღვინოს დაიკავებდა და ცალ  
მუხლზე დახოქილი მარჯვენა კერიასთან ასე შეილოცავდა: „წმინდა  
გიორგის ძალა და მადლო გვიშველე, მოგვეხმარე, უტკივრად გვაძ-  
ყოფე; სანამდის ვიქნეთ ცოცხალი, შენს ბრახე ტაბლის გამოცხობა  
არ დაგაკლოთ, შეგებვეწოთ“. ამ ღვინოს თვითონ დაღვვდა და ტაბლა  
კი ყველას შეეძლო ეჭამა. შემდეგ დასხდებოდენ სადილადა.

#### 40. ახალკვირის შაბათი

აღდგომისა და ახალკვირის შუა დღეებს ეძახიან ორშუას. აღდგო-  
მის მომდევნო კვირა დღეს კი ეძახიან ახალკვირეს. ახალკვირის შა-  
ბათს იწვება საშხადისი, ახალკვირის საპატრივცემულოდ დაუქმებული  
იყო. ამ დღეს მოიტანდა კაცი შეშას, ე. ი. თუ საჭიროება მოითხოვდა,  
ხარებს დააუღლებდა და შეშას მოიტანდა; მეორე კაცი უსათუოდ  
საახალკვირო ღორს დაკლავდა. ეს ღორი, სულ ერთია ნეზვი იქნებოდა  
თუ ტახი, სამი თვით ადრე აიჩნეოდა და სასუქში შეიფხანდენ — დააყე-  
ნებდენ. ამ ღორს დღეში სამჯერ აჭმევდენ, რადგან დღე მომატებულია  
და ორჯერ ჭმევდა არ შეკლის. ღორის დაკვლის შემდეგ, იმის ხორცს  
მაშინვე საუხმისათვის იხმარენ, შემდეგ კი, მეორე დღისათვის ყოველ-  
გვარ საშხადისს შუუღებოდენ: უნდა გამოეცხოთ პურები — ლავაშები.  
საახალკვირო პური წინდაწინ გათვალისწინებული იყო: რაც უნდა  
ღარიბი ოჯახი ყოფილიყო, ერთი-ორი ბათმანი პური საახალკვიროდ  
შემონახული ექნებოდა (ღწევის დროს არ აიჩნეოდენ) და რაც მეტად  
ღონიერი, „სუმიანი“ ოჯახი იყო, მეტიც დასჭირდებოდა — ყოველ შემ-  
თხვევაში ხუთ ბათმანს არ აღემატებოდა. ხორცი — ღორის — მოხარ-  
შული, შემწვარი; ქათამი, ინდოური და მისი „საწებელი“ — ეს ყველა-  
ფერი შაბათს უნდა დაშხადებულიყო. ერთი-ორი ქალი რომ საჭმელს —  
„ნაშად“-ს — აკეთებს, მეორე ეხო-გარემოს ასუფთავებს, სახლს  
სწმუნდს, ჭურჭელს რეცხს და სხვა. მამაკაცი კი მიდის სხვადასხვა  
სოფლებში სტუმრების მოსაწვევად. ახალკვირის სტუმრებს შეადგე-  
ნენ: ქალიშვილი, სახლიშვილი, მოყვარე — ძველი და ახალი; ნათ-  
ლია, ნათლიდედა, ნათლიმამა, ძმობილი-დობილი და სხვ. მაგრამ, თუ  
ამ დასახელებულ მოკეთებების სოფლებშიც დღესასწაულობენ — დღეო-  
ბას იხდიან, მაშინ ამ მოყვრებს აღარ იწვევენ, და თუ თვითონ მოვა —  
ეს უკვე მათი ნებაა.



ახალკვირე დღეს მოდიან წვეულები. ამ დილას ოჯახში არაკვირვარე ლოცვა არ იციან. სტუმრები ზეზუელად წვისაუხმებენ, ორ-სამ ჭიქა ღვინოს დაღვვენ და კვლესიაზე — წირვაზე — წაუღენ. ამ სტუმრებში ზოგს ამ დღისათვის შესაწირავი მოაქვს კვლესიაზე შესატანად: აბაზი, ათი შაური, სანთელი, ან თავის სიმაღლე ჩამოქნილი სანთელი და სხვ., რაც შეწირული კნებოდა. ოჯახში თუ ვინმე მწარე ავადმყოფი ელოდებოდათ ძველად, უფროსი ქალი „თილას [ფთილას] დაახხამდა“ ჩერიაზე — ავადმყოფის ბარაზე, ე. ი. ამგვარად მოიქცეოდა: მოიტანდა ახალ წყალს, ტუტურზე [ტუნზე] მოუუღებელს, დაახხამდა თუფშუ და დასდგამდა მაგიდაზე. შემდეგ აიღებდა სუთთა, უჭმარ ბამბას, გააგრძელებდა ძაფის მსგავსად და ჩერიას შუაზე გადასდებდა, ბოლოში თავებს ერთად მოუგრებავდა და წაღმით ჩერიას თითისტარს დაახვევდა, თან შეულოცავდა: „წმ. გიორგის ძალდიდებულო, თუ რამე შენით უჭირდეს ჩემს ავადმყოფს, გასჭერი და გამაგებინე“. შემდეგ აიღებდა მეორე ბამბას, იმასაც გააგრძელებდა, ჩერიაზე გვერდზე — ნაპირისაკენ — გადასდებდა, ბოლოებს ერთად მოუგრებავდა — დაახვევდა და შეულოცავდა: „მთავარ-ანგელოზო, თუ რამე შენით უჭირდეს ჩემს ავადმყოფს — გასჭერი და გამაგებინე; თუ რამე ღმერთმა შემადლებინა შენი შესაწირი — მოვიდე შენ წინ და მოგიტანო“ — შესაწირს აქვე დაახხვლებდა: ან თავის სიგრძე (ავადმყოფის) სანთელს, ან ფულს, ანდა ცხვარს და სხვ. მესამეჯერ მაცხოვარს ახსენებდენ, ჩერიას მეორე კიდევ ბამბის ძაფს გადასდებენ და ამ ბამბაშემოხვეულ ჩერიას თუფშუ, შიდ რომ წყალი იყო ჩახსმული, გადასდებდენ; ასე აცლიდენ რამოდენიმე ხანს, ერთ საათს. შემდეგ იგოვე ქალი აიღებს ამ ჩერიას, დახვეულ ბამბას ძაფს ხელით ჩამოსწევს და თუ ბამბის ძაფი ჩერიიდან ორკეცად გადმოვიდა, მაშინ ხატი უწყრება და შესაწირს მოითხოვს, და თუკი ბამბა, ხელით ჩამოსწევს შემდეგ, ჩერიაზე გადადებული დარჩებოდა, მაშინ ხატი არ სწყრებოდა და არც შესაწირს მოითხოვდა. ასე, ამგვარად გრძელდებოდა სხვა ხატების მიმართ (სამი ძაფი იყო დახვეული — წმიდა გიორგი, მთავარანგელოზი და მაცხოვარი); რომელი ხატიც უწყრებოდა და სჯიდა, იმ ხატისთვის უნდა წაეღო შესაწირი სანთელი იქნებოდა, ფული, თუ ცხვარი ან სხვა. ამას ეძახდენ „თილის დასხმა“-ს.

ახალკვირე დღეს — ორბელში რომ მოვიდოდენ წვეულები — ამათ კნებოდათ შესაწირი მისატანი მთავარანგელოზის ხატისთვის, რომ-



ლის სახელზეც ორბელში ეკლესია არის... წირვა რომ გაიკეთდებოდა, მღვდელი დაიძახებდა: არ დეიშალოთ, შემოწირულობა არას მსამსაჟს ხადებელიო, და თვითული შემოწირველი მოიტანდნ მღვდელთან თავის შესაწირს. მღვდელი ხმაშაღლა დაიძახებდა: „ამა და ამ კაცმა შემოწირა ეს – (დაასახელებს), დალოცოს ღმერთმა!“ – ხალხი ხელს მაღლა ასწვდა და დაიძახებდა: „დალოცოს ღმერთმა – დალოცოს ღმერთმა!“ წირვის და შემოწირულების გამოცხადების შემდეგ, ხალხი თავ-თავიანთ სტუმარ-მასპინძლებით იშლება და ოჯახებს უბრუნდებიან. ოჯახში უკვე შხად არის ყველაფერი. ყველა რომ ეკლესიაზე იყო წასული, დიასახლისი შინ იყო დარჩენილი და ახალკვირას სუფრა შხად დაუხვდათ წვეულებს. სადილობა იწყება, ჯდებიან კაცები ერთ შწკრივად, ქალები კი ერთად – ერთ სუფრაზე. თუ სტუმარი ბევრია და ერთ სუფრაზე ვერ ეტყვიან, მეორეს მიუხსდებიან – ერთ გვერდზე ქალები, მეორეზე – კაცები. ღვინით პირველად სახსენებელი დღეს არის ღმერთი: „ღმერთი ვახსენოთ და პური ვჭამოთ“ – იტყვის ოჯახის უფროსი კაცი, აიღებს ხაგსე ჭიქას (დიდს) – ძველად კათხა იყო, ეხლა კი ჩაის ჭიქას ხმარობენ – და ამგვარად დაიწყებდა: „ღმერთო, გვიშველე და მოგვეხმარე – გაისი მოგხწრებია სტუმარს და მაინძელს“ – დაღვს, ჭიქას დასდგამს, გააუხსებს და მეორე უფროს კაცს – სტუმარს – დაულოცავს. ღვთის სახსენებელ პირველ ჭიქას ყველა – ქალი და კაცი – გამოცლის, მხოლოდ შემდეგ შეუდგებიან პურის ჭამას. მეორე სასმისით „ტოლიმბაშ“-საც ირჩევენ და იმავე დროს „ორ სახარება“-საც ახსენებენ. „ტოლიმბაში“ სასურველია ოჯახში თვითონ მასპინძელი ყოფილიყო, თუ შეეძლო სმა, ან სათანადო სიტყვაპასუხი (აზრიანი) ექნებოდა; თუ ასეთი ოჯახში არ ხანდა, მაშინ წვეულებაში აირჩეოდნ და ეტყოდნ არჩეულს: „გაგწიოს ამ სუფრის მართველობა, ბერი ეს დღე მოგასწროს ღმერთმა“ – და ყველა შესვაძდა. შემდეგ უკვე სუფრის მმართველი შეუდგებოდა თავის მოვალეობის შესრულებას. პირველი სადღეგრძელო უსათუოდ ოჯახის უფროსი ქალის იყო და ყველას უნდა დაეღია: „ოჯახის უფროსო ქალო, ნუ მოგშალოს ღმერთმა ამ ოჯახში უფროსად – შენიანობის საპატივცემოდ, შენი ქმარ-შვილისათვის გამყოფოს უფალიმა ღმერთმა კარგად, სულ სახელი ნუ მოგშლ(ი)ოდეს მტერსა და მოყვარეში, როგორც დღეს ხარ პატიოსანი, ისე ბრძანებულიყო სიკვდილის დღემდე“. შემდეგ ჯერი იყო უფროსი კაცის და ასე ჩამოჰყვებოდნ თავმოყვარეს – უფროსობით. ამგვარად, ღვინი – პურის ჭამა – ჯირა დილას დაწყებული ორშაბათ საღამომდე (ხშირად ოთხშაბათ დილაამდისაც)



გრძელდებოდა. ამ დღეების განმავლობაში სუფრა არ [ი]ღებოდა/ არც დღე და არც ღამე; თუ რამეს შეუძატებდენ, თორემ სუფრის ღებვა არ შეიძლებოდა — სამი დღე-ღამე გაშლილი უნდა ყოფილიყო მესამე ძღვეულია ღამე მოსახვეწებლად უმეტესობა დაწოლილიყო, ყველაც — სუფრა მაინც გაშლილი და სანოვაგდაწყობილი უნდა ყოფილიყო. პირველ დღეს, ე. ი. კვირას, წესად იყო მიღებული მოსაკითხის მიგზავნა-მოგზავნა: ახლო მეზობელი, ვინც არ უნდა ყოფილიყო ის, გამოუგზავნიდა მეორეს ერთ ბოთლ ღვინოს, ორ ღაჯაშს, ხორცს — შექვივარს და ერთ ყველიან პურს. შეზარხობებული სტუმრები მიდი-მოდოდენ ერთი ოჯახიდან მეორე ოჯახში, მაგრამ ღამე კი შენი სტუმარი უსათუოდ შენთან უნდა ყოფილიყო, რომ არაფერი ბორცტი არ შეხვდენოდა ნაღვინვეს. ამ წვეულებში თუ ახალი ნათლიდედა არის მოწვეული, ან ახალი დობილი, ისეთი, რომელიც დღემდე ამ ოჯახში არ მოსულა, მაშინ მასპინძელი, შეძლებისდაგვარად, ასანუქრებს მას: ან კაბით, ან ფულით და სხვ. შეძლებულ ოჯახებში ახალკვირის წვეულები ოთხშაბათ დილაამდე რჩებოდენ; მაგრამ საჯალღებულო კი იყო ყველასათვის ორშაბათ საღამომდე შეენარჩუნებიათ თავ-თავიანთი სტუმრები.

42. შირტობა

შუა აპრილს, ორშაბათ დღეს, კვირტობა არის. ეს დღე შეწირულია კოხის საწინააღმდეგოდ. ამ დღეს მთელი ორბელი(ი)ს თემი უქმობდა თავ-თავიანთ სოფლებში: სუნანიური ცალკე, ქოდიბანი ცალკე, ჩერალი და სხვ. ამ დღისათვის თვითეულ სოფელს უსათუოდ უნდა შეეძინათ 5-6 კვირის ხბო-მოხვერი, თუ არა ვერძი. „საკვირტობო ხბო“-ს შეიძენდენ ერთ მოსახლისაგან. შესაძლებელი იყო ფულზე გარიგებოდენ და მაშინ ორი კვირის განმავლობაში ხბოს ვალი უნდა გაესტუმრებიათ; უფრო მიღებული იყო პურზე გარიგება — მაშინ კი თითო მკომური თავ-თავის წილს ლეწვის შემდეგ გადაიხდიდა. ორშაბათ დილას ხბოს პატრონი და ოჯახიდან თითო კაცი ამოიყვანდენ საჯვარზე ხბოს (ეს სუნანიურში), თითოეულს უნდა ამოეტანა ერთი ჩხირი სანთელი. ხბოს დაკვლამდე ანთებდენ ყველა სანთლებს, ერთი უფროსი კაცი მარჯვენა ბეჭს სანთელით შეურუჯავდა, მერე წალმა შემოატრიალებდა, ხბოს ხელში აიყვანდა, მალღა ასწვდა და ამგვარად შეილოცებდა: „იესო მაცხოვარო საჯვარისა, დეიფარე ჩვენი მამულები კოხისაგან, ყოველი უნებლისაგან; საბამდის ვიქნეთ, შენი შეხვეწილი არ დაუგდოთ“. შემდეგ, აქვე აირჩვედენ შარეულს, რომელიც ხბოს

ნაიჯვანდა იმ სახლში, რომელშიდაც გადაწვეტილი იყო ღვინოს  
გადახდა, ე. ი. სადაც უფრო დიდი სახლი იყო და მეტს დაიტევდა. აქ  
შხარეული ხბოს დაკლავს, ააშხარეულებს, დაასუფთავებს (დასწმენდას)  
ხბო უნდა მოეხარშა: შიგნეული, თავი, ფეხი და სხვ. მოხარშოს შემდეგ  
დევ, უნდა დაეშაადებინა იმდენი შამფური, რამდენი მკვომური იყო  
სოფელში. თითო შამფურზე უნდა წამოესხვა ხორცი იმგვარად, რომ  
ხბოს ყველა ნაწილიდან ცოტ-ცოტა ყოფილიყო; მაგ., თავის, გულღვი-  
ძლის, წელეების, ფეხების, ტანის ხორცის, სათფილოსი და ა. შ. ერთი  
სიტყვით, შამფურების გარეშე ხბოს ხორცი არ უნდა დარჩენილიყო.  
სოფ. სუნანიურში 40 კომლი იყო, მაშასადამე, ორმოცი შამფური,  
„საკვირტობო ხბო“-ს ხორცით ასხმული, უნდა დამ[ხ]ადებულყო.  
შხარეული რომ ყველა ამას აშხადებდა, ამის გარდა, ოჯახიდან თვი-  
თოეულს მოჰქონდა შამხი, შემწვარი ქათამი, გვაჯილი — სულგუნი,  
ყელიანები, ღვინო, ლავაშები. რაც მეტი წვიდილოდა ოჯახიდან, მეტი  
უნდა წაეღო თავისი ხარჯი. ყველა რომ თავს მოიყრიდა ამ სახლში,  
გააწყობდნენ თავ-თავის ხარჯს, მიუჯდებოდნენ სუფრას და ამ დროს  
შხარეული და მისი შემწე ჩამოივლიდნენ სუფრასთან (შხარეულს გობ-  
ში შამფურები ვლავა) და ოჯახის — კომლის — წარმომადგენელს თი-  
თო შამფურს მისცემდნენ და თან ეტყოდნენ: „მიღებული ყოფილიყოს  
ჩვენი შესაწირი და ჩვენი მამულები დეიფაროს კოხისაგან იესო მაც-  
ხოვარმა“. ასე ჩამოუვლიდა ყველა იქ მყოფს, თითო წვადს მისცემდა  
მკვომურს და კიდევ მიამახებდა: „მიღებული ყოფილიყოს ჩვენი შესა-  
წირი“. წვადები რომ დარიგდებოდა, უფროსი კაცი წამოდებოდა,  
ხელში დიდ ტიქას დაიკავებდა და დაილოცებდა: „იესო მაცხოვარო,  
დეიფარე ჩვენი მამულები კოხისაგან, შმოთისაგან! ბედნიერებაში  
მოგვხმარებოდეს და მოგვსწრებოდეს მამულის მოწვეა; არაფერი მავ-  
ნებელი დასცემოდეს ჩვენ მამულს.“ ყველა ერთხმად დაიძახებდა:  
„ამინი ქნას მაცხოვარმა“ — და ყველას უნდა დაეღია ეს ხალოცავი.  
ამის შემდეგ ირჩვედნენ „ტოლიმბაშს“, რომელიც გამოადგებოდათ და  
ხალხს ასიამუნებდა. „ტოლიმბაში“-ს პირველი სადღვერძელო ასე  
იწყებოდა: „ღმერთო და იესო-მაცხოვარო, რის ბარობაზეც ჩვენ აქ  
ვართ მოსული, იმ ძალამ გავგიმარჯოს და დავვიფაროს კოხისაგან,  
და ყოველი მავნესაგან ჩვენი მამული და ჩვენი თავი“. ამ დღეს სუფ-  
რანზე განსაკუთრებით მიღებული იყო ერთიმეორისადმი მოსაკითხის  
მიგზავნა-მიცემა: ყველიან პურს, გვაჯილის ნაჭურს, ქათმის ბარკალს,  
ტიქით ღვინოს დასდებდნენ მოკეცილ ლავაშზე და ამ სიტყვებით მიარ-  
თმევდნენ ერთიმეორეს: „ჩემი ხელისოული გავიხარებდა, გაის ამ დროს

უკეთ მხიარულად დავმჯდარიყავით ერთმანეთში! მხოლოდ მისი კრი-  
ხში ხბოს ხორცი — მწვადი — არ შედიოდა, ის ოჯახის ყველა წევრ-  
ზე უნდა გაენაწილებინათ: სახლში რომ დარჩენ — იმათთვისაც მსგავსი  
ნა სავალდებულო იყო. დღეს ეს ლხინი სადამომდეგრძელდება — კაცე-  
ბი ლხინოს შევეცდვიან, უფრო ახალგაზრდები ცეკვა-სიმღერას გამარ-  
თავენ, მხოლოდ დადამებისას თავ-თავიანთ სახლებში წავიდ-წამოვი-  
დოდენ და ხარჯის ნარჩენსაც შინ წამოიღებდენ.

#### 43. შვილი მამისი ან კონსერვა

ეს დღე ორნაირ(ი) უქმედ ითვლებოდა: ერთი იმიტომ, რომ შვიდი  
მაისი იყო და მეორე კი, კოხის საწინააღმდეგოდ შეწირულ დღეთ ით-  
ვლებოდა დაბლა ლეჩხუმში. ამიტომაც ორბელის თემი ამ დღეს უქმობ-  
და მხოლოდ კოხის შიშით; ისე ლოცვა ან განსაკუთრებული წესები  
ამ დღეს არ იცოდენ.

#### 44. ტილიშვილები (სულიწმიდისთვის) ან რვა მაისი

უქმე დღეა, როგორც რვა მაისი და როგორც სულიწმიდას მოფე-  
ნის დღე. ლოცვა და განსაკუთრებული წესები ამ დღეს არ იცოდენ.

#### 45. ამაღლება

დიდ ხუთშაბათიდან ექვსი ხუთშაბათი რომ გაივლიდა, მეშვიდეზე  
ამაღლება დღე იყო. ძალიან დიდი უქმეა. ამ დილით, ძალიან ადრე,  
უფროსი კაცი უბრად წაეა და მოიტანს კერხვის ტოტს, რაც შეიმღლება  
გრძელს, და უბრადვე დაასობდა შუა კალოზე. ამას ეძახდენ „სახუნ-  
დურ“-ს (კალოობის დროს ბზის და პურის განსაკუთრად იხმარება).  
ამის შემდეგ დიასახლისი ეხო-გარემოს დახვეტს, დაასუთავებს  
სახლს, დაიბანს და შეუდგება პურის ზელას. პურის ზელას რომ მორ-  
ნება, უნდა ჩაედგა ლობიო. ამის შემდეგ ბავშვებს გაარკვინებს წერილ-  
ფება საქონელს: ღორს, ცხვარს, ხბოს, თუ ეყოლება ბატებსაც გააყო-  
ლებდა — უსათუოდ ეს წერილფება საქონელი დღეს ჭიშკარგადადმა,  
მინდორში უნდა გაერკვათ ამ დღეს ბავშვებს და სადილობამდი იქ უნ-  
და პეოლოდათ. ქალი სადილისათვის შეეშაბადებოდა: გამოაცხოზდა  
სამ ლობიან ტაბლას — „საოჯახო“-ს და მეოთხეს — ერთს — ყველიანს,  
„საქონლის ტაბლა“-ს. ბავშვები რომ წერილ საქონელს გადენიდენ,

დედა დაუბარებდა: თხილის ჯოხები დააჭოჭიალეთო (დააჭრელებეთ).  
 ბავშვებიც მოსჭრიდენ ორ თხილის წკხელს — თითო არშინიანს და  
 დააჭრელებდენ, ე. ი. კანს ალაგ-ალაგ გამოაცლიდენ, რომ ჭრელი  
 დარჩენილიყო; კიდევ ორი ასკილის ტოტიც უნდა მოეჭრა, <sup>ბავშვებიც</sup>  
 რომ სადილობას მოიწამებდენ, გამორკვედენ წვრილ საქონელს: ერთი  
 ბავში წკხელებით ხელში დაწინაურდებოდა, ჭიშკარს რომ მიუახ-  
 ლოდებოდა, შუაზე (ჭიშკარში) სიგრძეზე დააწყობდა ორ წყებათ ას-  
 კილის დაჭრილ ჯოხებს; ამავე დროს სხვა ბავშვები მორკვენ საქონელს  
 და ამ ჯოხებზე გადაარებინებდნენ; როგორც კი საქონელი გა-  
 დააბოჯებდა ამ ჯოხებზე, ბავშვები აიღებდენ და ჭიშკარში აქე-იქით  
 ჩაარჭობდენ, თან ბავშვები შესძახებდენ: „ამაღლების გამჩენო ძალა,  
 ჩვენი საქონელი დეიფარე ნადირისაგან და ყოველ მავნებლისაგან“.  
 ამის შემდეგ ბავშვები გაჩერდებოდენ ჭიშკართან, დედა გამოუტანდა  
 „საამაღლო საქონლის ტაბლა“-ს, ჭიქით ღვინოს, ნაკვერჩხალს, სან-  
 თელს ჩაემუღს, დასდებენ ჭიშკართან, ტაბლას ბავში ხელში აი-  
 ღებს და შეილოცავს: „ღმერთო, დეიფარე ჩვენი საქონელი ნადირი-  
 საგან, სახადისაგან.“ ტაბლას ბავშვები შემჭამდენ და ღვინოს კი  
 შექლოცველი დაღვედა. ამის შემდეგ სახლში შემოვიდოდენ. შინ უფ-  
 როსი ქალი აიღებს სამ ხაოჯახო ტაბლას (ლობიანებს), ჭიქით ღვი-  
 ნოს (ნაკვერჩხალზე სანთელს ჩაემუღს კურიასთან), წაღმა შეატრია-  
 ლებს ტაბლას და ამგვარად დაილოცება: „ღმერთო, დეიფარე ჩემი  
 ოჯახი; მოგვეხმარე, კარგად, უშმითრად გვაყვოფე, ვაისი ამაღლობა  
 მშვიდობით მოგვასწარი“. ამ ტაბლებს ყველა ოჯახის წევრი შემჭამ-  
 და სადილის დროს.

#### 46. ხვამლობა

ამაღლობის მომდევნო შაბათს ხვამლობა იქნება. ეს დღე შეწი-  
 რულია ხველის „ბარაზე“ და დიდი უქმე დღეა. ძველად ყოველ ოჯახს  
 ერთი ნიგვზის ხე შეწირული ჰქონდა ხველის „ბარაზე“ — სახეამლი-  
 ოდ. ხვამლობამდი ამ ხის კაკალს ხელს ვერ ახლებდენ — ჩამოპყრი-  
 დენ თუ არა კაკალს, ხვამლობამდი მისი ხმარება არ შეიძლებოდა.  
 ამ დილას უფროსი ქალი ადრე ადგებოდა, პურს მოხელავდა, „სახეამ-  
 ლიო“ ნიგოზს გასტეხდა, გაარჩვედა, დანაყავდა და გამოაცხობდა  
 ნიგვზიანებს — სამ ტაბლას „სახომლობო ტაბლა“, მასთან ერთად, სამი  
 ძალიან პატარა ჯვარსახიანი (+), „ჯვარედინი“ უნდა გამოეცხო; უნდა  
 მოეხადებინა სამი ჯვარსახიანი სანთელი, სამი კაკლის ღენჭეჭო [კა-

ლის ნაჭუჭი], ისე, რომ შიგ ღვინო ჩასხმულიყო. ყველა ამიტომ დაშადების შემდეგ, დააწყობდა ხელგობზე, ერთ ბოთლ ღვინოს წაიღებდა და „სახომლობო“ ნიგვზის ქვეშ მიიტანდა. მას შემდეგ მისი ყველა ოჯახის წევრები. ნიგვზის ქვეშ უფროსი ქალი ხელგობზე იტანდა ლებს წაღმა მოაბრუნებდა, ნიგვზს შემოუარდა და შეილოცებდა: „ხეალობის გამწენო, ლებახის გამწენო ძალო და მადლო, გამიბედნიერე ჩემი ქმარ-შვილი, დეიფარე ხველისაგან, სნებისაგან; სანამ ცოცხალი ვიქნე, მე შენ ძირში მოძკლა და შეხვეწილი არ დავადო“. ამის შემდეგ ნიგვზის სამი ღენჭეჭო უნდა გაეკვსო ღვინით, ამ ღენჭეჭოზე პატარა „ჯვარედინი“ (ჯერი) უნდა დაედვა და ხელ კი ჯვარედინი ხანთელი — ამ სამ ღენჭეჭოს ეს ქალი ამგვარად გაანაწილებდა: ერთს, ნიგვზის ერთ ტოტქვეშ, მიწაზე დასდებდა, მეორეს — მეორე ტოტქვეშ და მესამეს — მესამე ტოტქვეშ, ისე, რომ ჯვარედინად გამოხულიყო. ამის შემდეგ სადილს ნიგვზის ქვეშ შემჭამდნ და სამ ტაბლასაც ყველა შემჭამდა. ნასადილვეს ოჯახის უფროსი ქალი ამ ნიგვზის ქვეშ სამ მტრანიახ იზამდა [თავს დახრიდა, თავჯანს სცემდა]: „დამიფარე ხველისაგან, სნებისაგან ჩემი ოჯახი“. წაღმა დატრიალდებოდა და შინ შვეილოდა.

#### 47. ივანობა (ლომი ლოცვა)

24 ივანობისთვის ღომი ლოცვა დღეა. ეს დღე შეწირულია ღომი (რ) [შ] ის „ბარაზე“ და ამიტომ დიდი უქმეა იმისათვის, ვისაც ღომი ბლომად ეთესა. დიასახლისი ქალი გამოაცხობდა ერთ ტაბლას: ტაბლა ან ნიგვზიანი ანდა ყველიანი უნდა ყოფილიყო; წაიღებდა ღომის ყანაში, სადაც შეილოცებდა ამგვარად: „ღომის გამწენო ძალო, შენ დეიფარე ჩვენი ღომი ჩიტის დანთქნისაგან, ჭირისაგან“. ტაბლას წაღმა შეატრიალებდა და იქვე ყანაში შემჭამდა. მამაკაცს ეს „ღომი სალოცი“ ტაბლა არ ეჭმეოდა. ვისაც ღომი არ ეთესა, ის ტაბლას არ აცხობდა, მხოლოდ კი უქმობდა.

#### 48. პატრიალოზა

ეს დღე 29 ივანობისთვის არის. უქმეა, მხოლოდ ითვლებოდა მიცვალებულის სახსენებელ დღეთ. ამ დღეს დიასახლისი სახლს დაასუფთავებდა, მერე სადილის საშხადისს შეუდგებოდა: პურს მოხედა, სადილი მოადრიანად უნდა გაეკეთებინა. სამ ყველიან ხულის პურს გამოაცხობდა, ქათამს დაკლაუდა, შესწავადა, გვაჯილს გააკეთებდა,



ღვინოს აიღებდა და სუფრას წოუდგამდა, მიუხედავად იმისა, ~~ქვედა~~  
 ახალი მიცვალებული თუ არა.

ამ დღეზე იტყოდენ ხოლმე: სადილობამდი პეტრეო, ~~მანძილქუნი~~  
 კი კვირიკეო, რადგანაც მალე კვირიკობისთვე იწყებოდა ~~ბიზანტიის~~

49. მახიკრების ჰაბუკობა.

პეტრებალობის შემდეგ ორშაბათს ეძახიან მახიკრების ჰაბუკობას. ეს დღე უქმი არ იყო, მხოლოდ ამ დღეს იწყებოდა მახის კრევა. ქალები დილას წავიდოდენ მახის საკრევად, საღამოს მოადრედ შინ წამოვიდოდენ. ოჯახის დიასახლისი გამოაცხობდა ერთ ნიგეზიან ან მარილიან ტაბლას, უსათუოდ უნდა დაეკლათ მამალი და მოეხარშათ. ყველა ეს რომ შხად იქნებოდა, უფროსი ქალი ამ ტაბლას და მამლის ხორცს წადმა შეატრიალებდა და შელოცავდა: „ღმერთო, გაგვიკეთე ჩვენი ნათესი, მოგვაწვეინე შახა, პური; ნუ დაგვიბნევ და ბედნიერებაში მოგვახმარე“. ამ ტაბლას და მამლის ხორცს ყველა ოჯახის წევრი შემჭამდა.

50. წიფთაელიობა

წიფთაელიობა უსათუოდ კვირა დღეს უნდა შეხედებოდა — 20 კვირიკობისთვეს. ეს დღე იმდენად დიდ უქმედ მიანნდათ, რომ ამბობდენ: დღეს მსხალქვეშ შწიფე მსხალი არ აიღებათ — ისეთი დიდი დღეაო. მთელი ორბელი ამ დღისათვის შეიძენდა ერთ ხარს, — „საელიო ხარი“ იქნებოდა ის. დილას ადრე ხარების პატრონები, რომელთაც უნდოდათ გაეყიდათ ხარი, შედენიდენ კვლეხისი ეზოში — მთავარ ანგელოზზე — იქვე იქნებოდენ თითო სოფლიდან თითო კაცი. ეს კაცები წირვამდე გაურიგდებოდენ ხარის პატრონს, ან ფულად ან მოსაველზე: სიმინდზე, პურზე და ღვინოზე. ხელ ორბელის თემში ამ ოციოდე წლის წინად ორასი კომლი იყო; ყოფილა შემთხვევა, რომ „საელიო ხარი“ — ს გადასახადად მკომურს გადაეხადოს ორი თუნგი ღვინო (დორა — ნ თუნგი, ანუ ორი ფუთი). „საელიო ხარი“ რომ ნაყიდი იქნებოდა (თითო კუთხიდან თითო კაცი არის მყიდველი), სოფლის უფროსი კაცები — არჩეულები — ამ ხარს წადმა შეაბრუნებდენ და ერთი ასე შეილოცებოდა: „მთავარანგელოზო, შესაწირად მოგართვით ეს ცალი ხარი ჩვენდა სამშვიდობოდ საყოფად“. იქვე დაეკლადენ, ააშხარეულდენ, და ხორცს ისე დაანაწილებდენ, რომ თითო მკომურს თა-

ნახვორად შეხვდებოდა. ხორცი იქვე დაურიგდებოდა კვლავითი წვერს, თუ იქ იყო, თუ არა და თითო სოფლის წარმომადგენელი ჩაიბარებდა თავის კუთხის ნაწილს. კვლავიაზე მოხარშვა უნდა დაჯდომა არ იცოდენ. ხარის ტყავი საერთო იყო და უნდა დაეჯერებინათ ყო, ფასი კი ხარის ფასში შედიოდა.

### 51. მარიობის დაურწყება

მარიობის დაურწყება უქმე არ იყო, მხოლოდ საღამოს ისეთი ოჯახი არ იქნებოდა, რომ „სადაურწყო“ ქათამი არ დაეკლა, ან შამხი არ მოეხარშა, რადგან მარიობის მარხვა დიდ მარხვაზე „უფრო ძნელია“-ო. სუფრის წადგმა არ იცოდენ.

### 52. მარიცვალობა

მარიობის თვის კვებს ფერიცვალებაა. ეს დღე დიდი უქმეა, მხოლოდ ლოცვა არ იცოდენ. თუ ამ წლის განმავლობაში ვინმე მოკვდებოდა ოჯახში, იმას ფერიცვალობა დღეს შეეკუბოდა: კაცი თუ დაუვირდებოდა — უსათუოდ ფერნაცვალი იქნებოდაო. ამ დღეს მოხუცი ქალები წავიდოდენ და მაყვალს მოყრუდენ; შინ მოტანისას მაყვალს ჯამში „მოჭყრუდენ“ [მოჭყელუდენ] და იმაში ხმელა პურს ჩააწებდენ და ისე შეშვამდენ: კარგია „დღეიდღეს“ პურის მაყვალში ჩაწებაო.

### 53. მარიობა

15 მარიობის თვეს იყო მარიობა. ამ დღეს ძალიან უქმობენ. რაც არ უნდა ღარიბი ოჯახი ყოფილიყო, ამ დღეს „ატარა რამით“ მაინც უნდა გაეხსნილებია. დილას დიასახლისი ადრე წამოდგებოდა, ეზო-გარემოს მოხვეტავდა, პურს მოხელდა, სამ სულის პურს გამოაცხობდა, ქათამს დაკლავდა ანდა შამხ [ხ] ჩაადგამდა, ლავაშებს გამოაცხობდა, სანთელს ჩამოქნიდა — რომ სუფრა წაედგა. ყოველ მიზეზის გარეშე მარიობა დღეს სუფრა უნდა წაედგათ — სულ ერთია ახალი მიცვალებული კვადათ თუ არა. ყველაფერი რომ შხად იქნებოდა, სუფრას გააწყოდა, ზემო ჩამოთვლილს დააღებდა და თან სუფრაზე უნდა ყოფილიყო ყველაფერი ახალი შემოსული: სხვადასხვა ხილი, ტარო, ყურძენი. სანთელს აამთებდა — სუფრას მიაწებებდა, ჭიქებს ღვინით გაავსებდა და ამგვარად შეუნდობდა: „მარიობის გამწნო ძალა, განათლებაში მიმყოფე ჩემი მკვდრების სული და მათ დანატოვარს შვილობა მიეცი“. ამის შემდეგ სუფრას მიაღებ-მიაღებდენ და სა-

დიღს შეშკამდენ. სოფ. ლესინდში იცოდენ ამ დღეს დიდი დღესი  
 წაული. ამ რამოდენიმე წლების წინ ამ სოფელში ორმოცი ძველი  
 ითვლებოდა და მარიობა დღეს ხშირად ოცი ხარი დაეკლებოდა;  
 თითო ხარი კომლზე. „სამარიო ხარებ“-ს კიდევ წვრილმან საქონელს  
 საც დაუმატებდენ. მარიობის წინ დღეს ლესინდში თითო ოჯახში  
 ფაცი-ფუცია: უნდა დაიკლას სამარიო ხარი (ერთი ორ ოჯახზე ძვე-  
 ლად), მისი ქათამ-ინდოური, მისი პური, დაახლოვებით, თუ ღონიე-  
 რი ოჯახი იყო, ხუთი ბათმანი, მისი ღვინო. შესაძლებელია მარიო-  
 ბა დღეს ზოგიერთ ოჯახებში სამი ღორა ღვინო დახარჯულიყოს.  
 წინა დღესვე გაიგზავნებოდა მოკეთებში კაცი, წვეულების დასაპატი-  
 ეებლად. რაც უნდა დიდი მოკეთე ყოფილიყო ვინმე, თუ მის სოფელ-  
 შიც იხდიან ამ დღეს, იმას უკვე ვერ მოიწვევენ. ქალიშვილი, სახ-  
 ლიშვილი, დობილი, ძმობილი, ნათლიდედა-ნათლიმამა — ეს ყველა  
 იყვნენ ამ დღის წვეულნი. ამ დღისათვისაც, თუ ვინმეს ემართა „სამა-  
 რიო შესაწირი“, მოიტანდენ კელესიაზე ჩამოქნილ სანთელს, ფულს,  
 ცხვარს. ყველა ამას მღვდელი საჯაროდ გამოაცხადებდა, ხალხს  
 დაალოცვინებდა და შემდეგ ხალხი დაიმღებოდა თავ-თავის სახლებ-  
 ში თავის წვეულებითურთ. სამარიო წვეულები ხშირად ორ-სამ დღე-  
 საც დარჩენილან მასპინძელთან. აქ ამ ხნის განმავლობაში სუფრა  
 დღე და დამე გაშლილი იყო და ცხელ-ცხელი საჭმელები ემატებო-  
 და. მეზობელი, თავის სტუმრებით, გადავიდოდა მეორესთან, მეორე  
 მესამესთან, მხოლოდ დამე სავალდებულო იყო თავის „მაინძელში“  
 [მასპინძელში] მიბრუნებულიყო.

#### 54. ჩიტობა

მარიობის შემდეგ რომ პირველი ორშაბათი მოვა, ის დღე იქნება  
 ჩიტობა, რომელიც შეწირულია ნათესის დასაცავად ჩიტებისაგან. ამ  
 დღეს აკრძალულია მარცვლის გარჩევა, ყანაში თოხნა (ამ ხანებში  
 პურს სთესენ და ამიტომაც სთოხნიან) — ჩიტი შეჭამს ჩვენს ნათეს-  
 სო. სოფ. ჩხუტელში ამ დღეს იციან დიდი დღეობა. სხვა სოფლები-  
 დან კი, მაგ., ორბელიდან, ჩხუტელში „დღედა-ღვთისას“ სახელზე, ჩი-  
 ტობა დღეს, ბევრი შემოწირულება მოდის. თუ ოჯახში ბავშვი გახ-  
 და ავად, ან მელოგინე ქალს გაუჭირდება მოლოგინება — მაშინ შეე-  
 ხვეწებიან: „დღედა-ღვთისა, გადამარჩინე და ჩიტობა დღეს ფეხშიშვე-  
 ლა გეახლები და შესაწირ(ი) [ს] მოგართმევო“. დაასახელებს რას  
 მოიტანს; მელოგინეს ბებია-ქალი შემოავლებს თავზე სანთელს, ჯინ-  
 ჩილას, შეიძლება სპილენძის ქვაბიც შემოავლოს თავზე ფულს, და  
 ამ თავზე შემოვლებულს, ჩიტობა დღეს, შემწირველი ფეხშიშველა

წაიღებს „დედა-ღვთისას“ კვლესიაზე ჩხუტელში და თან ერთი ცრუ  
ლაც უნდა წაეღო. სანთელს კვლესიაში დაამთებდა, თუ ჯვინილა  
ჰყავდა, ლოცვის შემდეგ კვლესიაში გაუშვებდა; თუ ქვაბე (სკიფინო-  
მის) მოიტანა, კვლესიაში დასდგამდა, ტაბლას მღვდელს [დასწავლეს]  
და და თვითონ კი ამგვარად შეილოცებოდა: „დედა-ღვთისა, ბატონო,  
მიშველე, მოგვეხმარე — ყოველ ღოვინობაზე დაგვეხმარე გაჭირვები-  
საგან“. შემწირველი შინ დაბრუნებისას ფხვს ჩაიცვამდა და ისე  
წამოვიდოდა.

#### 55. ივანე ნათელიანის თავის კითხვა

ეს დღე დიდი უქმი და მარხვა იყო. ლოცვა და ტაბლების გამოც-  
ხობა არ იცოდენ.

#### 56. ღვთისმშობლის

რვა კენისთვის ღვთისმშობლობა დღე არის. ამ დღეს ძალიან უქმა,  
თან კიდევ სულის დღეთ ითვლებოდა. ვისაც ახალი მკვდარი ყავდა  
(ერთი წლის), ის ამ დღეს უსათუოდ ცხვარს დაკლავდა და ახლო მესო-  
ბლებს მოიწვევდა. თუკი ახალი მკვდარი არ იყო ოჯახში, მაშინაც  
სავალდებულო იყო ამ დღეს „სუფრის წადგმა“ [სუფრის გაწყობა  
მიცვალებულისათვის]. დილას დიასახლისი პურს მოცომავედა, ამ დი-  
ლას უნდა მოეკრიფა ცოტა ყურძენი და მოეჭყურტნა, რომ ერთი-ორი  
ბოთლი მაჭარი გამოსულიყო, პატარა ფელამუშიც უნდა გაკეთები-  
ნა, სამი სულის პური გამოეცხო, „საღვთისმშობლო“ ვარია დაკვდა,  
ველიანი პურები, ლავაშები დაეცხო, ყოველგვარი (რაც შეიძლებო-  
და რომ ეშინათ) ხილი, ღვინო, ეს ჯველაფერი უნდა მოეზადებინა.  
სადილის წინ სუფრაზე დააწყობდენ სულის პურებს, ვველიანებს, ქა-  
თამს, ლავაშებს, ყოველგვარ ხილს, ღვინოს, სანთელს ანთებდენ და  
სუფრას წოუდგამდენ. „ღვთისმშობლის გამჩნო, მკვდარი გამინათლე,  
მის დანატოვარს მშვიდობა მოგვეცი, კარგად გვაყოფე“; ღვინოს პურ-  
ზე „წოუნებდაშებდენ“ [დაახსამდენ], სუფრას წადმით მოაბრუნებდენ,  
შემდეგ კი ოჯახი სადილობას შეუდგებოდა. ახალი მკვდრის პატრო-  
ნი კი ჯველა ამას შეასრულებდა, მხოლოდ ზედმეტად ცხვარი უნდა  
დაკვდა და ახლო მესობლები მოეწვია.

#### 57. ჯვანთავადობა

14 კენისთვის ჯვართმადლობა არის. უქმა. ლოცვა და ტაბ-  
[ლ]ას გამოცხობა არ იცოდენ.



უქმეა. არავითარი მუშაობა ამ დღეს არ შეიძლებაოდა: არც კერვა, არც ქსოვა ქალს არ შეეძლო იმ დღეს.

## 59. მოწამეთობა ანუ ორი წიგნობიდან

ეს დღე ორნაირ უქმედ ითვლებოდა: ერთი იყო ორი წიგნობითვის საპატიოდ და მეორე დავით-კონსტანტინეს დღეობა იყო. არც ქალს და არც კაცს მუშაობა არ შეეძლოთ.

## 60. შვიდგონის გიორგობა

ოთხ გიორგობისთვის შემოდგომის გიორგობაა. მიწის „რყვეა“ და კერვა ამ დღეს არ შეიძლებაოდა, დანარჩენი წვრილმანი საქმე — კი.

## 61. მოძარახებულთა

რვა გიორგობისთვის მთავარანგელოზობა არის. დიდი უქმია. დიდიდან ოჯახის ქალი სახლკარს დაასუფთავებს და შემდეგ პურს მოხვოს, უფროსი კაცი კი „სათავარანგელოზო“-ს დაკლავს. ეს იქნებოდა შეწირული მთავარანგელოზის ბარაზე ცხვარი, თიკანი ან ღორი. შესწირავდნენ კი თუ ვინმე ოჯახში ზეად გაუხდებოდა. ავადმყოფის პატრონი თავზე შემოავლებდა ცხვარს, ან თიკანს, ან გოჭს და შესთხოვდა: „მთავარანგელოზო დიდებულო, გქვეყნები, თუ ამ გზობას ამას გადამირჩენ სიკვდილს, მაშინ ეს ცხვარი შენ შემოგწირო და შენ სახელზე ტაბლა მოეაბრუნო,“ ცხვარს და ანთებულ სანთელს თავზე შემოავლებდა, მერე ამავე სანთლით მარჯვენა ბეჭს შეურუჯავდა და მომავალ მთავარანგელოზობამდე გაუშვებდა. ამ შეწირულს ეძახდნენ „სათავარანგელოზო თავშემონავლებს“. ავადმყოფის გარეშეც, თუ ოჯახს ცოტა მაინც შეეძლო, სათავარანგელოზოდ ყოველთვის ყავდა შეწირული ცხვარი ან თხა და უსათუოდ ამ დღეს დაკლავდა; ამასთან, გამოაცხობდნენ სამ ტაბლას — ყველიანს ან ნიგვზიანს, პურებს (ლავაშებს), მოამზადებდნენ ხორცს — ზოგს მოხარშავდნენ, ზოგს შესწავავდნენ და სუფრას გააწყოდნენ, ზედ ანთებული სანთელი უნდა მიეწებათ; თან ჭიქა ღვინით უნდა გაეცხოთ და შეუდგებოდნენ „საოჯახო კრების წირვას“. ყველა ოჯახის წევრი აქ არის. ოჯახის უფროსი ქალი აიღებს ხელში ტაბლას და ღვინიან ჭიქას, ცალ მუხლზე დაიჩოქებს, ტაბლას სამჯერ წადმა მოაბრუნებს და ასე შეილოცავს: „მთავარანგელოზო, მოეხმარე ჩემს ოჯახს, ჩემს ქმარ-შვილს, კარგად ამყოფე; სანამღი ცოც-

ხალი ვიქნე, შენი ვედრება არ დავავდო“. ტაბლას რომ შემოაბრუნებდა და ამ ლოცვას გაათავებს, ეს ქალი მაშინ ამავე ტაბლებს და ჭიკით ღვინოს გადასცემს მეორე ქალს, მხოლოდ უსათუოდ სხვა ვეაჩუფებო. ისეც ამგვარად მოიქცევა, როგორც პირველი — ასევე შემდეგისა. მეორეც ასევე გადასცემს მესამე ქალს, უსათუოდ სხვა გვარისას (თუ ოჯახში სხვა გვარის არ არის, მაშინ მეზობლის რძალი უნდა მოეყვანათ, რომ სამი სხვადასხვა გვარის ქალი ყოფილიყო), ისეც ისევე მოიქცეოდა, როგორც ორი პირველი და შემდეგ კი მთელი ოჯახი სუფრას მოუჯდებოდა სადილისათვის და ამ ტაბლებსაც ჯველა შეშჭამდა. ამ დღისათვის ოჯახი გარემუს არავის მოიწვევდა. ამ დამეს, ე. ი. მთავარანგელოზობა დამეს, თუ აუდარი იქნებოდა, მაშინ ჭიკები წყალში ჩეიყრებოდნენ და თუ დარი იქნებოდა, მაშინ კლდეზე გადაიყრებოდნო. მთავარანგელოზობამდე — ე. ი. პირველი შვიდი დღე ჭინკობის თვეა. ამ დღეებში, მთავარანგელოზობამდე, თოხი, ცელი, ნამგალი ნალიაში უნდა შეენახათ, რომ ჭინკებისაგან დაეცვათ, რადგან ჭინკა სიმინდს „გააუფინდიკებს“ [გაუფუჭებს] და ამისათვის ნალიას დაერკინაუდითო. მთავარანგელოზობის შემდეგ ამ რკინებს ნალიიდან გამოიტანდენ, რადგან ჭინკები გადაყრილი იქნებიანო. ჭინკებთან დაკავშირებით ორბელში დარჩენილია ასეთი ამბავი: ორბელის თეშში, ს. ქოლბანში ბახსოლიანები ცხოვრობენ. ერთ ბახსოლიანს დაუჭერია ჭიმკა (ჭინკასაც ეძახიან) და გაუშინაურებია. ძალიან შეშჩევეია (აღამიანის მგზავრი ყოფილა). ერთ აღდგომას ეს ოჯახი, მთელი შემადგენლობით, ცისკარზე გასულა, შინამდეკად შინ ერთი ბავშვი და ჭინკა დაუტოვებიათ, ცეცხლზე კი დიდი ქვაბით ხორცი ჩაუდგამთ და ასე გასულან ოჯახიდან. ამ ჭიმკას აუყვანია ეს ბავშვი — ბიჭი — ხელში და ხორციან ქვაბში თავით ჩაუყუდებია, თან ამგვარად შეუწვევლია: „ახცო ბახსოლიანო, ნურც გიკლოს და ნურც აღმატოს“-ო. ამიტომ არის, რომ ეს გვარი არც მატულობს და არც კლებულობს — ჭინკიდან დაწყველილი არიანო.

## 62. სულთა შაბათი

მთავარანგელოზობას რომ შაბათი მოსდევს — სულთა შაბათი არის. არ უქმობენ, მხოლოდ უსათუოდ სადილობამდე სუფრა უნდა წაედგათ. გამოაცხობდენ სამ სულის პურს — ჯველიანს ან ნიგვზიანს, დასდებდენ სუფრაზე, საბთელს ნაკვერჩხალზე ჩააკმევდენ, ღვინოს წოფზე დაშობდენ: „ღმერთო, განათლებაში ამყოფე ჩემი ძველი და ახალი მკვდარი“ — სუფრას წაღმა შეაბრუნებდა უფროსი ქალი და შემდეგ კი ისადილებდენ.



სულთა შაბათის მეორე დღეს, კვირას იყო ქრისტეშობის დღურ-  
წყება. ამ დღეს, თუ ოჯახს „ანაწყილ“ [ოდნავ] შეძლებდა [ქვეყნად]  
სადილზე და ვახშაშზე სახსნილო უნდა ჰქონებოდა. ხშირად [ქვეყნად]  
დღეს გოჭიც დაიკვლებოდა. სუფრის წადგმა არ იცოდენ ამ დღეს.

## 64. ტაძრობა (მადრი)

21 ნოემბერს დიდი უქმეა — ტაძრობა. ეს დღე არის დასაწყისი  
„დიახწვლებისა“. საღამოს დიახახლისი გამოაცხობს ექვს ლობიან  
ტაბლას — „ტაძრობის სალოცი“-ს, საკმეველს ნაკვერჩხალზე ჩააქ-  
მევს, ჭიქით ღვინოს და ტაბლებს ხელგობზე დასდებს, ცალ მუხლზე  
წაიჩოქებს, გობს წადმისაკენ შემობრუნებს და შეილოცავს: „ტაძრად  
მოყვანილო ძალო და მადლო, შენ მოუშალე ჩემ ქმარ-შვილს ტანში  
ზრიალი, გულში წუხილი; მევეცი ქმარსა და შეილს ჩემსას კარგად  
ყოფნა და საქონელს გამრავლება“. ეს დღე „წლის სალოციის და  
დიახწ(ა)ვლების“ დასაწყისად ითვლებაო. ამ დღეს ორბელის თემის  
სოფლებშიც უქმობენ, მხოლოდ ტაბლების გამოცხვა და ლოცვა არ  
იციან.

## 65. ბოგაშობა (ჩხუტაული)

აღდგომისა და ახალკვირის შუა ხუთშაბათს „ბოგაშობას“ ეძახი-  
ან. მთელი წლის განმავლობაში მხოლოდ დღეიდღეს იყო წირვა ამ  
ეკლესიაში (ხიდთან, წმ. მაქსიმეს ეკლესია), თორემ დანარჩენ დღესას-  
წაულებზე აქ არ სწირავდენ.

## სხვადასხვა ცნობები

## 1. ტირილი

ოჯახში რომ ვინმე მოკვდება, ჭირისუფალი „გვინცხადებს“, ე. ი.  
იკივლებენ, იყვირებენ, მოცვივა კუთხე-მუხობელი და ყოველი მათ-  
განი ხმაძაღლა ტირის, მოთქვამს. „განცხადებ“-ის შემდეგ უკვე მომა-  
ვალის თავდარივს შეუდგებიან. მიცვალებული, თუ ბავშვია ერთი-  
დან ხუთ წლამდე, იმას ტირილს არ გადაუხდინან: ის ანგელოზი იყო  
და რაღა ტირილი უნდაო. სხვა წვერი ოჯახისა, ვინც არ უნდა ყო-  
ფილიყო (ძალზე ბებერი, კარგა ხნის დავარდნილი და სხვ.), ტირილი  
სავალდებულო იყო. ტირილი არ შეიძლებოდა ორშაბათ და ხუთშა-  
ბათ დღეებში. შეძლებული ოჯახი ტირილის დღისთვის უკანასკნელ  
სამ გორო პურს მაინც გამოაცხობდა. ამ დღისათვის დაიქირავებდა  
ხაბაზს — კაცს და „სატირალ ლავაშებს“ გამოაცხობდა. ტირილის  
წინა დღეს ოჯახიდან იგზავნებოდა „გამომცხადებელი“. ეს დაივლის



ველა მოყვარეს, სახლისშვილებს — მოკეთეს, კუთხე-მეზობელს და ტირილისათვის მოიწვევდა. ტირილს უფალი ამზადებს სხვადმანვე უნდა მადს: ღობიო, ლახანა, ცურცვი, ქართოფილი და სხვა, თანაღობიო და ღობიო უნდა ეშოვა. ტირილის დღეს ამრიგად დაჯდებოდნენ: მიცვალებული თუ კაცი იყო, ცოლი კუბოს „საფურხებს“ უნდა დამჯდარიყო — თმაგაშლილი, დედა — თავთან და დანარჩენი კი ჩამომწკრივდებოდნენ გვერდზე. პირველად, დილით ადრე კუთხე-მეზობელი დაიტირებს — ქალები თმაგაშლილი არიან, და შემდეგ კი — თანდათან მოდიან დანარჩენი მოტირალნი. მოყვარე, ამ ოჯახის ქალიშვილი, სახლისშვილი თავის უნიდან ამ დღისთვის მოემზადებოდა წინდაწინ — შეაგროვებს მოტირალს, თუ მიცვალებული „გულს ქვის“ — უკანასკნელს 30-40 კაც და ქალს, დაამზადებს იმდენ ხარჯს, რამდენიც ეყოფა მის მიყვანილ მოტირალს: ღვინო, პური (ლაგაშები) და უსათუოდ სამი თავი საჭამადი — ღობიო, ჭარხალი, ქართოფილი ან სხვ. ამის გარდა კი, უნდა წაეღო „საფენი“ — შეძლებისდაგვარად. ეს „საფენი“ უკვე ფულადი იყო. კუთხე-მეზობელი კი უსათუოდ მიიტანდა „შესაწვეს“: ერთ ბათიან პურს (შეიძლება მეტიც — ეს დამოკიდებულია იმაზე, მიცვალებულის ოჯახი რამდენს მიიტანდა ძველად და ა. შ.), ან გამომცხვარს ლაგაშად, ან ფქვილად, მენახვრე ღვინოს (ნახვარი ფუთი) და ორი თავი საჭამადი: ღობიო, ცურცვი (კაკლად ან მოხარშულს). შორიდან მოსული მოყვარე, ან სახლისშვილი, ან ქალიშვილი თავისი მოტირალით რომ შემოვიდოდა, იქ ვეღვა მიიწმინწვედა, კუთხე-მეზობელი გარეთ გამოვიდოდა და ადგილს ახალ მოსულებს უთმობდა. მომსვლელი შორიდან იწყებდა წივილ-კივილს, მას ჯვება ვინმე კუთხე-მეზობლის ქალები, აქეთ-იქეთ ამოუდგებოდა და ხელმოკიდებული შეჰყავთ კუბოსთან. აქ ის დაიბოქებს, ირგვლივ მისი მომყოლი მოტირალნი შემოეხვევიან; ის მოთქვამს, თმას იწვეს, თავს კუბოს ურახუნებს (მაგ., თუ დედაა, ან ძმა, ან მამა), მერე მას წამოაგდებენ, მას შეეცვლება მისივე მოყვანილი, რომელიც უფრო ახლო იყო მიცვალებულის ოჯახთან; შემდეგ კაცები თითო ან ორ-ორი მიუწოქებენ, ორივე ხელს შუბლზე მიიტრყამენ, მათვე სწრაფად სხვა სცვლის და ამგვარად ვრძელდება, სანამ ვეღვა არ დაიტირებს. მოტირალი რომ ვეღვა მოვა და დაიტირებს, მერე სადილად დააჯდნენ. თვითუელს უნდა ჰქონდეს წინ ორი ლაგაში, საჭამადი კი ორს ერთად (ერთი საინი). მოტირალის მომყვანი კი დაჯდება თავის მოყვანილ მოტირალებთან და თითონ უმასპინძლ [დ]ება ამათ. ვეღვა სუფრანზე თავ-თავისი მერიქიფე ჰყავთ, რომელიც აწვდის ვეღვას ღვი-

ნოს. სადილის გათავების შემდეგ სხვა კუთხიდან მოსული თავისი მოტირალით, შინ მიდის და თუ რამე გადაარჩა სადილს მისი მოტირალიდან, უსათუოდ თან წაიღებს, მიცვალებულის კუთხე-მეზობელის ღვაძლემ გაპყვება და დაპარხვის შემდეგ მობრუნდება მიცვალებულს ოჯახში და ვახშმად დარჩება. მოტირალის მომყვანი ვალდებულია თავისი მომყოლი მოტირალი თავის სახლში მიიყვანოს და ვახშმად იქ უნდა დარჩენ. ამათ დასახვედრად ოჯახი შხად იქნებოდა. მათ ეძახიან „მობრუნებული მოტირალი“-ს. დასაფლავების შემდეგ, საშშაბათს ან შაბათს (თუ მარხვა არ არის), უნდა „ხელის ვახსნა“ მოხდეს. თუ მიცვალებული ქალია, მაშინ ხელგახსნის ცხვარი ნეზვი უნდა ყოფილიყო, და თუ კაცია — სულ ერთი იყო. ამ ცხვართან უნდა შეეწვათ გოჭი, ქათამი, უსათუოდ უნდა ეშონათ „პურტყის“ ხორცი; გამოაცხობდნენ შვიდ სულის პურს — სამ ყველიანს და ოთხ ლობიანს ან ცერცვიანს, ღვაძლებს; ყოველგვარი ხილი, რაც რამ შემდეგოდა ეშონათ, საჭმელი, ხილ-ბოსტნეული სულის ვახსნაზე ჭირისუფალს უნდა ეშონა, რადგან თუ კხლა რამე დააკლდა მიცვალებულს, მერე სულ დაკლებული კქ(სე)-ნება იმის სულსო. ცხვარი უნდა უსათუოდ შეეწვათ შამფურზე და შამფურითვე უნდა ყოფილიყო სტოლზე მიყუდებული. ამ დღისათვის მოიწვევდნენ მხოლოდ ძალიან ახლო ნათესავ-მეზობელს. ყველაფერი ეს რომ შხად იქნებოდა, სუფრაზე დააწყობდნენ, სუფრის ოთხივე კუთხეში თითო ჩხირ სანთელს აანთებდნენ, სამ დიდ ჭიქას ღვინით გაავსებდნენ და სხვა ბოთლებს. შემდეგ კი ოჯახის უფროსი ქალი ღვინოს „წოუსედაშება“: „ღმერთო, გამინათე ჩემი მკვდრის სული, ამიერში დამკვარგა, იმიერში ნათელში მიმყოფე“. სანთელი რომ სანახევროდ დაიწვებოდა, მაშინ მეორეჯერ უნდა „წაეხედაშებინა“, მესამეჯერ კი, სანთლის სავსებით დაწვამდი, და მერე კი თითოეული ოჯახის წვერი და სტუმარი, დიდი და პატარა, ყველა ღვინოს წოუქცევდა და შენდობას შეუთვლიდა. შემდეგ შხარეული შამფურზე აგებულ ცხვარს აჭნიდა, მარჯვენა ღვიძლის თითო ნათალს ჭირისუფალს ყველას ჩამოურთივებდა, ზრეთვე იქვე მყოფს. ისინი ღვიძლის ნათალას ზეზე მღვთმნი შემჭამდნენ და ამის შემდეგ კი ყველა მიუჯდებოდა სუფრას სადილიად. ამითი თავდებოდა ხელის ვახსნა. მეორე ცხვარი ჭირისუფალს ვვალება ან სულთა შაბათს, ან მღვთიშობლობა დღეს — ეს ცხვარი „სულის დღისა“ იქნება. მესამე ცხვარი კი წლის თავზე, ან ორი კვირით ადრე წლამდე ან ორი კვირის შემდეგ, უნდა დაეკლათ. მაშინაც ახლო ნათესავნი და მეზობელნი უნდა მოეწვიათ; ეს იქნებოდა „სუფრის აღება“ — ოჯახის „აშვება“, რადგან სუფრის აღებამდი ოჯახი მგლოვიარება,

და შემდეგ კი ის თავს „ეიშობდა“, ე. ი. სიმღერა-ლხინი თვისივე  
ლად შექმლო, რადგან მიცვალებულს „სუფრი აღება“ და წინა სულის  
საკმ(ე)ენი გადაუხადა.



## 2. ლოზინობა და მელოზინა

ქალს რომ მშობიარობა მოუხლოვდება, ცეცხლის პირას საწოლს  
გაუშლიან, სახლის დირეზე ბაწარს ჩამოკიდებენ, რომ მელოზინე  
ქალს ტკივილების შეტყვის დროს ბაწარისათვის ხელი მოეკიდა.  
თუ რამე ძველისძველი არის ოჯახში, მელოზინეს დაუგებენ: ჯერ  
მიწაზე ჩაღა ან თივა, ზედ ძველი ტყავი ან ლეიბი, და წენ ქვემოთ კი  
უსათუოდ მარტო თივა ან ჩაღა უნდა ყოფილიყო. მშობიარობას უნდა  
დასწრებოდენ სამი ქალი: ერთი ბებია და ორი დამსწრე (სხვა ოჯა-  
ხიდან). თუ მელოზინე მეტად შეწუხდებოდა, ლოზინობა გაურთულდე-  
ბოდა, დამსწრე-დამხმარეც მეტი უნდა მოეყვანა. დამსწრეს მოვალეო-  
ბას შეადგენდა მკლავში ხელის მოკიდება, წელში მიბჯენა, მუხლე-  
ბის დაკავება და სხვ. გართულების დროს, ლოცვა, სანთლის თავზე  
შემოვლება, ცხვრის თავზე შემოკლება და მერე ამ ცხვრის მარიობას  
ან სხვა მისგან შეთქმულ დღეს დაკლავდენ. მელოზინეს თუ ვაკე  
ეუოლებოდა, უსათუოდ თოფი უნდა ესროლიათ, მხოლოდ არა მამას,  
რადგან მამა თუ ისროდა თოფს, მამის ბიჭი ურჩი გამოვალ. ქალი  
რომ მორჩებოდა, ბებია ბავშვს მოუვლიდა, დაბანდა, დაბანის დროს  
„შეუწრუბუნებდა“ და ჭინჭებში გაახვედნენ. „ავაკან“-ში მხოლოდ  
მეოთხე-მეხუთე დღეს ჩააწვენენ. ქალი და ბავშვი რომ მოვლილი-  
დაბანილი და გასუფთავებული იქნებოდენ, ბებიას და დამსწრე ქა-  
ლებს, შეძლებისდაგვარად, დაპატიებდენ — შეიძლება მარტო ხმელა  
პური და ღვინო მიგვეტანათ, და შეიძლება უფრო „დიდებულად“ გავ-  
მასპინძლებოდითო. მესამე დღეს, ბავშვის დაბადების შემდეგ, მელო-  
ზინის ოჯახში უნდა მომზადებულიყო „სალოზინო ტაბლა“. გამოაც-  
ხობდენ სამს ჯვარიან ტაბლას, ლობიანს ან ცერცვიანს, დედალი  
ან შაშხი უნდა მოეხარშათ, მისი პური და ღვინო და მოიწვევენ ბები-  
ას თავის დამსწრეებით. ყველაფერი რომ დაშადდებოდა, ბებია ქალი  
ადებს ამ სამ ტაბლას, ჭიქით ღვინოს და საკმეველს მელოზინე ქალს  
თავზე შემოავლებდა; მერე ბავშვსაც შემოავლებდა თავზე და ამგვარად  
შეულოცავდა: „დედა ღვთისა დედოფალო, გამადლობართ შენს  
წყალობას, როგორც მორჩინით გაგვახარე, ისე კარგად გვიყოფე ჩვე-  
ნი ბოშიანი ქალი“. სანთელს ნაკურნხაღზე დასდებს, ტაბლებს და  
ჭიქით ღვინოს დამსწრე ქალს გადასცემს, ესეც ამგვარადვე მოიქცევა

და შეილოცავს, როგორც ბებია ქალი, მეორე მესამეს გადასცემს და ასე შემდეგ [33] — რამდენიც დამსწრე იქნება, იმდენჯერვე ქალი და ბავშვს თავზე უნდა შემოავლონ ტაბლა და ღვინო, თან მარნს მშენებელი თელი-საკმევი ნაკვერჩხალზე უნდა აკმონ. ყოველივე ზემოთხსენებულ სადილს მიირთმევენ. „სალოინო ტაბლები“ ისე უნდა შეეჭამათ ბებია და დამსწრე ქალებს, რომ ნამცევი არ გადავარდნოდათ, თორემ ბავშვი მიწის მჭამელი გამოვაო. სადილის შემდეგ დაიშლებოდნენ, მხოლოდ ბებია ქალისათვის ხანუქარი უნდა მიეცათ — უკანასკნელი ერთი მანეთი მაინც.

ღოგინობის მეოთხე დღიდან მელოგინებთან იწყებოდა მოსაკითხვით მოსვლა. კვლავ უწინ უნდა მოსულიყო „თავისახლი“ — დედა ან მამა. თავისახლიდან უნდა მოეტანათ ცხვარი, ან დორი (დაკლული), ცოცხალი ინდოური, „სამი ცხრაკოტოტა პური“, ორი ხმელა პური — ეს მელოგინებათვის, ერთი ან ორი თუნგი ღვინო, ერთი დედალი და ერთი გვაჯილი. თავისახლის შემდეგ კვალებოდა მულს, დობილს, ნათლიდვას, ამით კი უნდა მოეტანათ „ორი ცხრაკოტოტა პური“, ორი ხმელა პური, ერთი დედალი, შაშხის ბუჭი, გვაჯილი სამპოთლიანი დოქი ღვინო და ხხვა.

1 — ორშაბათი — ხარბი დღეა; 2 — სამშაბათი — კარგია თესლის გასადებად, სამგზავროდ; 3 — ოთშაბათი — ნაკიანი დღეა; 4 — ხუთშაბათი — კიდევ ხხვას ჯობია; 5 — პარასკევი: პარასკევს დაბადებულ აღაპიანს ცეცხლი მოსდევს, საქონელს შველი მოსდევს. 6 — შაბათი — ბუნძიერი დღეა და 7 — კვირა — კარგია. ხვნის დაწყება უკეთესია სამშაბათ დღეს ან შაბათს, შვიდის ან ჩვიდმეტის მთვარეზე — ეს დღეები კარგად შეცნობილნი არიან და მატლი არ მოსჭრის. პირველი კვალის გატანა უმჯობესია თებერვალში, თუ შვიდის ან ჩვიდმეტის მთვარეს მოეტანა: ხვნის გარდა, ყოველი საქმის დაწყება სასურველია სამშაბათს ან შაბათს. პირველად რომ კალოს ჩაიდგამენ — სადილობის დროს, როდესაც ხარი და კაცი ისვენებს, დიასახლისი ქალი გამოაცხობს პატარა ტაბლას — მარილიანს. ეს იქნება „კალოობის ტაბლა“. ამ ტაბლას და ჭიქით წყალს, ჩასაკმევე ხანთელს გაიტანს კალოს კიდზე, ტაბლას წაღმა სამჯერ შემოაბრუნებს, ხანთელს ნაკვერჩხალზე დასდებს და ამგვარად შეილოცავს: „ღმერთო, გამწნო ძალა, ჩემ პურს მიეცი კაი ხვაეი, კაი ბარაქა, კაი ნიაევი მომიყვანე“. ჭიქით წყალს გადაახამს, ტაბლას კი სადილთან ერთად შემჭამს.

როდესაც ახალ მოსავალს, პურს იწყებენ, დიასახლისმა უნდა გამო-



აცხოს „საბარაქო ტაბლა“, ან ნიგეზიანი, ან მარილიანი, და გვირას/ძირში უფროსი ქალი შეილოცავს: „ღმერთო, მიეცი ჩემს რეცხულს პურს ბარაქა, ხეავი, ნუ დამიღვე შენ წყალობას — ბუნდურეკმმმმმ მამახმარე ჩემი ახალი მოსაჯალი“.

### 3. ხალხური სხვადასხვა წინიშენები, ცნობები

გვალვა-აღდრიანობასთან დაკავშირებით სოფ. დეხვირში, წილა-მიურში, ლესინდში, ცხეთაში უკანასკნელ წლებამდე ასეთ სამუშაოებს მიმართავდნენ: ოცდაათი, ხშირად ორმოცი კაციც ღვლეკებს მოიბამდნენ კისერზე და ჩხუტელში, მურის ხიდთან წმიდა მაქსიმეს სახელობის კვლესიანზე მივიდოდნენ. აი, როგორ ყოფილა საქმე: სოფ. დეხვირში ქარიაშვილები სცხოვრობენ. ყოველ კალოობის დროს, მთელი სოფელი რომ კალოობის ფაცა-ფუცში იყო და ამინდიც ამისათვის ხათანადო იდგა, ერთ ქარიაშვილის ოჯახში ღვთის რისხვა ტრიალებდა: როგორც კი კალოობას დააპირებდა და პურის კონებს კალოზე გამოიტანდა, ზევიდან, კალოს პირდაპირ მაშართულებით, კაცის გამოხატულების სახით, შავი დრუბელი გამოჩნდებოდა და თან წვიმას ცრიდა. ქარიაშვილის ოჯახი იძულებული იყო კალოობისათვის თავი დაეხებოდა. ასეთი ამბავი გრძელდება რამოდენიმე დღეს. მოთმინებიდან გამოსული ქარიაშვილის ოჯახის კაცი გამოიტანს სახლიდან თოფს, დაუმიხნებს დრუბელს და ესერის. ძირს, კალოზე, მკვდარი კაცი ვარდება. გამოიყვანა ოჯახის კაცმა გაუხეხნელი მოხვრები, შეაბა მარხილს, მარხილზე დაახვეწა ეს კაცი, გაუარდნენ მოხვრები — უკან ეს კაცი მისდევს. სამინელი სისწრაფით გადაიარეს მოხვრებში სოფელი ცხეთა, გადაღახეს ორბელის წვერი, სირბილითვე ჩაიარეს მურის ხიდი და იქვე ახლოს, ჩხუტელის ბოლოში მივიდნენ თუ არა, მოხვრები დაეცნენ ნარბენი — დაიხოცნენ. მოხვრების დახოცის ადგილზე დასაფლავა ამ მკვლელმა ეს კაცი. აი, აქ აუჯიათ წმიდა მაქსიმეს სახელობის კვლესია, რადგან ის მოკლული მაქსიმე იყო. ამის შემდეგ, ყოველ გვალვის და აღდრიანობის დროს, სოფ. დეხვირიდან, ლესინდიდან, ცხეთა-წილამიურიდან უფროსი კაცები, ძალიან ხშირად ორმოციც, თავს მოიყრიდა, კისერზე ღვლეკს შეიბამდნენ (ამათ ერთი კვირის განმავლობაში თავი სუფთად უნდა შეენახათ: არ შეიძლებოდა ამ კვირის განმავლობაში ქალთან კავშირი), წინ ღვლეკით კალოზე ქარიაშვილების გვარიდან — თითო კაცი კომლიდან — მოუძლოდნენ და უნდა წახულიყონ მოხვრების ნავალ გზით, ერთიპეორის შემდეგ ლარი-

ვით გამწვრივებულნი. ყოველგვარი მიხვევ-მოხვევა აკრძალული ღო.  
გზაში რომ ჯოჯი შეხვდნოდეთ, გვერდს ვერ აუვლიდენ — პირდაპირ  
უნდა გასდებოდენ ჯოჯს; სახლიც რამოდენიმეჯერ დახვდებოდეთ  
წინ (რადგან მერე ამ ადგილებზე მოსახლეობაც განხდენ) ~~ერსოდენ უმჯ~~  
თია სახლის ფანჯარაში, კარებში უნდა გასულიყონ, ~~ღმრს უმჯ~~  
ასცდნოდნენ იმ გზას, რა გზაზედაც ოდესდაც მოხვერებმა წმიდა  
მაქსიმე მიასვენეს. გზაში ესენი ყვიროდენ: „წმიდა მაქსიმე, წვიმა  
(ან დარი) გვიბოძე, თოოპპიო, თოპიოო...“ საფლავთან მისვლისას,  
ველესიას სამჯერ ირგვლივ შემოუვლიდენ იმავე შეძახილით და მეტა-  
ნიით. მესამეჯერ რომ შესძახებდენ: „წმიდა მაქსიმე დარი გვიბოძე —  
თოოპპიოო...“ მაშინ უსათუოდ მიწა გაირყეოდა და თან წვიმაც მოვი-  
დოდაო. დღევანდებს მოიხსნიდენ და იქვე დასტოვებდენ.

მეორე ვერსიით — დღევანდებულნი ხალხი რომ მიუახლოვდებოდა  
წმიდა მაქსიმეს ველესიას, დადგებოდა შორიახლო და ერთი უფრო  
პატივსაცემი კაცი, ღვთისსიერი, რომელიც უქმს არ სტებდა, იგზავ-  
ნებოდა მოციქულად წმ. მაქსიმესთან ველესიაში, დანარჩენი კი შო-  
რიახლო მოწიწებით უცდიდა გაგზავნილ მოციქულს. ცოტა ხნის შემ-  
დეგ ეს მოციქულიც გამოვიდოდა ველესიიდან, დაუდგებოდა ხალხს  
წინ და შესძახებდა: წმიდა მაქსიმე გვიწყრება, გვემღურის; უქმი არ  
რცით, ღმერთი არ გწამთ, სარწმუნოებას ჰკარგავთ და სხვ. ხალხი აქ-  
ვე ფიცს აძლევდა, რომ ამის შემდეგ უქმს არ გავსტებთ, სულ მის  
ბრძანებაზე ვივლითო და სხვ. მოციქულიც ხელახლა შუდის ველესია-  
ში და კიდევ ცოტა ხნის შემდეგ კვლავ გამოდის ხალხის წინაშე და  
ეუბნება: შეიწყნარა ჩვენი ხვეწნა წმიდა მაქსიმემ-ო. ხალხი დამლას  
ვერ მოასწრებს, რომ წვიმა უკვე მოვიდოდაო. ორბელის თემის სოფ.  
ჩერალიდან გვალვის დროს მიდიოდენ ძულურის ტბაზე, რომელიც  
უფსკერო არისო, იქ უნდა წავეყანათ კატა და ჩავედოთ ამ ტბაში.  
კატას ჩააგდებდენ თუ არა, გამობრუნებას ვერ მოასწრებდენ, მაშინვე  
გაწვიმდებოდაო.

#### 4. შილოვანი

**ციცხლის ღოცვა** (ქალი რომ დამე ციციხლს შეხვევს და დილას  
ჩაუქრობელი დაუხვდეს)

ციციანასა, მანასა, მთა ჩხირი გათქნებასა,  
მე მულოდე, მუეს ელოდე, მთვარეს  
ელაღლაღებოდე, დილას ადრე ავდგებოდე.

ვაკეცურად დაუხვდებოდე ბაბუს სძინავს,  
ბაბუს ლეიძავს, ბაბუს წვერი მიწაშია.



ეროვნული  
ბიბლიოთეკა

**ძილის ლოცვა** (ღამე რომ კარგად მოგეხვენოს)  
ღუწობი, ღამეძინება, ღამწვერება პირჯვარი,  
ასი ხატითა, ჯვარითა, თორმეტი ანგელოზითა  
მწყალობს ჯვარი-ჯვარცმული, შე რას მაწვევს მაცდური,  
მწყალობს წმიდა გიორგი — ჯვარი პატიოსანი.

### წითელი ქარის ლოცვა

შვილოცავ ქარებისას — ქარი ხარ, ქარ  
თეთრი ხარ, ძვალში ხარ — რბილში გამოდი,  
სახელითა ღვთითა, ძითა, მამითა, სულითა  
წმიდიდა — ძვალში ხარ — რბილში გამოდი,  
რბილში ხარ კანში გამოდი, კანში ხარ — კარში გამოდი.

### მონადების [მიწიდან ანაყოლის, უცმურის] ლოცვა

მონადებო შვილიანო, მონადებო ძირიანო,  
დედა მონა ტირიანო, ანგურეა დოუკლავსეუ  
სად არი ჩვენი შვილი, გვიან მოვა შვიტყამენ,  
ადრე მიხვალ შვინახვენ; აქანე ძალლი  
ვეუს, აქანე ღორი ჭყვივის; გადი, გაშორდი,  
მონადებო; დაგჩებავთ, დაგკეპავთ; რა გინდა  
ამანი, მონადებო; დაგჩებავთ, დაგკეპავთ —  
მიგცემთ ღობე-ურესა.

### დასუნულის ლოცვა

ბეწვა-ბეწვა საბეწვაო — გარგამოდი საბეწვაო,  
ვირთხის იყო, თავვის იყო, ბუჭუნჭველქას იყო,  
მაინც დასუნული ხარ; ძვალში ხარ,  
რბილში ხარ — გამოდი; დაგკრავ გულსა, გამოგადენ ქონივით,  
რაც [ხ] ის დასუნული იყო გადი-გაშორდი,  
დაგჩებავ-დაგკეპავ — გაგაქროლებ ისე.

### ნათვალავის ლოცვა

სახელითა, ღვთითა, ძითა, მამითა, სულითა,  
შვილოცავ თვალღმისასა, ყოველივე ქვეუნისასა,  
შინაურისასა, გარეგანისასა, შავთვალღმისასა, ავთვალღმი-  
სასა;  
ვინც იყოს შენი მოღაბნიელი და მოხარბიელი,  
თვალთა ნაცარი, გულსა ღაღარი, ვინც შენი

გამთვალავი იყოს და გამღალავი, გამოსკდა წითელი კლდი,  
გამოქვეა წითელი გველი, გადაუკრავთ სიძსა ქვასა,  
ის რო სკდება, ის რო გჯება, ისე გული ვოუგჯება,  
ვინც ავი თვალის და ავი გულის იქნეს, შენ ჯვარი დაგ  
შისი გათვალოს, შისი გაღალოს.



### 5. წლიური სამიზნობა

1. იანვარი. მამაკაცისათვის: შეშის მოტანაა სავალდებულო, წის-  
ქვილში წახვლა, თუ დიდი თოვლია, მაშინ წყლის მოტანაც მამაკაცს  
ვალდება...

ქალის საქმიანობა: კრვა-რეცხვა, ქსელვა, მატყლის დართვა.

2. თებერვალი. თუ ამინდი ხელს უწყობს, მამაკაცი ამ თვეში ვე-  
ნახის სხვლას იწყებს, აგრეთვე ვენახის „შენებას“ — ხარდნის დასო-  
ბას, გამოცვლას.

ქალმა კი ჯარჯი უნდა შეავროვოს.

3. მარტი. ნაცხრამარტვეს, თუ ამინდი ცოტა ხელს უწყობს, ხენა-  
თესვა იწყება. ქალიცა და მამაკაციც მონაწილეობას იღებენ.

4. აპრილი. ეს პირველი სამუშაო თვე ეს არის; აპრილის ნათეს-  
ნამუშური [ნათეს-ნამუშქვარი] თუ გინდა ბედელში გქონდეს.

ქალი აპრილში ბოსტანსაც აკეთებს.

5. მაისი. შუა მაისამდე ხენა-თესვა გრძელდება, შემდეგ კი იწყება  
სიმინდის ხელაღობა. სიმინდის ხელაღობაში (პირველი თოხნა) ქა-  
ლი მონაწილეობს, როგორც კაცი (იღებს).

6. ივანობითვე — კვახირკია თვეა, რადგან ახალი არ არის და  
ძველის კი მხოლოდ კულია დარჩენილი — არაფერი იშოვება. სიმინ-  
დის და ვენახის თოხნაა (საქმე ბყრია — საჭმელი ცოტა).

7. კვირიკობითვე — საშუალო თვეა; შესაძენი პატარ-პატარა, შე-  
მოდის მოსავალი: ჭყინტი ღობიო, პური, ხილი.

8. მარიობითვე. კარგი თვეა — პურის თესვაა.

9. ენკენითვე. მაძღარია: ყურძნით, ტაროთი, პურით — სიმინდის  
აღება იწყება.

10. წიფობითვე. შუაწიფობისთვისდანი სიმინდის და ყურძნის აღე-  
ბა, დაღაგება თავდება — ქალი და კაცი ვველა მუშაობს.

11. გიორგობითვე. სამთრის პირია; მამაკაცი „საშოვრად“ მი-  
დის — იქ რჩება შუა ქრისტეშობამდე.

12. ქრისობითვე. სამთარია — დამწვარია.



ორბელის თემის სოფ. სუნხანურში — მტრონე სანიკიძე, გლეხის ქალი, კოლმეურნე, წერა-კითხვის უცოდინარი — 58 წლისა.  
ცაგერში: ელკია დავითის ასული ბენდუქიძე, წერა-კითხვის უცოდინარი, გლეხის ქალი, 49 წლისა.

## რატული ხალხური ღერობები

### 1. ბარბალოზა (4 ლა.)

ღიბწველების თავი არის ბარბალოზა დღე. ბარბალოზას წინა დღეს დაუძახებენ „კლოვიარეს“, რომელიც იქნებოდა მომხველელი ახალწველიწადს — „საკლოვიაროდ“. კლოვიარეს ირჩევენ კარგი ხნით ადრე: თუ ის კარგი ფეხის გამოდგებოდა, დარჩებოდა ის სულ მკლოვიარეთ. ბარბალოზა დღეს, ოჯახის უფროსი ქალი ადგება ყველაზე ადრე, დაანთებს ცეცხლს და შემდეგ გავა გარეთ და საბძლიდან კალთით შინ შემოიტანს ბზეს, რომელსაც სახლში შემოსვლისთანავე ხელით მიაბნ-მოაბნებს „სოხანეში“ და თან იძახის: „ჩიე-ჩიე, ჩიე, ვარია და ყვინჩილე, ვარია და ყვინჩილე!“ — მხოლოდ ამის შემდეგ შეუძლიათ ადგომა დანარჩენ ოჯახის წევრებს; შემდეგ ყველანი დაიბანენ, სახლს დაგვიან — თან მიყრილ ბზესაც მიაგვიან და მერე კი სადილის სამზადისს შეუდგებიან. უნდა გამოეცხოთ უსათუოდ „სართვიანი“ (ე. ი. ლობიანები) პურები და ერთი „განატები“ — ისეც ლობიანი და ჯვარსახიანი. ამავე დღიას უსათუოდ უნდა მოვიდეს კლოვიარე; თუ შემთხვევით კლოვიარეს მოსვლამდე სხვა ვინმე მოვიდა, მაშინ, უკვე წესის თანახმად, კლოვიარეც ის უნდა იყოს და ამიტომაც ყველა ცდილობს ბარბალოზა დღეს უდრო დროზე, ე. ი. სადილობამდე არ მივიდნენ მერე ოჯახში. ეს კლოვიარე სასურველი იყო, რომ სადილად დარჩენილიყო ოჯახში. სადილის დროს უფროსი ქალი, შეიძლება კაციც, აიღებდა „განატებს“, ზედ ზედაშს, ერთ ჭიქა ღვინოს, დადგამდა და ცეცხლთან ახლოს წადმა შეატრიალებდა განატებს და შეილოცავდა: „ღმერთო, გაგვიმრავლე ჩვენი საქონელი, მოგვეცი კარგი წელიწადი“ — ღვინოს თვითონ მლოცველი დალევს; ამის შემდეგ შეუდგებოდნენ სადილობას და ამავე დროს გაანაწილებდნენ განატებსაც; განატების ჭამა შეუძლო აგრეთვე კლოვიარესაც. ეს დღე დიდ უქმედ ითვლებოდა — განსაკუთრებით ქალებისათვის, რომელნიც ამ დღეს ნემსს ხელში არ აიღებენ. ამ დღეს ოჯახიდან არაფერი გაიციშა.

მთხრობელი: კ ე ს ა რ ი ა ვ ო რ დ ე ზ ი ა ნ ი, 75 წ.

ს. ხვანჭკარა.



ლიბწველების დასაწყისად თავად ბარბალოზა ითვლებოდა. ბარბალოზის წინა დღეს დაუძახებდნენ კლოვიარეს, რომელიც მომწველელი ახალწელიწადს. კლოვიარეს ირჩევდნენ დიდი ხნით ადრე: თუ ის კარგი ფეხის გამოდგებოდა, ე. ი. ოჯახში აღამიანის, საქონლის მშვიდობა იქნებოდა ამ ხნის განმავლობაში, მაშინ ის, ძველი მკლოვიარე მუდამ სასურველი იყო, თუ არა და უნათუოდ უნდა გამოეცვალათ. ბარბალოზა დღეს — ძალიან ადრე, ისე რომ არაუადრეს ოჯახის უფროსი ქალი ადგებოდა, დაამთებდა ცეცხლს. შემდეგ გავიდოდა გარეთ და საბძლიდან კალთით უნდა შემოეტანა სახლში ბზე. შინ შემოსვლისთანავე კალთიდან ამოიღებდა ხელით ბზეს და მოაყრიდა „სოხანკში“ და თან იძახოდა: „ჩიე-ჩიე, ჩიე, ვარია და ჯინჩილე, ვარია და ჯინჩილე.“ ამის შემდეგ ჯეღა უნდა წამომდგარიყო ლოვიანიდან, დაიბანდნენ, სახლს მიასუფთავებდნენ და „სოხანკ“-ში მიყრიდნენ ბზესაც მიჰგვიდნენ. შემდეგ ამისა სადილის თადარიგს გასწვედნენ. უნდა გამოეცხათ „სართვიან“-ი (ლობიანი) პურები და ერთი „განატები“ — ისეც ლობიანი, მხოლოდ ჯვარსახიანი. ამავე დღეს უნდა მოსულიყო კლოვიარე. თუ შემთხვევით კლოვიარეს სხვამ ვინმემ დაასწრო მოსვლა, მაშინ მკლოვიარეთ ეს შემთხვევით მოსული უნდა ყოფილიყო და ამიტომ ყოველთვის ცდილობდნენ ოჯახში ადრე არ მოსულიყვნენ და მკლოვიარესათვის მეტი დრო მიეცათ. მომწველელ მკლოვიარეს მიიპატივებდნენ სადილად. სადილის დროს, უფროსი ქალი ან კაცი აიღებდა განატებს ხელში. მეორე ხელში ჭიქით ღვინო უნდა პქონოდა და ცეცხლთან ახლოს — კურიასთან — განატებს წაღმა შეატრიალებდა და ამგვარად შეილოცავდა: „ღმერთო, გავვიმრავლე ჩემი საქონელი, მოგვეცი კარგი წელიწადი.“ ღვინოს თვითონ მლოცველი დალევდა, განატებს კი სუფრაზე დასდებდა სართვიან პურებთან ერთად. შემდეგ დაჯდებოდნენ და სადილს მიირთმევდნენ, თან განატებსაც ჯეღა ოჯახის წევრს უნაწილებდნენ და აგრეთვე აქვე მყოფ „კლოვიარე“-საც. ბარბალოზა დღე დიდი უქმი იყო, მაგრამ ჯეღაზე მეტად კი ქალები უქმობდნენ: ნემსის ხელში აღება ქალს ამ დღეს არ შეეძლო.

### 2. ხანძარი

ამ დღისათვის წინაღლით ეზადებიან: უნდა გაერჩიათ კაკალ-კაკალ „იფელი“-ს პური და საღამოს კი საცხებელში გაცხებულენ.

გათავებდნენ თუ არა ცეხვას, გაცეხვილ პურს გობში შეიძლება, მხოლოდ ისე რომ არ გაერკვათ, ამ დღეს არ შეიძლება, მხოლოდ საჭანტილე შხად უნდა ჰქონოდათ გობში, რომ მეორე დღეს მხოლოდ ჰანტილობას, გაერკვათ კიდევ და მოეხარშათ. ჰანტილობა დღეს კი, უფროსი ქალი ყველაზე ადრე ადგებოდა, შემოიტანდა გობს საჭანტილვით და შუა ცეცხლთან ამ გობიდან სამჯერ უნდა მიერკვა ისე, რომ ქატო ცეცხლში ჩაყრილიყო და კარგად მოჰკიდებოდა. ამის შემდეგ საჭანტილეს ვბრეცხაუდენ და ჩაადგამდენ ქვაბში და ცეცხლზე ჩამოჰკიდებდნენ. ქვაბი უფრო ხშირად თუჯისაა. როდესაც შეატყობდნენ, რომ პური კარგი მოხარშულია, მაშინ მოიტანდნენ ყოველგვარ თესლეულობას სამ-სამ კაკალს — სიმინდი, ლობიო, ცურცვი, ოსპი — და ყველა ამას ჩაყრიდნენ მოხარშულ ჰანტილაში. სანამ ჰანტილა სავსებით მოიშხადებოდა — შეიკმახებოდა, აქედან აიღებდნენ ერთ კოვზ ჰანტილას და მისცემდნენ ბავშვს, რომელიც წაიღებდა და ყველა ხილის ხეს, რაც კი მის ეხო-გარემოში იქნებოდა, წაუნვამდა. ამის შემდეგ ჰანტილას შეაზავებდნენ ნივჯით, ხახვით და მარილით. გამოხდიან ხეთს ნივჯიდან. ვახშობამდე ამის ჭამა არ შეიძლება. ვახშობისათვის უნდა გამოეცხოთ სამი „განატეხი“. განატეხები ნივჯსიანია. ჩამოქნიან ოთხ ჩხირ სანთელს, ჩაარჭობენ თითო-თითოდ განატეხში, მეოთხეს კი უფროსი ქალი ან კაცი ხელში დაიკავებს. განატეხები ანთებული სანთლით, ღვინო ჭიქით და ჰანტილა — ეს ყველა ჩაწყობილია გობში. მლოცველი ქალი ან კაცი ამ გობს ცეცხლთან ახლოს წაღმა შეატრიალებს სამჯერ და ამგვარად შეულოცავს: „ღმერთო, რამდენი კაკალი ეს არის, იმდენი სიკეთე მოგვეცი, იმდენი კოდი მოგვეცი, იმდენი თეთრი და ქონება და იმდენი კოდი ხვარბალი მოგვეცი“. ლოცვის შემდეგ ამ ოთხ ჩხირ ანთებულ სანთელს სახლის ოთხზე „ყურე“-ში მიაკრავს და სანამ არ დაიწვებიან, არ ჩაქრობენ. შემდეგ დაჯდებიან ვახშმად. ჰანტილას ჯამბში გადმოასხამენ, თუ ზეთი გამოხდილია, ჯამბში დაასხამენ და ისე შექცევნიან როგორც ჰანტილას, ისე განატეხებსაც. განატეხი სტუმრისაც კვშია.

### 3. შობა

ჰანტილობის მეორე დღეს არის შობა. ამ დღეს მამლის ყვილთან ერთად, უფროსი ქალი უნდა ამდგარიყო და ქათმები დაეჭირა: ერთი ყვინჩილა — საანგლოხო და მეორე — სულერთია ყვინჩილა იქნებოდა თუ ვარია, საოჯახო. ამ ორ ქათამს უფროსი ქალი შემოიყვანდა სახლში. საანგლოხო ყვინჩილას სახლში შემოსვლისას შემოაუღებ-

და თავზე კაცებს და ბავშვებს — ბიჭებს და შერე კი ხარებს ცოცხალ  
ფინჩილას რომ თავზე შემოავლებდა, როგორც კაცს, ისე ხარს, ამგე-  
რად ეტყოდნენ: „ანგელოზების ბარაზე მომირთმევია ეს ფინჩილა, თქვე-  
ნი სამშვიდობოდ“ (თან ასახლებს კაცს ან ხარს); საოჯახო განა-  
ტი შემოავლებდნენ ცეცხლთან ახლოს მიდგმულ „სასაფურე“-ს და  
„ცეცხლს — ასეთი შელოცვით: „ოჯახის სამშვიდობოდ მომირთმევია ეს  
ქათამი“. მხოლოდ ამის შემდეგ შეიძლებოდა ამ ქათამების დაკვლა.  
ამასთან ერთად უნდა გამოეცხობოთ ერთი განატეხი: ქონიანი ან ნიგ-  
ეზიანი, ან არა და მარილიანი მაინც. ეს ქათამები უსათუოდ უნდა  
შეეწვათ და მხოლოდ ამის შემდეგ შეილოცებოდნენ, შემწვარი ქათამებით,  
განატეხით და ზედაშით იმგვარადვე შეილოცებოდნენ, როგორც ცოც-  
ხალ ქათამებს რომ თავზე შემოავლებდნენ კაცებს და ხარებს — ილოცე-  
ბოდნენ ისე. საანგელოზო ფინჩილას შეჭამდნენ მხოლოდ კაცები და პა-  
ტარა ბიჭები და საოჯახო ქათამის შეჭმა კი შეუძლიან ყველას — ქა-  
ლებს, კაცებს; მხოლოდ საოჯახო ქათამის შიგნეულს ვერაფერ ვერ შე-  
ჭამს, გარდა იმ ქალისა, რომელმაც ცოცხლად შემოავლო კაცებს თავზე;  
განატეხსაც მხოლოდ ეს ქალი შეჭამდა და სხვას კი არ შეეძლო იმის  
შეჭმა. ზემოხსენებული პროცესი უნდა მომხდარიყო ძალიან ადრე —  
გათენებამდე. შემდეგ კი შეუდგებოდნენ სადილის საშხადისს: სადილზე,  
არც განატეხის გამოცხობა და არც ლოცვა წესად არ იყო.

#### 4. შობის დედა

შობის მეორე დღე დიდი უქმია — არაფრის საქმიანობა ამ დღეს არ  
შეიძლებოდა. განსაკუთრებით ეს დღე მიჩნეულია მშობიარე ქალი-  
სათვის, რომ მას არაფერი გაუჭირდეს. ლოცვა და განატეხების გა-  
მოცხობა წესად არ კქონიათ.

#### 5. შობის ბავია

შობის მესამე დღეს უქმობენ, მხოლოდ „შობის დედა“-ს დღე მე-  
ტად მიანჩნიათ. შობის ბავია დღე ღვთისმშობლის საპატრივკულო  
დღეა. ლოცვა და განატეხების გამოცხობა არ იცოდნენ.

#### 6. კალანდობა

„კრიშობისთვე“ რომ დადგებოდა, საკალანდო დორს, ხულ ერთია,  
ნეხვი იქნებოდა თუ ტახი, შეიფხანდნენ სასუქად — საკალანდოდ. ამ  
დღეს — კალანდობას — ერთი ოჯახის წევრი წავიდოდა ტყეში ხარე-



ბით და მოიტანდა საუბე მარხილს შუშით, შეშახე კი უნდა დაეფიქროს და წყობილი ბაძგარი. შუშით საუბე მარხილს დადგამდნენ და მისი წადმისკენ — აღმოსავლეთისაკენ, რომ პირი პქონდეს — და ამგვარად უნდა მდგარიყო ნათლილებამდე. კალანდა დღეს, საღამოს ოჯახის უფროსი კაცი გამოიფიქრებდა საკალანდო ღორს სასუქიდან; უპირველესად ყოვლისა, ამ ღორისათვის უნდა მოურუჯათ ყელში იმ ადგილას, სადაც დანას გაუსობდენ და შემდეგ კი დაკლავდენ. თბეს და შიგნულს როგორც კი მთლიანად გაასუფთავებდენ, გადაძალავდენ, ისე, რომ არავის შეეხებდა ნათლილებამდე. დანარჩენს, ნაწილს ხორცს მოხარშავდენ. გამოაცხობდენ ერთ საშუალო განატეხს, შიგნაურედვე საკალანდო ღორის ქონს — ეს განატეხი იქნება „ღორის სალოცვილი“. ამ განატეხს საფოთრით (ქათმის ფრთებია შეკონილი) დააჭრებდენ და თან შესძახებენ: „ნეი, ნეი, ტახი, ტახი; ნეი, ნეი, ტახი, ტახი“. „ღორის სალოცვილ“ განატეხს დაადებდენ თავზე უძვალო ხორცს, პატარა ნაკვერჩხალს და საწთელს და ვახშობამდე ბიჭს ან უფროს კაცს უნდა წაეღო საღორის კარებთან. უსათუოდ ერთი ჭიქა ღვინო უნდა პქონოდათ. საღორის კართან შეილოცებდა: „წმ. ბასილამ ამრავლოს, შენ ამრავლე ჩვენი ღორები“ და თან განატეხს და ხორცს მოსტებდენ; რამდენჯერაც მოსტებენ განატეხს, იმდენჯერვე უნდა ეთქვა: შენ ამრავლე ჩვენი ღორები. ხორცი უსათუოდ იქვე უნდა შეეჭამათ, განატეხის ნაწილი კი უნდა შინ მოეტანათ. ერთი ჭიქა ღვინო დაილეოდა საღორის კართან თუ ბიჭები — რამდენიმე იყო მაშინ — ყველა(ს), თუ არა და ერთი დალევდა. შინ რომ შემობრუნდებოდენ, კარებში შეიძახებდენ: „ლოცვა ღორისა“ — შინიდან გასძახებდენ: „ამრავლოს წმ. ბასილამ“ — და შევიდოდენ შინ; მხოლოდ ერთი ბიჭი სოხანეში ვაგორდებოდა და იტყოდა: ტახი, ტახი, ტახი. ვახშად საკალანდო ღორის ხორცს ჭამენ — მხოლოდ სხვას, არა ოჯახის წევრს არ აჭმევენ. უმრავლეს ოჯახებში, იმ დანას, რომლითაც საკალანდო ღორი დაიკლა, იხმარდენ მხოლოდ ამ ღორის ხორცს რომ ჭამენ მაშინ, მერე კი ამ დანას შეინახავდენ მეორე წლის კალანდამდე და მხოლოდ მაშინ იხმარდენ ისევ საკალანდო ღორის დაკვლაში და მის ხორცის ჭამაზე და კიდევ შეინახავდენ. ვახშმის ჭამის შემდეგ შეუდგებოდენ სახეალო, სამკლოვიაროს სამზადისს. უნდა გაეკეთებინათ ღვინის გვერგვი — გამოაცხობდენ ერთ დიდ განატეხს — ლობიან-ქონიანს. ამ განატეხს დასდებენ გვერგვზე ზედ ჯამით თაფლი, ვაშლი და თეთრი ფული; ამ ღამეზევე გამოაცხობენ ოჯახის სულის რაოდენობის მიხედვით სართვიანებს — ლობიანებს და ხმელა პურს. თუ იქნებოდა

ოჯახში 12 სული, უნდა გამოეცხოთ 12 ლობიანი და 12 ხმელა პური. ეს პურები შეინახებოდა მეორე დღისათვის. ვახშმობას რომ გაათავებენ და კაცები მიღავდებიან, ქალები მოხარშავენ ღორის ქსოვიანად (ნაწილს), მოხარშულს წვრილ-წვრილად დასჭრიან, შეკახმუნენ სისხლით, პიპილით, მიხაკ-დარიჩით და მარილით; შეკახმულ შიგნეულს ჩაურყვენ პურში და გამოაცხოებენ ერთ მოხრდილ განატქეს — ჯვარსახიან [ს]. ამას ეტყვიან: „სირის კული“-ს განატქები. ამ პროცესს კაცებს არ აჩვენებენ. „სირის კული“ რომ გამოიცხოება, ცეცხლში ჩააკევენ სანთელს, ზედაშს ხელში აიღებს ქალი და კერასთან განატქეს წაღმა შეატრიბლებს და ამგვარად შეიღოჭება: „ღმერთო, მრავალი მოგვასწარი ეს დღე ოჯახის წევრებით“, და „სირის კული“-ს განატქები დაინაწილებოდა ოჯახის ქალთა რიცხვზე და ამავე დამეს შეიჭებოდა. კალანდა დამეს ყველა ოჯახის ქალები და გოგონებიც ჭრელ-ჭრელ კაბებს ჩაიცვამდენ, თვალ-წარბს შეიღებოდენ — ზოგი გაბმულად და ზოგი კარიანს (წარბები მთლიანად რომ შეიღებება, — ე. ი. წარბებშუა ადგილიც რომ შეიღება — ეს იქნება გაბმულად შეღებვა, და როდესაც კი მხოლოდ წარბები შეიღებება — მაშინ იქნება კარიანი). ჭრელ კაბებში გამოწყობამ და წარბების შეღებვამ კალანდა დამეს ჭრელ-ჭრელი გოჭების გაზრდა იცისო.

## 7. ახალწელიწადი

სანამ ოჯახის წევრები წამოდგებოდნენ ამ დღიას, მინამ უნდა ამდგარიყო ოჯახის შინაური „კლოვიარე“. კლოვიარედ ქალი იქნებოდა თუ კაცი სულ ერთი იყო, ოღონ კარგად დაცდილი უნდა ყოფილიყო: უკეთესი, უკეთილესი. მკლოვიარე აიღებდა ხელში სამკლოვიარო გვერგვს, რომელზედაც ერთი განატქები იყო დადებული, განატქებზე თაფლი ან შაქარი, ვაშლი, თეთრი ფული და ანთებული სანთელი და მეორე ხელში კი დოქით ღვინო. ყველა ამაებით მკლოვიარე გავა კარში, შემდეგ ისევ შემობრუნდება და კარებში გარედან შემოსძახებს: „კარი რკინისა!“ — შიგნიდან დაიძახებენ: „არა მეუფისა“ — ამგვარად ორჯერ დაიძახებენ, მესამედ კი მკლოვიარე რომ იტყვის — „კარი რკინისა“, შიგნიდან შეკითხებიან: რა მოგატქს? — პასუხად მიიღებენ: „კაცის მშვიდობა, ოქრო და ვერცხლი, თვალმარგალიტი, ღვთისა და ბატონის წყალობა, საქონლის სიმრავლე“. შემოდის სახლში და თან აგრძელებს ლოცვას: „შემოვდგი ფეხი, გწყალობდეთ ღმერთი, ბევრი ახალწელიწადი გავითენდეთ მშვიდობით.“ სამკლოვიარო გვერგვს, დოქს ღვინით მიიტანს ყველა ოჯახის წევრთან — მიუშკლევებს, თან დალოცავს — მრავ-



ვალი ახალწელიწადი გაუითენდაო — ეტყვის; ოჯახის წევრები ტკბილედ უღობას ცოტ-ცოტას მიირთმევენ. ღვინიან დოქს ხელს უსაფრთხოდ განატეხსაც ხელში აიღებენ, მხოლოდ არ გასტეხენ — ასე ჩემოვენიერებულ მკლავიარე ყველას და მერე წავა ბოსელში და საქონელს მოუკლავს. სამკლოვიარო განატეხი შეინახებოდა ნათლილებამდე. ახალწელიწად დღეს ოჯახიდან არავინ არ მიდიოდა, არც ვინმე მოდიოდა. საღამოს კი, ვახშმად უნდა გამოეცხოთ ერთი მოზრდილი განატეხი — ლობიანი, უნდა გაკვეთებიათ იმდენი წვადი, მხოლოდ გულღვიძლის, რამდენიც სული იყო ოჯახში, განატეხი, წვადები, წინაღებს გამოცხვარი, სულადობის მიხედვით, ლობიანი და ხმელა პურები შეილოცებოდა ვახშმის დროს, აქავე, ამ ერთი განატეხით ევნახის ბარობაზე შეილოცებოდა, მეორე — საპურე ყანის ბარობაზე და მესამე — ცარიც ყანის — კარგი სიმინდი მოსულიყოსო. ამის შემდეგ მხოლოდ დაჯდებოდენ ვახშმად და ულოცავენ ერთიმეორეს ახალწელიწადს.

8. შახილავნა

ახალწლის მეორე დღეს ეძახიან ფეხიდაწნას. ყოველ ოჯახს ამ დღისათვის ყავს „კლოვიარე“ — გარეშე. იმას წინდაწინ ეტყოდენ: შენ ხვალ უნდა მოხვიდო; შეიძლება მას არ სურს კლოვიარობა, მაშინ კიდევ სხვას ეტყვიან, მხოლოდ იმას, ვისაც კარგი თვალით უყურებენ, ე. ი. ოჯახის ერთგულად მიაჩნიათ. დილას, სანამ კლოვიარე არ მოვა ოჯახში — ჭამად არ დაჯდებიან. გარეშე მკლოვიარე მოვიდოდა თუ არა, მას წინ მიუ(ტე)გებდენ გვერგვს და დოქით ღვინოს. იმსაც უნდა მოეტანა ერთი განატეხი — ყველიანი ან ქონიანი, რომელსაც გულზე ზემოდან წასმული ექნებოდა თაფლი ან შაქარი და ერთი ბოთლი ღვინო. შემოსდგამდა თუ არა მკლოვიარე სახლში ფეხს — დაიძახებდა: „აქ მშვიდობა, გწყალობდეთ ღმერთი, ბვერი ახალწელიწადი მოგსწრებოდეთ მშვიდობით“. თავის მოტანილს — განატეხს და ღვინოს — გადასცემდა იმას, ვისაც გვერგვი ვევა ხელში, მერე დანარჩენ ოჯახის წევრებს ჩამოივლიდა და მოუშკლავდა. სანამ სუფრაზე მიუსხდებოდენ, მანამ ოჯახის ღვინით ყველას ხელები უნდა დაეძანათ და მერე კი დაჯდებოდენ სადილად. ძველად საკალანდო ღორის ხორცს არავის არ აჭმევდენ, მკლოვიარესათვის სხვა ხორცი ჰქონდათ, ეხლა კი ყველას აჭმევენ. ძალიან საჭიროდ მიაჩნდათ მკლოვიარის დათრობა: თუ ის „მოთავებული“ წავიდა შინ, მაშინ ეს იმის ნიშანი იყო, რომ ამ წელს საქონელი მუდამ მაძღარი იქნებაო. მოთავებული, ე. ი. ძალიან მთვრალი უნდა ყოფილიყო მკლოვიარე, რომ ამ დღის წესი არ დაეურღვია,

რადგან მისი სიმთვრალე საქონლის მამძრობასთან იყო დაკავშირებული. წახვლისას მკლოვიარეს ატანდნენ ბამბას ან ყაჭს, ანდა უბრალოდ ძაფს, თუ ყაჭი არ იქნებოდა; ძაფის გადაცემისას უწყვეტად რამდენი ბეწვი ეს არის, იმდენი თეთრი და ქონება შეცვლილი ამის გარდა, თუ ოდნავ შეშლებული იყო ოჯახი, ვუღივც უნდა ქაჯე-ბინათ მკლოვიარესათვის. ამჟვე დღეს გადავიდოდნენ ხოლმე ერთი ოჯახიდან მეორე ოჯახში და ულოცავდნენ ერთმეორეს ახალწელიწადს, მხოლოდ ამ დამეს ოჯახის გარეშე დარჩენა არ შეიძლებოდა — უნათყოფ საქონელი დაიკარგებოთ.

## 9. ნათლილუბის მარხვა და უქმი

ნათლილუბის წინა დღეს დიდი უქმი იყო, თან დიდმარხვა იყო. ამ დღეს ყველა ცდილობდა ხსნილი ან „შერეული“ არ შეეჭამა. ლოცვა ან განატეხის გამოცხობა არ იცოდნენ.

## 10. ნათლილუბა

ამ დღეს ჩიტის აზურამდე უნდა ამდგარიყო ოჯახის უფროსი კაცი, გამოეღო ამ დღისათვის შენახული საკალანდო ღორის თავი, გაეწმინდა, გაერუჯა და ჩაედგა ქვაბში შოსახარშავად. დედაკაცი გამოაცხობდა ერთ ქონიან განატეხს. როგორც ყველა ეს შხად იქნებოდა, უფროსი კაცი ჩააწყობდა ღორის თავს, განატეხს, კანაფს და ხარის გვერდის ძეაღს გობში, თან წაიღებდა ცარიელ დოქს და წავიდოდა მარანში, დაგოზილ ღვინიან ჭურს თავს ახდიდა; ამ გობს ჭურის თავზე წაღმა შეატრიალებდა და შეილოცავდა: „ღმერთო, მივეცი სიწმინდე, ბარაქა ჩვენ ჭურს“. იქვე მოთლიდა ორჯერ ღორის თავს და განატეხს. შემსჭამდა, ღვინოსაც დალევდა ჭურის თავზე, კანაფს რამდენჯერმე წაუნვაღმა ხარის გვერდს და იტყოდა: ასე გასწმინდე ჩვენი ჭურ-მარანი ყოველგვარ უწმინდურობისაგან; მერე დოქს ღვინით გაავსებდა და შინ შემოიტანდა. ქალის მისვლა ჭურის თავზე არ შეიძლებოდა. ეს პროცესი უნდა დასრულებულიყო მზის ამოსვლამდე. შემდეგ წირვასე წავიდოდნენ. იქედან უნდა მოეტანათ ნაკურთხი წყალი; ამ წყლით სახლს მოასხურებდნენ, დანარჩენში კი მოხელდნენ ნაცარ-ტუტას — გაცრილს და კოკორიებად დააწყობდნენ გასახმობად. ამ კოკორიებს საჭიროების დროს წყალში დააღობდნენ და მკლოვინეს მოასხურებდნენ, თუ გაუჭირდებოდა მებავე ქალს დააღვინებდნენ კიდევ. ნათლილუბის

ყოკორიებს, ჩაღბობილს წყალში, ხმარობენ კიდევ მონადეების საწინა-  
აღმდეგოდ: შოასხურებენ და კიდევაც დააღვეინებენ ავადმყოფს. ამ  
დღეს ოჯახს შეიძლება ისეთი ვინმე ესტუმროს, რომელიც წყნად უწე-  
წნელი იყო, იმას განსაკუთრებით დაპატივებდენ და უსმინდნენ! უსმინა  
მოთავებული, ე. ი. ძალიან მთვრალი გშეშვათ.

## 11. მისარობა

ეს დღე ითვლებოდა მეტწილად ქალების უქმედ: არც კურვა, არც  
რთვა ამ დღეს არ შეიძლებოდა. დილას არავითარი ლოცვა არ იცოდენ.  
მწოლოდ საღამოს იწყებოდა ამ დღის შესაფერი რიტუალი. დაკლავდენ  
ყვინჩილას — უხათუოდ წითელს. ეს იქნებოდა „სავაკო ყვინჩილა“.   
გადმოშვების სიტყვით, ეს სავაკო ყვინჩილას დაკვლა ამ საღამოს ძვე-  
ლიდან მომდინარეობს: სახადის, ყოველგვარ ხენისაგან თავის და-  
სარიდებლად შეუწირავთ ყვინჩილას დაკვლა. მისარობა საღამოს.  
წითელი ყვინჩილა რომ ოჯახში არ ყოფილიყო ამ დღისათვის, უხა-  
თუოდ უნდა ეყიდნათ. საღამოს ჯამს, ოჯახის უფროსი ქალი ამ წითელ  
ყვინჩილას — ცოცხალს — შემოაქვლდა თავზე ყველას: ოჯახის წევრს  
ვაკს — უფროსს და უმცროსს. თავზე შემოვლების დროს ასე შეულო-  
ცავდა: „მოგვირთმეცია ეს ყვინჩილა და განატეხი; თავი თავის მაგიე-  
რი, ტანი ტანის მაგიერი, ფეხი ფეხის მაგიერი, უმიზეზოდ გადაძირ-  
ჩინე“. შემდეგ ამისა, გამოაცხობდა სამ პატარა განატეხს, ქონიანს ან  
ყველიანს. ყვინჩილაც დაიკვლებოდა და უხათუოდ უნდა შეეწვათ, მხო-  
ლოდ თავ-ფეხი კი უნდა მოეხარშათ. ჩამოქნიდენ სანთელს — სამს,  
ანთებულ სანთელს დაასობდენ განატეხზე, ზედვე დასდებდენ ყვინ-  
ჩილას თავ-ფეხს, ჭიქით ღვინოს და იგივე უფროსი ქალი, რომელმაც  
ცოცხალი ყვინჩილა შემოაქვლო თავზე ვაყებს და კაცებს, უხლაც  
შემოაქვლეს ამათვე და თან ასე შეულოცავს: „გთხოვთ ანგელოზებს  
სამშვიდობოდ, ყველაფერი სახადის ბარობაზე მოგვირთმეცია — გა-  
ნატეხი და ზედაში; დაგვიფარე ჯამისაგან და ყველა სახადისაგან —  
გებეწეწებით ანგელოზებს“. ამ პატარა განატეხებს, ყვინჩილას თავფეხს  
და შიგნულს მაშინვე შეშვამდა ის, ვინც თავზე შემოაქვლდა, და-  
ნარჩენს იმის შეჭმა არ შეეძლო; ტანის ხორცის შეჭმა კი ყველას  
შეეძლო.

მისარობა ყრველთვის უნდა ყოფილიყო შაბათს. ამ დღიდან დაწ-  
ყებული მეორე შაბათამდე იყო ბოსლობის ჯირე. ამავე დამეს გამოაც-  
ხობდენ ორ. ძალიან პატარა კოკორებს. ერთ მთელ კვერცხს და ორ კო-

კორის უფროსი ქალი თვალეზზე წაღმა წამოისობს და იტყვის: „შეიშინე შორე სიწითლე, კლირწი, ხლირჩი, დაგვიფარე ფურჩხისაგან, შეიწინე ჩვენი თვალებისაგან.“ ამის შემდეგ ორ კოკორიას შორს გადასვრის. ადამიანს რომ არ შეეჭამა ისე და თან გააყოლებს: „გაპყვედრე თვალეზზე და სსეულება ამასაო.“

## 12. ბოსლობა

ბოსლობა — შაბათი დღე. ეს დღე ქალებისათვის იყო მეტი უქმი — არც კურვა, არც ქსოვა არ შეიძლებოდა. მამაკაცი კი, თუ დიდი თოვლი არ იყო, შეშას მოიტანდა და სხვა საოჯახო საქმეს გააკეთებდა. ამ დღეს უფროსი ქალები საღამომდი თმობდენ — ჭადს არ გამოაცხობდენ — საქონლის სახადის საწინააღმდეგოდ და ხარებს კისრები არ გაუფუჭდებათო. საღამოს კი, ძველად, დაკლავდენ გოჭს — საბოსლობოს. გამოაცხობდენ სართვიან პურებს — ლობიანებს, ერთ ლობიან განატეხს — ჯვარსახიანს; განატეხზე ჩაასობდენ ანთებულ სანთელს, ზედვე გოჭის ბეჭი, ჭიქით ღვინო — ეს ყველაფერი გობზე უნდა დაედვათ და უფროსი ოჯახის კაცი წაიღებდა ამ გობს ბოსელში და თავზე შემოავლებდა ყველა საქონელს: ხარს, ძროხას, ხბოს და ამგვარად შეულოცავდა: „საქონლის ანგელოზო, ააშორე ჩვენ საქონელს ყველაფერი გაჭივრება, სახადი და ნადირი — ამ ბარაზე მოგვირთმევი სანთელი და განატეხი“. ბოსელშივე გატეხს განატეხს — ცოტას შემჭამს, ღვინოს დაღვს — დანარჩენს კი შინ შემოიტანს და ვახშმად დაჯდებიან.

## 13. ძაღლი პარასკევი (ძაღლის პარასკევი)

მარიამუბობის მეორე დღეს — პარასკევს — ეძახიან ძაღლის პარასკევს. განსაკუთრებული უქმია ქალებისათვის — ნემსის ხელში აღება არ შეიძლებოდა ამ დღეს. საღამოს გამოაცხობდენ სართვიან — ლობიან — პურებს, ერთ განატეხს — ხელდასმულს, რომელიც ქონიანი ანდა ლობიანი უნდა ყოფილიყო. ეს განატეხი, ჭიქით ღვინო და ანთებული სანთელი უნდა წაედო უფროს კაცს საღორის კართან ვახშმობის დროს. იქ, საღორის კართან, განატეხს წაღმა შეატრიალებდა და შეულოცავდა: „წმ. ბასილის ძაღო და მადლო, გამოიმთავნე გოჭ-ქათამი, ააშორე ჭირი და სახადი, მის ბარობაზე არ მოვიშალო განატეხი და ზედამი“. ამ განატეხს შეიტანდა სახლში და დაჯდებოდენ ვახშმად. ვარეშე ადამიანს ამ განატეხს არ აჭმევდენ.



ამ დღეს, შაბათს, ყველა ოჯახში ხდებოდა საკურთხეობის წესდები. იყო, ახალი მიცვალებული ყავდათ თუ ძველი, ამ დღეს ყველა სუფრას „წოდგამდა“. დაიკვლებოდა ქათამი, სასურველი იყო დედალი, მოხარშავდნენ შაშხს, უსათუოდ ერთი კვერცხი უნდა ყოფილიყო, მხოლოდ თუ მიცვალებული ახალი მკვდარია, მაშინ კვერცხი ორი უნდა ყოფილიყო; გამოაცხობდნენ სართვიან — ლობიან პურებს, შვიდს — სულის პურს, შუაში სამ თითდასმულს. სანთელი ანთებული, ყველი, ერთი ბოთლი ღვინო, სულის პურები, სართვიანები, დედალი, შაშხი — ეს ყველაფერი სუფრაზე აღწავია (თუ მიცვალებული ძველი მკვდარია, მაშინ ეს ყველაფერი მიაქვთ საფლავეზე). სუფრაზე დალაგებული საწოლავე კარგა ხანს დგას, ირგვლივ სინაშეა, შორიახლოს დგანან ოჯახის წევრები, რამდენიმე ხნის შემდეგ სუფრასთან პირველად მივა მცხოველი — დიასახლისი, ის ღვინოს თავს წაუქცევს, ყველაფერს ხელს მოჰკიდებს — შეატრიალებს, „ღმერთო, სარგებელი ქენი“ — იტყვის და განზე გავა; შემდეგ სუფრასთან მივლენ უფროს-უმცროსობით და ამგვარადვე მოიქცევიან. ყველა რომ თავს წაუქცევს, მერმე დიასახლისი სუფრას შეატრიალებს, საწოლავეს იქეთ-აქეთ განალაგებს და მხოლოდ შემდეგ მიუჯდებიან სუფრას და სადილად დაჯდებიან. საფლავეზე რომ უკურთხებენ ახალ მიცვალებულს, იმ საწოლავეს იქ მყოფ ჭირისუფალს გაუნაწილებენ და ცოტა კი შინ უნდა მიეტანათ.

## 15. ალხვი ღაზრწახა

ამ დღეს განსაკუთრებული წესები არ იციან, მხოლოდ სადილად და ვახშმად მოხარშავენ ხორცს და გამოაცხობენ პურებს.

## 16. თეთრი ორშაბათი

თეთრ ორშაბათ დღეს, ძალიან ადრე, უფროსი ქალი ადგებოდა, გამოაცხობდა ერთ დიდ ყველიან განატებს, ჩამოქნიდა სანთელს და განატებსზე ჩაახობდა, ღრმა თევ[შ]ს წყლით გაავსებდა და ყველა ამაკებით ბოსელში შვეილოდა. განატებსზე ანთებული სანთლით და წყლით სავსე თევშს ძროხების თავზე შემოაველებდა და ამგვარად

შეულოცაუდა: „წმ. იოანის ძალო და მადლო! მიეცი კაი ძუძუ-მკერდი, კაი გამთაუნება, ააშორე ჭირი და გაჭირვება, მიეცი კარგი ნოღაჲი“! წყაღს, რომელიც თუფში ესხა, მიასხამდა ძროხას ტუაშრ (მკერდს) მკერდში). ანთებულ სანთელს იქვე, ჭურზე დატოვებდა, განაგებდა შინ შემოიტანდენ და ყველა ქალებს დაურიგებდენ. შემდეგ კი, ამ დღეებში სადილ-ვახშმად უფრო ხშირად ყველს შტამდენ.

#### 17. კილმარობა


კილმარობა, ერთის აზრით, ყველიერის შაბათს არის, მეორის აზრით კი, სამ კვირკობისთვის. ეს დღე უქმი არ არის, მხოლოდ ვენახის „ბარობაზე“ შეწირული ჰქონიათ — ოჯახის უფროსი კაცის ვენახში შესვლა, რომელიც ღერწის ძირში შეინახავდა რკინას, ამას ეძახდენ „ვენახის დარკინვა“. ვენახის დარკინვა საჭიროდ, მიანდით იმისათვის, რომ მტკვანი საღი ყოფილიყო. განატყვის გამოცხობა და შელოცვა არ იცოდენ ამ დღეს.

#### 18. ვენახის დარკინვა

ეს დღე კვირაა და ამიტომ უქმობდენ. სადილ-ვახშმად განსაკუთრებულად უნდა ყოფილიყო ყველი, კვერცხი ბლომად; ყველიანების გამოცხობაც იცოდენ ამ დღისათვის. დილიდანვე იწყებოდა ჯამ-ჭურჭლის „დაკასკასება“ — დაკრიალება (გობ-ჯამი, ქვაბ-ჭურჭელს დაკასკასებდით), რომ შერეული არ ყოფილიყო, ე. ი. ხორცის არა დარჩენილიყო რა. ვახშმობის შემდეგ უფროსი ქალი შეაგროვებდა ხუფრის ნამცეცებს და ჩაყრიდა კვერცხის დანჭეჭში [ნაჭუჭში], რომელსაც, დაძინების დროს, თვითონვე თავქვეშ ამოიდებდა.

#### 19. შავი ორშაბათი

შავ ორშაბათ დილას, უფროსი ქალი, როგორც კი აღგებოდა, მაშინვე აიღებდა მის თავქვეშ შენახულ კვერცხის, დანჭეჭთში ხუფრის ნამცეცებს და ყველა ბავშვებს — გოგო-ბიჭებს და ყველა უკვირ-გვინოს ფეხქვეშ გამოუხეამდა — „დაგრილი“ ჭარ გაუნდებო (ფეხის გულის ტკივილია). ამ დღეს ქალები ხელს არ მოჰკიდებდენ საკერავს, საქსოვს; კაცები თუ ამ დღეს მთაში წავიდოდენ, ნაჯახისათვის ან წალღისათვის პირი უნდა შეეხვიათ ჩერთ, მთაზე ახელისას კი



რკინას პირს გაუნსიძენ; შინ კი ნაჯახის ხმარება არ შეიძლებოდა, ამ დღისათვის რკინეული სულ დამალული იყო და ამის სამსახურს წინადლით გასწვდენ ხოლმე. ამდღეს რკინეულის ხმარება შეწყვიტული იყო საქონლის ნადირისაგან დასაცავად. ამავ დღეს იცოდენ სახლ-კარის დასუფთავება. საღამოს კი მოხელდენ პურს, გამოაცხობდენ „ბეწვის განატეხს“ — მარილიანს, საშუალო ზომისას, ხელდასმულს; ვახშობის დროისთვის კაცები გარეთ უნდა გასულიყვნენ და უფროსი აქალი კი აიღებდა ბეწვის განატეხს და კედის ძაფს; მივიდოდა ბუჯერთან, განატეხს ბუჯერში ჩასდებდა და ძაფს კი ერთი ხელით მეორე ხელის თითზე დაახვევდა და ასე შეულოცავდა: „ღმერთო, შენ ააშორე ჩემი ნამზადი უწმინდურობისაგან, ბეწვეულობისაგან, ნურაფერ კაცს ნუ შეახვედრებ ჩემ ნამზადში უწმინდურობას და ბეწვს“. ამ ძაფს ჯველა ოჯახის ქალი, ე. პ. ის, ვისაც საჭმლის დამზადება და გამოცხობა შეეძლო, ვველა დაიხვევდა თითზე და ამგვარადვე შეულოცავდა; ლოცვის შემდეგ კი ამ ძაფს ცეცხლში ჩააგდებდენ და თან იტყოდენ: „ასე დაწვი თუ რამე უწმინდურობა, ან ბეწვი იქნეს ჩემ ნამზადში“-ო; განატეხს კი ჯველა დამსწრე და შემლოცველი ქალი შეკამდა.

ბეწვის განატეხის გარდა, კიდევ უნდა გამოეცხობთ „ჭიკვივას“ განატეხი, ესეც მარილიანი უნდა ყოფილიყო. ქალები რომ ბუჯერთან ბეწვის ლოცვას გაათავებდენ, კაცები სახლში შემოვიდოდენ და თითოეული მათგანი მოსტეხდა ჭიკვივას განატეხის პატარა ნაწილს, ჩააწებდა ღვინოში, შეულოცავდა: „ჭიკვივას და მის ვაჟინას შოუნდოს“. „მის ვაჟინას შოუნდოს“ — თქმის დროს ის გარეთ ვადმს და ლუკმას შორს აგდებს. თითოეულმა სამ-სამჯერ უნდა მოსტეხოს განატეხს და სამჯერვე „ვაჟინას შოუნდოს“ თქმის დროს გარეთ განსროლოს. შავ ორშაბათიდან იწყებოდა თმობა; ცოტა მოუფროსო თუ ვინმე იქნებოდა, სულ თმობდა, უმცროსებსაც ათმვეინებდენ — კარგი გულიყური ექნებოთ.

20. თმობა

შავი ორშაბათიდან დაწყებული შაბათამდე უძახდენ ნების კვირეს ან თვდობის კვირეს. ამ ერთი კვირის განმავლობაში სულ თმობდენ — შაბათს საზიარებლად ეშხადებოდენ. თუ ოჯახში ერთი ან

ორი წლის მიცვალებული იყო, მაშინ მოხარშავდენ „ხეარბალ“-ს შეიზავებდენ თაფლით ან (ნ) [შ] აქრით — შეიძლება ორივე ერთად ექნათ; ამ ხეარბალს წაიღებდენ და მიცვალბულის საფლაგზე დახეხებდენ ხებდენ, შემდეგ კი კოვზით დაურიგებდენ მოზიარეებს. სულს მხოლოდ მიცვალბული თუ ვინმეს ყავდა, მაგ., ერთი თვის ან ორი კვირის, იმის ჭირის უფალს უნდა მოეშადებინა სულის პური — შვიდი, ერთი განატეხი მარილიანი ანტიგვიანიძე, ორი ლავაში, ერთი ბოთლი ღვინო და ყველა ამას საფლაგზე რომ დააკურთხებდა, შემდეგ დაურიგებდენ ცოტაცოტას ყველა მოზიარეებს. საღამოს, სახლში რომ მოვიდოდენ, ვახშმის საშხადისს შეუღვებოდენ. უნდა გამოეცხოთ სამი დიდი განატეხი — ნიგვზიანი: ერთი — „მამულის განატეხი“ — ყურძნის მტკვნის მსგავსი, შუაში ჯვარსახიანი, მეორე — „კალო და კვერის“ განატეხი, ამ განატეხს ზვიდან პურის უღელს — რამდენი უღელი ხარი პუჟდათ, იმდენი პურის უღელი უნდა გაკეთებინათ და ამდენივე ტაბიკი; ეს ყველა კალო-კვერის განატეხზე დაიდებოდა. მესამე განატეხი — „საცეხველი“-ს იქნებოდა, ზედ გაკეთებდენ პურის ცომიდან ხელკავებს, რამდენი ქალი იქნებოდა ოჯახში, იმდენი ხელ-კავი უნდა ყოფილიყო; ამ სამივე განატეხებს, ლიტრით ღვინო, ნაკვერჩხალზე ჩაქმეული ხანთელი, ჭიქა ღვინით, ერთი დიდი კოროლი — ამას ყველას უფროსი კაცი წაიღებდა ჯერ მამულში (ვენახში), იქ ლერწის ძირში შეულოცავდა: „ღმერთო, მიეცი კარგი ტკვანი, კარგი ნოღავი, კაი მოსვლა, ააშორე კოხი და ყოლიფერი ცუდი საქმე“. კოროლს ჩამოაცობენ ხარდანზე და ჭიქით ღვინოს მიახსამენ ლერწის ძირში; მამულიდან უფროსი კაცი მოდის კალოზე, აქ, შუაგულ კალოზე, აავსებს ღვინით ჭიქას და ყველა შემოჩამოთელილ განატეხებით შეილოცებს: „ღმერთო, მიეცი კაი ძალა, კაი ღონე ჩვენ ხარებს; ბვერი პური გაგვალწიე ამ კალოზე“ — ღვინოს ჭიქიდან დაასხამს შუა კალოში; შემდეგ მივა საცეხველთან, იქაც შეულოცავს: „ღმერთო, რაც მივიტანოთ ამ საცეხველთან — წყალივით გაგვაცხვიო“. იქაც ჭიქიდან ღვინოს ჩაასხამდა საცეხველში; შემდეგ ამ სამი განატეხს და ნარჩენ ღვინოს ლიტრაში შეინახებდენ ბედელში; მეორე დღეს ამ განატეხებს მამაკაცები შეჭამდენ — მხოლოდ ნავიორგვინი კაცები, უვიორგვინო კაცები კი ვერ შეჭამდენ. მამულის განატეხს ქალი არ შეჭამდა, რადგან ქალს რომ „გახეთქილი“ აქვს, ასე გახეთქილი გამოვა მტკვანიო; კალო-კვერის განატეხი არ ეჭმეოდა ქალს იმიტომ, რომ კვერით „ნაწყლი“ ექნებაო ქალს; აგრეთვე საცეხველის განატეხს ვერ შეჭამდენ ქალები, რადგან საცეხველისებური „ნაწყლი“ ექნებათ ქალებსაო. ერთი სიტყვით, სამი



განატეხი და ლიტრაში დარჩენილი ღვინო დაიღვება მხოლოდ მამაკაცების ცეცხლის მიერ, ისეც ნავიგირგვინჯ [ი] მამაკაცებისა.

21. 9 მარტი

ეს დღე უქმი არ იყო. მხოლოდ წესად ჰქონდათ ამ დღეს, საღამოს, კაცები უნდა გასულიყვნენ მამულში და ცხრა „საწიკარი“ ლერწი უნდა გადაეწეინათ. ლერწის გადაწევენას რომ გაათავებდნ და შინ დაბრუნდებოდნ, სახლში უნდა დახვდნოდნ ცხრა კულა ღვინო და ერთი განატეხი ნივგზიანი, ნაკვერჩხალში ჩაკმეული სანთელი; ამ ერთი განატეხით შეილოცებდნ: „ღმერთო, გაახარე ჩვენი ნაწეენი ლერწი, არ მოგიშალოთ განატეხი და ცხრა კულა ღვინო.“ ამის შემდეგ დაჯდებიან ვახშმად, ამ განატეხს ეს კაცები შეჭამდნ და უნდა დაეღიათ ცხრა კულა ღვინო. ეს დღე მამულის ბარობაზეაო.

22. ხარება. (25 მარტი)

ეს დღე უქმეა. ზოგიერთ ოჯახებში იცოდნ ამ დღისათვის განატეხის გამოცხობა. „ვინც ხარებას არ იხაროს, მან აღდგომას არ იხაროს“-ო.

23. ბზობა

ეს დღე დიდ უქმედ მიიჩნდათ. კვლესიაში რომ წავიდოდნ, იქედან უნდა მოეტანათ ბზა; შინ ამ ბზას თავზე შემოივლებდნ და მერე ცეცხლში ჩაყრიდნ — თუ ბზა ცეცხლის ალში წადმა დატრიალდება ორჯერ ან სამჯერ, მაშინ კარგი წელიწადი იქნებაო, და თუ უკუდმა დატრიალდა, მაშინ კი ცუდი წელი იქნებოდაო.

24. დიდი ოთხშაბათი

ოთხშაბათ დღეს მხოლოდ სადილობამდე შეიძლებოდა მუშაობა, ისეც უფრო მამულში, ე. ი. ვენახში, ნასადილვეს კი მუშაობა არ შეიძლებოდა, რადგან ნამუშევარი შუაზე გაიყოფაო. სხვა წესი ამ დღეს არ იცოდნ.



